# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი 21 ნოემბერი 1998 №213 (748) ფასი 50 თეთრი


# ალარ წავალ რაგბიზე!

RUGBY WORLD CUP 1999

ხუთშაბათია, რუმინეთთან წაგებული მატჩის მეორე დღე. ქართველმა მორაგბეებმა პარიზის გავლით თბილისისკენ გასწიეს. გულშემატკივრებიც გაემგზავრნენ სამშობლოში, ჩემს ლონდონის რეისამდე კი ხუთიოდ თავისუფალი საათი მაქვს და ჩვენთვის უიღბლო დუბლინის ღირსშესანიშნაობებს ვათვალიერებ. უცებ, ირლანდიის თანამედროვე ხელოვნების გალერეიდან ჯეიმს ჯოისის ცენტრისკენ სავალ გზაზე ვხედავ — რომელიღაც სადარბაზოდან გუშინდელი მატჩის პროგრამების დასტა გამოაქვთ და სანაგვეში ყრიან. ისე, ოთხშაბათ საღამოს თამაშზე მისულს გამიკვირდა კიდეც. ამ რამდენიმე ასეული კაცისთვის ამხელა და ასეთი დონის პროგრამა რამ გამოაშვებინათ-მეთქი, მაგრამ პატივი გვცეს, ახლა კი, რაც დარჩათ, ყრიან. ერთი ხანობა შევჩერდი და ვფიქრობ — ჩვენი ბედოვლათობის გადამკიდე ქართულ რაგბისაც ასეთი ბედი ხომ არ ელის?

* * *

დავფიქრდეთ — რატომ თამაშობს რაგბის რუმინეთი (დიდ დონეზე თამაშს ვგულისხმობ) და არ თამაშობს იუგოსლავია; ანდა, რატომ თამაშობს კალათბურთს იუგოსლავია და არ თამაშობს რუმინეთი; ანდა, რატომ შემოქანდნენ საფეხბურთო გრანდებში ნორვეგია და დანია და არა ფინეთი, რატომ ჰყავს კარგი ჰოკეისტები ფინეთს და არა ნორვეგიას და დანიას?

გენების კვლევა და ისტორიული ძიებანი ბევრს ვერაფერს მოგვცემს — ბოლოსბოლო, სპორტის უმეტესი სახეობა დიდი-დიდი 100-150 წლისაა. პასუხი, ალბათ, უბრალოა — ამა თუ იმ ქვეყანაში ორიენტაცია გარკვეულ (მათთვის მისაღებ და შესაფერის) სპორტის სახეობებზე აიღეს, შეძლებისდაგვარად განავითარეს, ფულიც ჩადეს, ამან კი ტრადიცია შექმნა და სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში შედეგიც მოვა. არა, მანამდე მოვა გამოცდილება.

სწორედ გამოცდილება აკლდა საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ოთხშაბათს. ამოჭერით იმ მატჩის ვიდეოფირიდან ორიოდ წუთი და... მთელი თამაშის მანძილზე ჩვენების უპირატესობა აშკარა იყო. განსაკუთრებით პირველი ტაიმის გახსენება მზაფრავს — სამი კი არა, ხუთჯერ სამი ქულა უნდა ყოფილიყო სხვაობა, მაგრამ გამოცდილებაც ხომ, პირველ ყოვლისა, თუნდაც მცირე უპირატესობის რეალიზაციაა? თორემ... ირლანდიელებმა რაც დამართეს ჩვენს მეორე ნაკრებს, პირველ რიგში რუმინელებმა ნახეს და 18 ნოემბერს ირლანდიური მეთოდით გამარჯვება სცადეს — ბურთის ჩვენი საჯარიმოს ხაზიდან 2-3 მეტრში აუტში გადაგდებით და შემდეგ დერეფნის მოგებით და გუნდური მიწოლით, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ: აქეთ ჩვენებმა გაუტანეს ასეთი ლელო. აღმოსავლეთ ევროპის უძლიერესი შერკინების ხაზიც პირწმინდად დაჩაგრეს ქართველებმა, მაგრამ... სწორედ ამ ორ ავადსახსოვარ წუთში ორი არაფრისგან ლელო გაგვიტანეს რუმინელებმა და წავაგეთ კიდეც, მაგრამ საცოდაობა და სისულელე ის იქნება, ამ ორმა წუთმა გადაწყვიტოს ქართული რაგბის ბედი. არადა, რომ არა ეს ორი წუთი, სპორტის ამ სახეობის ბედს საქართველოში ძაღლი არ დაჰყეფდა — სხვა თუ არავინ, ირბ დაგვაყრიდა თავზე ფულს, მსოფლიო თასისთვის კარგად მოემზადეთო. ახლა კი, დარწმუნებული ვარ, ჩვენში ბევრი ბოლმით კითხულობს — ამისთვის იყო საფრანგეთის ერთთვიანი შეკრება და ამდენი ფულის ხარჯვა საჭირო, მით უმეტეს, სულ რაღაც ხუთას კაცამდე იქნებიან ეს ჩვენი მორაგბეებიო.

მართლაც, რაგბის საერთაშორისო საბჭოს გამოშვებულ ბუკლეტში, დუბლინში რომ დაგვირიგეს ჟურნალისტებს, წერია, რომ საქართველოში მხოლოდ 400 რეგისტრირებული მორაგბეა. შედარებისთვის: რუმინეთში მათი რაოდენობა 5 255-ია, ირლანდიაში — 64 433, ინგლისში კი მთლად მილიონ 426 ათასი (საინტერესოა, რომ ინგლისში ხუთჯერ მეტი სარაგბო კლუბია (2049), ვიდრე ჩვენში მოთამაშე). ჰოდა, აქამდე რომ მოვედით, ამათ მარაქაში რომ გავერიეთ და ლამის იყო (ოჰ, ის ორი წუთი!), ამათაც მოვუგეთ, უკვე საქმეა. ამიტომ, მოდით, იმ 400 მორაგბეს, ამათ მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს (რუმინეთთან მატჩის წინა დღეს სასტუმროში კრება ჰქონდათ საქართველოში რაგბის განვითარების თაობაზე) ნურაფერს დავაყვედრებთ. ეს კი არა, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ, რადგან, დამიჯერეთ — საქართველოში რაგბი ერთ-ერთი იმ სახეობათაგანია (თუ უპირველესი არა), რომელსაც მართლაც უმაღლეს დონეზე ასვლა შეუძლია. ამათ კი საკუთარი სტადიონი არა აქვთ.

* * *

კიდევ კარგი, ქართული ფეხბურთის დარდიმანდი ხელმძღვანელობა გამოიცვალა, თორემ ახლა იმათი კიჟინა გენახათ — ეს კაცი და ეს გაზეთი ჩვენ ინგლისთან მოგებას გვთხოვდა, ახლა კი მორაგბეებზე სხვანაირად აჭიკჭიკდაო. არაფერი შეგეშალოთ — რაგბი მეტად განსხვავებული რამაა: აგერ, ევროპაში, სულ ექვსი ქვეყანაა, უმაღლეს დონეზე რომ თამაშობს. და თუ ფეხბურთში ბრაზილია წელიწადში ორჯერ ნორვეგიასთან აგებს, ავსტრალია ნორვეგიის ტოლ სარაგბო გუნდთან ცხოვრებაში არ დამარცხებულა და ალბათ, არც დამარცხდება.

* * *

„სარბიელის“ გამოცდილ მკითხველს არაფერი გამოეპარებოდა, მაგრამ მაინც მინდა ვაღიარო, რომ გასულ კვირამდე რაგბის მხოლოდ ერთი მატჩი (საქართველო — გერმანია) მენახა ცოცხლად. ვერ წარმოიდგენთ, რა ვინერვიულე „ლენსდაუნ როუდზე“: აქეთ ჩვენებზე შეგტკივა გული, იქით რეპორტაჟი გაქვს დასაწერი, ამასობაში კი ლამის წესების შესწავლა გიწევს. საქართველოს ტელევიზიის კომენტატორი თემურ ჯაფარიძე რომ არა, ალბათ საერთოდ შევირცხვენდი თავს. თუმცა მთავარი ეს არ არის. მთავარი ის თამაშია, რომელსაც რაგბი ჰქვია და რომელიც დუბლინში დავაჭაშნიკე. თქვენ წარმოიდგინეთ, მეორე მატჩის საღამოს იმ დღეს ჩატარებული ევრო 2000 საფეხბურთო მატჩების ტელეჩანაწერების ყურება, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. ერთი სიტყვით, რა ყოფილა რაგბი, ამ დღეებში გავიგე და ლამისაა... თუმცა არა, თავს ძალას დავატან, ცდუნებას გავუძლებ და ფეხბურთის ერთგული დავრჩები. სულ რომ ავსტრალიაში მიმიწვიონ, რაგბიზე ფეხს აღარ შევდგამ, თორემ „დავიღუპები“.

აი, ბორჯღალოსნებმა თუ ტონგას მოუგეს, ჰოლანდიაც ზედ მიაყოლეს და მსოფლიო თასზე მაინც ჩამოვიდნენ, მაშინ კი დავარღვევ პირობას და ბრისტოლის თუ ლიდსის სტადიონებზეც მშვენივრად წამოვჯდები. იმ დროისთვის, დერეფანი და, სამიმეოთხედი რაა, ის მაინც მეცოდინება.

ზურაბ მეძველია ლონდონიდან

თბილისში დაბრუნებულ ქართველ მორაგბეებთან საუბარი იხილეთ მეცხრე გვერდზე

# ჭიჭვეიშვილი მოსკოვის სპარტაკში?!

„ბათუმის“ მცველმა დავით ჭიჭვეიშვილმა კარიერა შესაძლოა რუსთა უძლიერეს და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში, მოსკოვის „სპარტაკში“ გააგრძელოს.

დათო უკვე რამდენიმე დღეა, სოჭში იმყოფება, რომანცევის რჩევა-დარიგებებს ისმენს, ვარჯიშობს და ორმხრივ მატჩებშიც თამაშობს.

გუშინ, სოჭის შემოგარენში მდებარე სპორტულ ბაზაზე, „ზელიონაია როშჩაში“ „სპარტაკის“ პრეს-ატაშეს ალექსანდრე ლვოვს შევეხმიანეთ და ვთხოვეთ, გაემეორებინა მოსკოველთა მწვრთნელის ნაუბარი ჭიჭვეიშვილზე.

— რომანცევს თქვენებური მცველი საკმაოდ მოეწონა. მისი თქმით, „სპარტაკს“ ჭიჭვეიშვილისნაირი ფეხბურთელი სჭირდება. ათლეტური აღნაგობის, ჭკვიანი და საიმედო მცველი. მან გუნდთან ერთად რამდენჯერმე უკვე ითამაშა, მწვრთნელებზეც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ვნახოთ, ყველაფრის მიუხედავად, დათოს გუნდში ჩარიცხვაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ჩვენ ახლა ჩემპიონთა ლიგის მატჩებისათვის ვემზადებით, მთელი ყურადღება ამ თამაშებისკენაა მიპყრობილი. ახალი ფეხბურთელების საკითხი კი იანვარში გაირკვევა. „რეალთან“ სტუმრობის შემდეგ ბიჭებს შვებულებაში გავუშვებთ. ვარჯიშს განვაახლებთ და სხვებსაც მაშინ დავიმატებთ. რომანცევზეა დამოკიდებული, თუ იტყვის საბოლოოდ, ქართველი ჭიჭვეიშვილი მჭირდებაო, არავითარი პრობლემა აღარ იქნება, მერე პირობებზე მოვილაპარაკებთ. ჯერჯერობით კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დათო „სპარტაკში“ ჩაირიცხება. იანვარში ერთხელაც შემეხმიანეთ და ნაღდ პასუხს გეტყვით — გვითხრა „სპარტაკის“ პრეს-ატაშემ.

ბობა ინასარიძე



დავით ჭიჭვეიშვილი

# ისევ აღთქმულ მიწაზე

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, 9 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ისრაელს ესტუმრება და იქაურ რჩეულთა გუნდს ამხანაგურად გაეჯიბრება.

საქმე ისაა, რომ ებრაელებმა მოიწერეს, დიდი სურვილი გვაქვს, გვესტუმროთ, ნოემბრის ბოლოს ანაც დეკემბრის დასაწყისში გელოდებით, როგორც ინებებთ, ისე იყოსო.

ჩვენები დაფიქრდნენ და თელ ავივში პასუხი გაგზავნეს, 9 დეკემბერს ჩამოვალთო. სავარაუდოდ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელები ებრაელებთან სათამაშოდ იმ შემადგენლობის ნახევარს გამოიძახებენ, რომელმაც ამას წინათ ესტონელები დაამარცხა. მათ გარდა კი გუნდში უკვე გამოცდილი, მაგრამ ახალგაზრდა ლეგიონერებიც იქნებიან.

ბობა ინასარიძე

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

E ჯგუფი. საქართველო

ჩეხეთი (25.11); შვედეთი (28.11); თურქეთი (2.12);

# უსტეფანიოდ...



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

ვლადიმერ სტეფანია

ოცდაშვიდში სიეტლში მივფრინავ — „მოგვახარა“ გუშინ ვლადიმერ სტეფანიამ ლიუბლიანიდან. ვერ გეტყვით, ამის გამგონე ნაკრების ხელმძღვანელობა რა ჭკუაზე დადგება, მაგრამ ქართველთათვის სამარცხვინო, ჯერაც გაუმარჯვებელ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ერთადერთ ნათელ წერტილად მოკიაფე 28 ნოემბრის თბილისურ შეხვედრაში შვედეთთან გამარჯვება უფრო შეთითხნილ თეორიას დაემსგავსა, ვიდრე რეალობას.

— სტეფანია ნაკრების 50 პროცენტია — ეს თვით ეროვნული გუნდის თავკაცის ლევან მოსეშვილის სიტყვებია და მიხვდებით, რომ უმისოდ დარჩენილებს, ნებისმიერი სანაკრებო თამაშის მოგების შანსები გაგვინახევრდა.

მართალია, სტეფანია ჩეხებთან აუცილებლად ითამაშებს, რაც თავადაც დაგვიდასტურა, მაგრამ მომდევნო თამაშებში მისი მონაწილეობა საბოლოოდ გამოირიცხა.

— ბილეთები უკვე აღებული მაქვს და დღეისწორს სიეტლში ვიქნები. ლოკაუტი კვლავ ძალაში რჩება, უბრალოდ პირად საქმეებზე ჩავდივარ, მწვრთნელს და მენეჯერს უნდა შევხვდე.

გადავწყვიტე, ჩემს ყოფილ, იტალიელ მენეჯერს კონტრაქტი შევუწყვიტო და სანაცვლოდ ახლა ამერიკულ ფირმას დავუკავშირდე, ვისთანაც ისეთი ცნობილი კალათბურთელი თანამშრომლობს, როგორიც კლივლენდელი შონ კემპია.

მოსაგვარებელია ასევე ბინის საკითხი და უნდა შევხვდე სარეკლამო აგენტებსაც, რომელნიც ჩემით დაინტერესდნენ. თავად რეგულარული სეზონი კი სავარაუდოდ იანვრიდან დაიწყება.“ — გაგვენდო სტეფანია.

# კინაღამ ქარაბაკიც გამოგვაკლდა

მართალი ყოფილა ქართველ კალათბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ზაზა ცაგარეიშვილი, ამას წინათ ჩვენთან საუბრისას რომ განაცხადა, სტეფანიას, ბერძენიშვილისა და ბოისას გარეშე ებრაელთა ეროვნულ გუნდთან თამაშს აზრი არა აქვს, შევრცხვებითო. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ისრაელში, ქალაქ ნათანიაში ემზადება მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის და გამგზავრებამდე სავარაუდო სპარინგ-პარტნიორად ებრაელთა პირველი გუნდიც განიხილებოდა.

ზემოთ ნახსენები კალათბურთელები ნაკრებს მხოლოდ ოცდასამში, პირდაპირ პრაღაში შეუერთდებიან და უმათოდ დარჩენილმა ჩვენებურმა კოჭმტკივანი ქარაბაკიც გამოაკლდათ, ისრაელის უმაღლესი ლიგის გუნდ რამათ განის „მაკაბისთან“ წააგეს. ადვილი წარმოსადგენია, რა დღესაც დაგვაყრიდა ებრაელთა ნაკრები, თუმცა ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ შესუსტებულ ქართველებს თავი დიდად არ შეურცხვენიათ და მხოლოდ ქულით დამარცხდნენ.

ლევან ქარაბაკს კი ერთ-ერთი ვარჯიშისას ფეხი დაუშავებია, მაგრამ, საბედნიეროდ, არცთუ სერიოზულად და ოცდახუთში, ჩეხეთთან აუცილებლად ითამაშებსო, დაგვამშვიდა გუშინ ნაკრების მეორე მწვრთნელმა პაატა გურასპაულმა. მისივე თქმით, ჩვენებურთა მარცხი წამყვანი მოთამაშეების არყოფნის გარდა იმანაც გამოიწვია, რომ ახლა ყველანი მხოლოდ ჩეხებთან შეხვედრაზე ფიქრობენ, გუშინდელი თამაში კი, რაც უნდა იყოს, საკონტროლო იყო და მწვრთნელებსაც საექსპერიმენტოდ გამოუყენებიათ.

ერთი სიტყვით, ოფიციალურ თამაშამდე ქართველების პირველი სერიოზული გამოცდა წარუმატებლად დამთავრდა. საკითხავია, ჩვენები კაცურინის შეგირდებთან დაშვებულ შეცდომებს ჩეხებთან მატჩში რამდენად საფუძვლიანად გამოასწორებენ.

# მსაჯი გია მოლოდინაშვილი საკალათბურთო ჩემპიონატზე:

- მთვრალ მსაჯს მოედანზე რა მოელანდება, ღმერთმა უწყის...
- ამას ჩემპიონატი არ ჰქვია. ეს ქართული პაპაჩუხობაა...
- მატჩების წინ მეუღლე მეხვეწება: არავინ გააგდო და არავინ დასაჯო, მოგკლავენო...

იხილეთ მეცხრე გვერდი

# ჯაგიდისმა სამი მილიონი ვალად ინატრა



ჯონი ჯაგიდისი —
„სიონის“ ცოცხალი ისტორია

*საქართველოს გუნდებში არცთუ ბევრი ვეტერანი თამაშობს. ოცდაათ წელს გადაცილებული ქართველი ფეხბურთელების უმრავლესობა, როგორც წესი, რუსეთის ან სხვა ქვეყნების დაბალი ლიგის კლუბებში პოულობს თავშესაფარს, ცდილობს ცოტაოდენი სახსარი მოიმარაგოს, რამდენიმე წელი მაინც რომ არჩინოს ოჯახი, სანამ სხვა საქმეს მოეკიდებოდეს. ჯონი ჯაგიდისი არსად წასულა. იგი ბოლომდე „სიონისა“ და ბოლნისელი გულშემატკივრების ერთგული დარჩა. არადა, ნიჭიერებით და სხვა მონაცემებით ბევრს როდი ჩამოუვარდებოდა. თავის დროზე კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სწორედ იმ ასაკში, როცა ფეხბურთელი ძალთა მოზღვავებას განიცდის, ყველაფერი თავდაყირა დადგა. ჩვენს მაშინდელ ქვეყანაში პოლიტიკამ შთანთქა ფეხბურთი და არა მარტო ის... ჯონი ჯაგიდისი „სიონის“ ცოცხალი ისტორიაა. ოცი წელია, ფეხბურთს თამაშობს. ეს დრო კი ექვსასზე მეტ მატჩს მოიცავს... აბა, ამის შემდეგ რა საჭიროა იმ მიზეზთა განმარტება, რის გამოც ჯონისთან გასაუბრება გადავიწყვიტეთ.*

**— ზუსტად რამდენი წლის ხართ?**

— ოცდათექვსმეტის.

**— გავიგე, ფეხბურთიდან წასვლა გადაგიწყვეტიათ.**

— ვაპირებდი მაგრამ ვერ შევძელი, გამიჭირდა ფეხბურთთან გამოთხოვება. ასეთი რამ ვერც წარმომიდგენია. თუმცა ვნახოთ, გუნდის ხელმძღვანელობა რას გადაწყვეტს...

**— მოდით, თქვენი საფეხბურთო ცხოვრება გავიხსენოთ.**

— 1979 წელს მოვედი „სიონში“. მანამდე კი ბოლნისის „ბაზალტში“ ვთამაშობდი ჯუმბერ ჩუმაშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ მოვხვდი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში, რომელიც „შრომითი რეზერვების“ სახელით გამოდიოდა. მოგილიოვში ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა და თუ არ ვცდები, მესამე ადგილი დავიკავეთ. ნაკრებს გოგი ანთიძე წვრთნიდა. ამის მერე კვლავ ბოლნისში ვთამაშობდი. 1984 წელს ისევ მიმიწვიეს ანთიძემ და ძოძუაშვილმა ნაკრების შემადგენლობაში. შემდეგ საბჭოთა არმიაში ვიმსახურე შვიდი თვე. დავბრუნდი „სიონში“ და აქამდე მის ღირსებას ვიცავ. თუმცა 1991 წლის სეზონი თბილისის „მრეტებში“ გავატარე. მაშინ იქ თამაშობდნენ ბუბა ტყავაძე, გელა ქორიძე და გიორგი ქინქლაძე. როცა „სიონი“ მესამე ჯგუფში გავარდა, მაშინვე ბოლნისს მივაშურე. მეორე წელსვე დავბრუნდით მეორე ჯგუფში.

**— საბერძნეთშიც ხომ თამაშობდით?**

— საბერძნეთში „მრეტების“ მერე წავედი, მაგრამ არ დავრჩი.

**— რომელ გუნდში იყავით?**

— არის ასეთი კლუბი, „ვერია“. ანდრო კიურჯიევთან ერთად ვისინჯებოდი. გუნდის ხელმძღვანელობამ გვითხრა, აპრილის თვეში ჩამოდითო. საქართველოში დავბრუნდი. ოჯახური პირობების გამო ვერ შევძელი საბერძნეთში წასვლა.

**— რას ნიშნავს თქვენთვის ფეხბურთი?**

— ალბათ, ყველაფერს. ვერ წარმომიდგენია, უფეხბურთოდ როგორ ვიცხოვრებდი. თითქმის ოცდამეერთე წელია, რაც ვთამაშობ. ისე, ათი წლიდან ვაგორებ ბურთს. 1975 წლის საბჭოთა კავშირის, „ტყავის ბურთის“ გათამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ვარ. ეს შეჯიბრი კიშინიოვში ჩატარდა.

**— ადრე თუ გვიან ფეხბურთიდან წასვლა გარდუვალია. ოჯახი როგორ უნდა არჩინოთ?**

— ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე შემპირდა, რაღაცას მოგიძებნი და დაგასაქმებო. მისი დიდი იმედი მაქვს.

**— ასეთ დროს სხვის იმედზე ყოფნა ძნელია...**

— ზამთარში ვაპირებ საბერძნეთში წასვლას. კარგად მოგეხსენებათ, მე ბერძენი კაცი ვარ და ელადაში ძალიან ბევრი ახლობელი მყავს. ვიცნობ იქაური კლუბების წარმომადგენლებსაც და შეიძლება ისინი ქართველი ფეხბურთელებით დაინტერესო.

**— გამოდის, მენეჯერობას აპირებთ.**

— ყოველ შემთხვევაში, ვეცდები მაინც.

**— თქვენი ოჯახის შესახებაც გვითხარით.**

— მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე, რუსუდან ჩუმაშვილი და ქალ-ვაჟი. ოთხი წლის ანი და რვა წლის ანრი.

**— ალბათ, ანრი ჯაგიდისიც ფეხბურთს ითამაშებს, არა?**

— მე კი მსურს, ეგრე იყოს, მაგრამ ჯერჯერობით ფეხბურთისადმი მიდრეკილებას ვერ ვამჩნევ. ჩემი შვილები ცეკვით არიან გატაცებულები და ორივე სტუდიაში დამყავს. ისე, ცხოვრება გვიჩვენებს, მომავალში რა იქნება...

**— ყველაზე მეტად რომელი მატჩები დაგამახსოვრდათ?**

— ზუგდიდის გუნდთან მოგვიწია სათასო შეხვედრამ. „სიონი“ მაშინ მეორე ჯგუფში იყო, ზუგდიდელები კი პირველში. სტუმრად 0:2 დავმარცხდით. განმეორებით მატჩში ასეთივე ანგარიშით ვძლიეთ მეტოქეს. ტრაბახში არ ჩამითვალოთ, მაგრამ პირველი გოლი შევაგდე დაახლოებით ორმოცი მეტრიდან და მეტოქეებმაც კი ვერ დამალეს აღფრთოვანება. სამწუხაროდ, იმ შეხვედრაში თერთმეტმეტრიანების სერიაში დავმარცხდით.

საუკეთესო მატჩად კი 1986 წლის თასის ფინალს დავასახელებდი. მერაბ ჯაფარიძე იყო მაშინ „სიონის“ მწვრთნელი. ფინალში ჩხოროწყუს „სამეგრელო“ დავამარცხეთ 2:0. ორივე ბურთი ნიკუშა ღოლიძემ გაიტანა. უზომოდ ბედნიერები ვიყავით.

**— ორი ათეული წელია, ფეხბურთში ხართ. ახლა არ მითხრათ, ჩაწყობილ მატჩში არ მითამაშიაო...**

— (დუმს!) კი იყო ასეთი შემთხვევა ადრე, მაგრამ არ მინდა ამის გამხელა.

**— ადრე თუ გვიან მაინც ყველაფერი ითქმება, რა აზრი აქვს დამალვას. მით უმეტეს, თუ ეს ფაქტი კარგა ხნის წინათ მოხდა.**

— კარგით, მოგიყვებით. ეს მოხდა კომუნისტების დროს, საქართველოს პირველობაზე. ყვარელის „დურუჯს“ ვმასპინძლობდით. სტუმრებს ჰყავდათ მცველი ტალახაძე, რომელიც ბომბარდირობისთვის იბრძოდა და ოთხი გოლი უნდოდა. დავუთმეთ შეხვედრა 3:4. წარმოიდგინეთ, მცველს ოთხი ბურთი გავატანინეთ, გუნდს კი ორი ქულა მივეცით იმ მიზნით, რომ მომავალ წელს ვალს გაგვისტუმრებდნენ. ჰოდა, ჩავედით ყვარელში და გვგონია, მოგება განაღდებული გვაქვს. არადა, მაგრად გვჭირდებოდა, თანაც ერთი ქულაც გვყოფნიდა. მაშინ იყო დასავლეთ და აღმოსავლეთის ზონები და ჩვენ აღმოსავლეთის ზონაში სამეულში გავდიოდით. კახელებმა თავი გაიგიჟეს, რის მოცემა, თქვენ ხომ არ გადაირიეთო. ისე, იმათაც ძალიან სჭირდებოდათ ჯგუფში დასარჩენად. მაშინ „დურუჯს“ თავკაცობდა აწგანსვენებული მწვრთნელი და იგი საავადმყოფოში იწვა. გამწარებულებმა დავიწყეთ თამაში და 2:0-ს ვუგებდით. ერთი მე შევაგდე, ერთი ბადრი უგულავამ პენალტით. მერე აქეთ დაგვიწყეს კახელებმა ხვეწნა-მუდარა, ქულა მოგვეცითო. იმ ცხონებულმა წერილი მოსწერა მერაბ ჯაფარიძეს, არ გაგვწიროთო. შეგვეცოდნენ და 2:2 დავამთავრებინეთ შეხვედრა. „დურუჯიც“ დარჩა ჯგუფში და ჩვენც სამეულში მოვხვდით.

**— მაშინდელი რეჟიმის პირობებში როგორ გაბედეთ ამის გაკეთება?**

— უჰ, მაგაზე ერთი ამბავი ატყდა. 3:4 რომ წავაგეთ ბოლნისის მაშინდელი აღმასკომის თავმჯდომარე გაგვიბრაზდა. არადა, იმ პერიოდში ჩემთვის ბინა უნდა მოეცათ კაზრეთში. ჰოდა, კინაღამ შეეწირა ჩემი ბინა ამ საქმეს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

**— ვიცი, რომ სვამთ...**

— (იცინის!) ძალიან მიყვარს.

**— რომელ სასმელს ანიჭებთ უპირატესობას?**

— ყველას არაყი მირჩევნია.

**— მერე ხელს არ გიშლით ფორმის აღდგენაში?**

— ახლა კი. როცა ახალგაზრდა ვიყავი, „პახმელია“ ვერაფერს მაკლებდა.

**— ყველაზე მეტად ვისთან გიადვილდებოდათ თამაში?**

— „სიონში“ ბესო უგულუვასთან და კობა ქობულაძესთან, თბილისის „მრეტებში“ კი გიორგი ქინქლაძესა და ბუბა ტყავაძეს ვუგებდი კარგად.

**— მწვრთნელებიდან ვის გამოარჩევდით?**

— მერაბ ჯაფარიძეს.

**— თუ დაგითვლიათ, სულ რამდენი ბურთი გაქვთ გატანილი?**

— ოო, ძალიან ბევრი. საქართველოს ადრინდელ პირველობაზე კი, ალბათ, უამრავი. ყოფილა შემთხვევა, სეზონში ორმოცდაექვსი გოლი გამქონდა. ოთხჯერ თუ ხუთჯერ ბომბარდირიც გავხდი. ერთხელ ორმოცდაშვიდი ბურთიც გავიტანე, მაგრამ მაშინ ზესტაფონის „მარგვეთში“ თამაშობდა ნოდარ კიკნაძე, ფეროს ვეძახდით. ჰოდა, ფერომ ბოლო ტურის საშინაო მატჩში რვა გოლი გააზერხა და ბომბარდირობაში ერთით მაჯობა...

**— ყველაზე მეტად რომელ ქალაქში და რომელ გუნდთან გიჭირთ თამაში?**

— იყო ასეთი გუნდი ოჩამჩირის „ამირანი“. ამ გუნდისთვის 7:1 რომ მოგვეგო ბოლნისში, იქ იგივეს გვიკეთებდა. ოჩამჩირეში მოგვიგებდნენ 2:0-ს, აქ ჩვენ დავამარცხებდით ასეთივე ანგარიშით და ასე შემდეგ. ვერც ისინი და ვერც ჩვენ სტუმრად ქულასაც ვერ ვახერხებდით.

**— კეთილად განწყობილი გუნდები თუ გყავდათ?**

— ყველაზე უფრო მეგობრულად წყალტუბოს „სამგურალთან“ ვიყავით. ქუთაისელი ბიჭები თამაშობდნენ წყალტუბოში — ონიანი, ტეხოვი და სხვები. ყველასთან ახლო ურთიერთობა გვქონდა.

**— თქვენი, გამოცდილი ფორვარდის თვალით დანახული ქართული მეკარეებიდან ვის გამოყოფდით?**

— საკმაოდ ნიჭიერი მეკარეები გვყავს და გამიჭირდება, თუმცა მაინც „სიონის“ დღევანდელ გოლკიპერ თემურ ვოლკოვს გამოვარჩევდი.

**— რა ნაკლი გაქვთ, როგორც ფეხბურთელს?**

— ასაკში რომ ვარ, ვატყობ, მოძრაობაში მიჭირს ბურთის მიღება და დაბალ პასს ვითხოვ-ხოლმე. ოდნავ მოვიკოჭლებ თავით თამაშისას. ორივე ფეხს კარგად ვხმარობ. ადრე ფიზიკურადაც ძალიან ძლიერი ვიყავი და საჯარიმოში მყარად ვიდექი. ხელითაც კი ვიჭერდი ხოლმე მცველებს, მაგრამ მსაჯები ვერ მამჩნევდნენ.

**— თაღლითობით ბევრი პენალტი გაგიკეთებიათ?**

— არა, არც ერთი. ყოველთვის საკმაო წონა მქონდა და თვითნებურად ნაღდად ვერ ვახერხებდი წაქცევას. ისე თერთმეტმეტრიანებს მე ვურტყამდი.

**— თქვენს იდეალად ვის მიიჩნევთ?**

— ზინედინ ზიდანს.

**— ნაკრები გუნდებიდან რომელს გულშემატკივრობთ?**

— ბრაზილიელებს. თუმცა საფრანგეთის ნაკრებიც ძალიან მომწონს.

**— ოცი წლით რომ დააბრუნონ ეს ცხოვრება...**

— ოღონდ ასეთი რამ მოხდეს და თუ გინდათ, სამი მილიონი დოლარი მქონდეს ვალად, თანაც ამ ჭკუაზე ვიყო.

**— მაინც რას იზამდით ასეთს?**

— ძალიან, ძალიან ბევრს. თავს შევაკლავდი ფეხბურთს. ახლა რომ მამიკოებს დაჰყავთ შვილები სავარჯიშოდ და ყველანაირ პირობებს უქმნიან, სად იყო ჩვენ დროს ასეთი რამ. ხან კედი არ მქონდა და ხან ბუცი, მაგრამ სკოლის ნაცვლად ფეხბურთზე გავრბოდი. მე რომ ასეთი პირობები მქონოდა, აუცილებლად დიდ ფეხბურთს ვითამაშებდი და მერწმუნეთ, ამას ტრაბახით არ ვამბობ...

**— ასეა თუ ისე, ფეხბურთმა პოპულარობა მოგიტანათ.**

— რა თქმა უნდა, პოპულარობა მეხმარებოდა კიდეც ბევრ საქმეში.

**— კონკრეტულად?**

— ინსპექტორებთან ურთიერთობაში, რესტორნებში, პოლიციაში მოხვედრისას.

**— პოლიციასთან რა საქმე გქონდათ?**

— ხშირად მიჭერდნენ ხოლმე „საზოგადოებრივი წესრიგის“ დარღვევისთვის.

**— ასეთს რას აკეთებდით?**

— ეჰ, ეგ რომ მახსოვდეს. აი, როცა დავთვრებოდი, ვითიშებოდი და...

**— ბოლნისელ გულშემატკივრებზეც გვითხარით.**

— ბოლნისელი გულშემატკივარი ყველასგან გამორჩეულია. ის სამართლიანია. „სიონი“ როცა ცუდად თამაშობს, ჩვენც შეგვიკურთხებს-ხოლმე. ერთხელ „კოლხეთთან“ მსაჯებმა დაგვწვეს და გულშემატკივარი არბიტრს ხელით შეეხო, რის გამოც ხუთი ქულა ჩამოგვაკლეს. ყველა გუნდს, ვინც ვაჟკაცურად გვიგებს თამაშს, ტაშით აცილებენ ბოლნისიდან.

მინდა, მადლობა უთხრა ბოლნისელებს ალა ასათიანის მეთაურობით.

**— ქართველ მსაჯებზე როგორი აზრის ხართ?**

— სხვათა შორის, ამ ბოლო დროს გამოსწორდნენ და არაფერ ცუდს არ ვიტყვი.

**— იქნებ ვერ დაგისვით ისეთი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა გსურდათ?**

— ღმერთმა გამითენოს ის დღე, როცა ჩემი საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდება. უბედნიერესი კაცი ვიქნები მაშინ. მინდა, ვუსურვო ბავშვებს, რომ დიდი ფეხბურთი ეთამაშოთ და გულშემატკივართა გულები გაეხარებინოთ.

**ხვიჩა სანიკიძე**

## პრობლემებით დიდუბიდან ვაკეში

გუშინ ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და ფედერაციის თითქმის ყველა თანამშრომელი ჟურნალისტებს შეხვდნენ.

საუბარი იყო იმაზე, თუ რისი გაკეთება მოასწრო ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ბოლო ოც დღეში. შეხვედრაზე ჯერაც გაუგონარი არაფერი მოგვისმენია.

ძველი ფედერაციის დანატოვარი ვალები გასასტუმრებელია. დებიტორული დავალიანების ექვსასი ათასი ლარიდან 250 ათასი ლარი უეფაშია გადასარიცხი, 240 ათასი კი სახელმწიფო ბიუჯეტში. არის სხვა წვრილმანი დავალიანებებიც.

ადრეც იყო ნათქვამი შვეიცარიულ „ტელესპორტთან“ 2005 წლამდე გაფორმებული ხელშეკრულება გადასახედიაო. ფედერაცია თურმე ამას უახლეს მომავალში აპირებს.

შესაცვლელია ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურა, დასახვეწია სფფ-ს წესდება-დებულება.

ფედერაციის ძველი შენობის რემონტი დასაწყებია, ოღონდ კონკრეტულად რა სახსრებით აპირებენ არცთუ ცუდი არქიტექტურის მქონე ნაგებობის განახლებას, არ თქმულა. მანამდე კი, ფეხბურთის ფედერაცია ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე ვაკის პარკის წინა 14-სართულიანი შენობის მე-13 სართულზე განთავსდება.

შემუშავების პროცესში ყოფილა ეროვნული გუნდის კალენდარი. ნაკრების მომავალ მეტოქეთა ვინაობა რამდენიმე წლით ადრე გვეცოდინებაო.

ახალი ფედერაცია სიძნელეების დაძლევას მოზიდული ინვესტიციებისა და ბიუჯეტიდან მიღებული დახმარებებით აპირებს. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის იმედად შორს ვერ წავალთ. 150-მილიონიანი გარღვევის მქონე ბიუჯეტს ფეხბურთისთვის, ალბათ, ზედმეტი თეთრიც არ მოეძევება.

მერაბ ჟორდანია გუშინვე შვეიცარიაში გაემგზავრა, 24 ნოემბერს უეფას წევრი ქვეყნების ფედერაციების პრეზიდენტთა რიგგარეშე კონგრესზე დასასწრებად.

**მიხეილ საბახტარიშვილი**



მერაბ ჟორდანია და ვალერი ხოლარია




## ოთხშაბათის თამაში

უამრავ ამხანაგურ თამაშებს შორის, შუა კვირაში რომ გაიმართა ალბათ ყველაზე ჩუმი და შეუმჩნეველი ქართველებისა და ესტონელების შეხვედრა იყო.

სუსტებს შორის ძლიერმა ესტონეთმა ბოლოხანს დაიგდო სახელი შოტლანდიაში მოპოვებული ქულით. თუ ესტონელებს „სუსტებს შორის ძლიერებს“ ვუწოდებთ, ქართველებისთვის სახელის დარქმევა გაგვიძნელდება. ჯობს „დასუსტებული“ დავარქვათ.

ბოლო დროს უნიათოდ და ულამაზოდ მოთამაშე საქართველოს ნაკრები ამ შემოდგომის ყველაზე შეუხედავი, მოსაწყენი და მთქნარების მოყვარე გუნდი იყო კონტინენტზე. მისი ბედი, რომ შესარჩევ ციკლში შესვენებამ მოუსწრო და ნაკრების უფროსობას ამოსუნთქვისა და მომავალზე დაფიქრების დრო მისცა.

ჩვენი გუნდი ისე თამაშობდა, თითქოს ვინმე ზარმაცი და უდარდელი კაცი ძალით გამოიყვანეს საქველმოქმედო აქციის გასამართად და დაფარვას კი ცდილობს მაგრამ მაინც ყოველი მოძრაობით გვიჩვენებს, ნახეთ, რამოტოლა პატივი დაგდეთ, თქვენი გულისთვის გეტრები ამოვიცვიო.

მაგრამ ეს ყველაფერი უკან დარჩა. ნაკრების უფროსობამ დრო გამონახა თუ არა ჭკვიანურ და ფიქრიან საქმეს, ახალბედათა გამოცდას მოჰკიდა ხელი.

ამიტომ, საქართველო-ესტონეთის მატჩი საინტერესო იყო.

ამ თამაშის ყურებისას ის დრო გამახსენდა, როცა გუცაევი ახალგაზრდულ ნაკრებს ხელმძღვანელობდა. იმ გუნდის ორი საუცხოო თამაში მახსოვს — ინგლისთან ჩარლტონში და იტალიასთან რუსთავში. რაც საქართველოს ეროვნული ნაკრები არსებობს, მას იმგვარი სიმწყობრით, ჟინითა და აზრით არ უთამაშია, როგორც ახალგაზრდებმა გამოავლინეს იმ ორ შეხვედრაში.

ახალბედათა ნაკრები, ოთხშაბათს რომ ირჯებოდა ჩვენს სტადიონზე, მონდომებითა და თამაშის სურვილით ძალიან ჰგავდა იმ შარშანდელ ახალგაზრდულს. თუმცა, როგორც გუნდი, როგორც გარკვეული ხარისხის მატარებელი ერთობა, გვარიანად ჩამორჩებოდა. მიუხედავად ამისა, აქ ჩანდა ოთხიხუთი ფეხბურთელი, უკვე გაზაფხულზევე რომ ძალუძს ძირითად შემადგენლობაში გამოჩენა.

საქართველოს ნაკრები მოძრაობდა და იბრძოდა. რამდენი ხანია ასეთი რამ აღარ გვინახავს! თორემ მის თამაშში რომ ბევრი ხინჯი, უხარისხობა და ქოშინი იყო ყველამ დავინახეთ. მთავარი პრინციპი იყო. ანუ ის, რომ გუცაევს ბევრად მეტი შეუძლია, ვიდრე საშემოდგომო თამაშებში მოახერხა.

ახალბედათა გამოცდა ესტონელებთან შედგა. თუმცა, ამას ვერც დაარქმევ გამოცდას. უბრალოდ, ეს ექსპერიმენტი იყო. ექსპერიმენტი და ნაბიჯი, თუნდაც სულ ერთი ბეწო, რაღაცის მოძიებისა. ეგებ ამ რაღაცას ახალი თაობის ამბიციაც ერქვას. ვინაიდან, არიან ბიჭები, რომლებსაც ჰკლავთ ნაკრებში გამოჩენის წყურვილი. ისინი მომავალზე ფიქრობენ. მათ უბრალოდ კი არ სჭირდებათ ნაკრებში თამაში, არამედ წყურვილი აქვთ. მათ თავიანთი ხვალინდელი დღის შექმნა სურთ.

წინ მთელი ზამთარია და ნაკრები არ უნდა შეჩერდეს იმ აზრით, რომ ექსპერიმენტი უნდა გაგრძელდეს. ეს აუცილებელია არა მხოლოდ სახვალიო შედეგისთვის, არამედ საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებისთვისაც. ყოველთვის უნდა არსებობდეს არჩევანის საშუალება. თუ არ არსებობს, უნდა შექმნა.

როცა არჩევანი არა გაქვს, გარემოებათა მსხვერპლი ხდები. გარემოებანი კი იშვიათადაა ისეთი, შენს საქმეს რომ ეხმარება.

საქართველოს ჩემპიონატი 15 ტური ეროვნული

# პაპის ნაჭამმა ტყემალმა...

ხვალ და ზეგ საქართველოს საიუბილეო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის მატჩები გაიმართება, თუმცა სეზონი ოცდაათ ნოემბერს მეექვსე ტურის გამოტოვებული „დინამო“ — „კოლხეთის“ შეხვედრით დამთავრდება. ცენტრალურად „იბერია“ — „კოლხეთის“ პაექრობა მივიჩნიეთ და თუ რატომ ამის შესახებ აქვე წაიკითხავთ.

სამტრედია
22 ნოემბერი
14 საათი
ეროსი მანჯგალაძე
15 000

## იბერია — კოლხეთი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი);
ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი);
დ. თოდუა (მარტვილი)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

პირველი წრის ბოლო ტურის ცენტრალურ შეხვედრად „იბერია“ — „კოლხეთის“ პაექრობას მივიჩნევთ. თუმცა ფოთელებისთვის სეზონი ხვალ არ მთავრდება. კოლხებს ორი მეტად რთული მატჩის გამართვა ელით ქუთაისსა და თბილისში. „ტორპედოსთან“ თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში, ხოლო „დინამოსთან“ ჩემპიონატის მე-6 ტურის გამოტოვებულ მატჩში მოუწევთ დიდი ოფლისღვრა.

„იბერიამ“, როგორც ჩანს, ხელი ჩაიქნია საევროპო ამბიციებზე (უფრო სწორად კი ჩააქნევინეს) და ახლა ცდილობს, საშუალო სიძლიერის გუნდად ჩამოყალიბდეს, ისეთად, რომლის წინააღმდეგაც ჩვენს ლიდერებს ერთობ გაუჭირდებათ თამაში. ამის ძალა კი იმერლებს ნამდვილად შესწევთ, ფეხბურთელებიც არ ჰყავთ ურიგო და მწვრთნელადაც გამოცდილი ვახტანგ კოპალეიშვილი მიიწვიეს.

ცუდი სტარტის შემდეგ „კოლხეთმა“ მთელი ძალების მობილიზება შეძლო და მესამე ადგილზეც დამკვიდრდა, თუმც ზურგს უკან „ლოკომოტივის“ სუნთქვას გრძნობს და კოლხები ყოველნაირად შეეცდებიან, თავი დააღწიონ საშიშ მდევარს.

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. სამტრედიელებს კი დღემდე აღრჩობთ სამი წლის წინანდელი ბოღმა. ჩემპიონობისთვის მებრძოლი მაშინდელი „სამტრედია“ ფოთში მსაჯებმა დაჩაგრეს და ამან ლომის წილი დაიდო იმერელთა საბოლოო დამარცხებაში საქართველოს მარად ჩემპიონთან პირველობისთვის ბრძოლაში. თუმცა იმ გუნდიდან „იბერიას“ მხოლოდ ჩომახიძელა შემორჩა და ისიც იმ დროს პირტიტველა ყმაწვილი იყო.

ხვალ რევანში ნაკლებად მოსალოდნელია, თუმცა ქულაც რომ აართვან იბერიელებმა ევროსაგზურისათვის მებრძოლ „კოლხეთს“, სამტრედიელი გულშემატკივრები ამასაც მოუწონებენ ახალგაზრდა ფეხბურთელებს და შეიძლება იმ დიდი გუნდის ღირსეული მემკვიდრეებადაც აღიარონ.

ისე, მას შემდეგ ფოთელთა შემადგენლობაც გვარიანად გადახალისდა და მათაც ნაკლებად მოეთხოვებათ წინამორბედთა ცოდვები, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო.



ვაჟა ქართველიშვილის ფოტო

იყო დრო, თავმომწონე კოლხებს ბაადურ კაკაჩიას და ნუგზარ მიქაბერიძეს (შუაში) გელა ფანჩულიძის (მარჯვნივ) და „სამტრედიის“ შეტევათა მოგერიება უჭირდათ

თბილისი
22 ნოემბერი
14 საათი
26 მაისი
16 000

## ლოკომოტივი — თსუ

მსაჯები: თ. ლაცაბიძე;
ს. შალამბერიძე, ა. მეშკოვი;
ა. ქარქაშაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

ეს შეხვედრა წესით მცხეთის „არმაზზე“ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ სხვაგვარად გადაწყვიტა. ამიერიდან რკინიგზელები საშინაო შეხვედრებს კვლავ ვაკეში, გაპარტახებულ „26 მაისის“ სტადიონზე გამართავენ. მასპინძლები ამ შეხვედრაში ნავსის გატეხვას შეეცდებიან. მათ ბოლო ოთხ ტურში ერთი გოლიც ვერ გაიტანეს, თუმცა არც საკუთარ კარში გაუშვიათ. თემურ მახარაძის შეგირდებს მეათე ჩემპიონატში მარცხის სიმწარე ჯერ არ განუცდიათ და, ალბათ, არც ამჯამად წააგებენ. ამ მატჩში მონაწილეობას ალბათ რკინიგზელთა დაცვის ბურჯი ვაჟა თარხნიშვილიც მიიღებს. იგი ესტონეთის ნაკრებთან შეხვედრაში დაშავდა, მაგრამ ტრავმა არც ისეთი მძიმე გამოდგა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა.

თსუ-ელები ბევრს იბრძვიან, მომენტებსაც ქმნიან, მაგრამ მათი გამოყენება უჭირთ. ამის დასატურად „ვიტ ჯორჯიასთან“ სათასო მატჩიც გამოდგება.

ისე, გამორიცხული არაა, მასპინძლებმა ძალები დაზოგონ, რადგან 26 ნოემბერს თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრა ელით თბილისის „დინამოსთან“.

წყალტუბო
22 ნოემბერი
14 საათი
26 მაისი
12 000

## სამგურალი — დინამო

მსაჯები: ს. კვარაცხელია;
კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ს. კახიანი (თბილისი);
ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ი. მჭედლიშვილი

წყალტუბოელთა პროგრესი უდავოდ თვალშისაცემია. თავად განსაჯეთ, 24 ოქტომბრის შემდეგ (მაშინ „სამგურალი“ „ტორპედოსთან“ დამარცხდა) გუნდს არ წაუგია: „გურიასთან“ საშინაო შეხვედრაში გამარჯვებას მან გორში სამი ქულაც მიაყოლა, მერე თანაბარ ბრძოლაში „არსენალს“ დაუზავდა, ორი დღის წინ კი სამტრედიელთა ძლევით თასის მეოთხედფინალში თამაშიც დაიბევა. ეს მაშინ, როცა ცოტა ხნის წინ „სამგურალი“ უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა და თითქოს კრიზისიც გარდუვალი იყო. ის, რომ გუნდმა ამ მდგომარეობას თავი დააღწია, გაიოზ დარსაძის დიდი დამსახურებაა, მისი საქმიანობა მართლაც ფასდაუდებელია.

ცოტა რამ ქვეყნის ჩემპიონზეც ვთქვათ. „დინამოს“ საუკეთესო დრო ნამდვილად არ უდგას. კლუბი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, ყოველივე კი გარკვეულწილად გუნდის თამაშსაც დაეტყო. თუმცა „დინამო“ მაინც იგებს და წყალტუბოშიც გასამარჯვებლად ჩავა, სხვა საქმეა, როგორ შეებრძოლება გუნებამოკეთებულ „სამგურალს“.

ლანჩხუთი
22 ნოემბერი
14 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
22 000

## გურია — გორდა

მსაჯები: პ. დოგრაშვილი;
გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი);
თ. მაჭარაძე (ხონი)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

ამ გუნდების დაპირისპირება ერთ დროს პრინციპული გახლდათ, ქვეყნის პირველ ჩემპიონატში კი ამ წყვილმა სულაც ბოლო ტურში გაარკვია ვიცე-ჩემპიონის ბედი. მაშინ ლანჩხუთში მასპინძლებმა 1:0 იმარჯვეს და ვერცხლის მედლებსაც დაეუფლნენ. დღეს კი ორივე გუნდი მძიმე მდგომარეობაშია. პირველი წრის ეს ბოლო შეხვედრა შეიძლებოდა არც კი ჩატარებულიყო. წინა ტურში „მერანთან“ გამოუცხადებლობა, წესით და რიგით, „გურიას“ ძვირად უნდა დაჯდომოდა, მაგრამ გათამაშებიდან მოხსნას გადარჩა და მხოლოდ წაგება ჩაეთვალა. თუმცა, არა გვგონია, ამით ლანჩხუთელებს რამ შემატებოდათ — გუნდი უკვე კარგა ხანია, აუტანელ ფინანსურ სიდუხჭირეს განიცდის. უკეთეს მდგომარეობაში არც რუსთაველები არიან, თუმცა მათ ქალაქის მერის სატელევიზიო გამოსვლამ (იგი ფეხბურთელებს თვის ბოლომდე ხელფასებს შეპირდა) დიდი სტიმული მისცა და თასის გათამაშების განმეორებით შეხვედრაში „გორდას“ ოდნავ ამაღლებულ განწყობას ბოლნისური „სიონი“ ემსხვერპლა.

გორი
22 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
8 230

## დილა — მერანი

მსაჯები: მ. მაღალურაძე (თბილისი);
ა. ორდენიძე (ონი), ზ. მენთეშაშვილი ;
ე. სილაგავა (ორივე თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

ბოლო წარმატება გორელებმა 17 ოქტომბერს მოიპოვეს. მაშინ „დილამ“ ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი „ტორპედო“ იმსხვერპლა. აქედან მოყოლებული დღემდე ქართლელებმა ერთხელაც ვერ გაიმარჯვეს, თასის გათამაშებაც ნაადრევად დატოვეს და გულშემატკივართა თვალში ნდობაც დაკარგეს. პირველი წრის ბოლო შეხვედრაში „დილა“ გამარჯვებისთვის იბრძოლებს, თუმცა მეტოქე არცთუ სუსტი ჰყავს მიუხედავად იმისა, რომ „მერანი“ მიმდინარე ჩემპიონატში დამაჯერებლად ვერ გამოიყურება, მეტოქისთვის ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალაა და საეჭვოა, უბრძოლველად რამე დათმოს. ესეც არ იყოს, გორში გამარჯვება ავჭალელებს ადრეც აქვთ დაჭაშნიკებული — მაშინ ისინი პირველი ჯგუფის დებიუტანტები იყვნენ და გორში საკმაოდ ძნელ გამარჯვებასაც (2:1) მიაღწიეს.

ბათუმი
22 ნოემბერი
14 საათი
დინამო
18 000

## ბათუმი — არსენალი

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი);
ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში);
ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი: გ. გვანცელაძე

ამ შეხვედრაში ფავორიტებად, ბუნებრივია, მასპინძლები ითვლებიან, თუმცა უშანსოდ არც თბილისელები არიან. ამის თქმის უფლებას წლევანდელ ჩემპიონატში ბათუმელთა არასტაბილური თამაში გვაძლევს. აღსანიშნავია, რომ ზღვისპირელებს თბილისურ გუნდებთან ბრძოლა განსაკუთრებით უჭირთ. არმიელებამდე ისინი ხუთჯერ შეხვდნენ დედაქალაქელებს და მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს, მათი მსხვერპლი 1 ნოემბერს თსუ გახდა.

„არსენალმა“ წლეულს უკვე მოახერხა ბათუმელთა ძლევა — თასის მერვედფინალში მეორეჯგუფელი „კოლეჯი“ ხუთშაბათს 4:0 გაანადგურა. არმიელები უკვე სამი მატჩია, არ დამარცხებულან, ეს ცხრილსაც დაეტყო. გუნდმა შეძლო აუტსაიდერთა რიგებისთვის თავი დაეღწია, თუმცა ქულათა არცთუ დიდი მარაგი აქვს და თავს დამშვიდების უფლებას ვერ მისცემს.

ქუთაისი
22 ნოემბერი
14 საათი
გივი კილაძე
23 800

## ტორპედო — სიონი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი);
ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე;
მ. ჯულაყიძე (ყველა სამტრედია)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

ქუთაისელებს რევანში სწყურიათ, მათ შარშანდელი წყენა ჯერ არ დავიწყებიათ. წინა სეზონის 29-ე ტურში უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლი „ტორპედო“ ბოლნისს ეწვია. იმ მატჩში სტუმრებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ, ისევე, როგორც პირველ ჯგუფში დასარჩენად მებრძოლ „სიონს“. შეხვედრის მსვლელობისას ქუთათურები 3:1 უგებდნენ მეტოქეს, თუმცა საბოლოოდ 3:4 დამარცხდნენ და ინტერტოტოს საგზურს დასჯერდნენ. ახლა კი მასპინძლები, ალბათ, შურს იძიებენ, მით უმეტეს, „სიონსაც“ უჭირს. ბოლნისელებმა ბოლო დროს თითქოს გამოასწორეს თამაში, მაგრამ ორი დღის წინ თასზე გაჭირვებულ „გორდასთან“ შინ 1:4 წაგებამ ყველაფერი ნათელი გახადა.

„ტორპედომ“ კი კიდევ უფრო მოუმატა. ამას რუსთავში „გორდას“ მიწასთან გასწორებაც მოწმობს — 7:1

მცხეთა
23 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
3 000

## ვიტ ჯორჯია — ოდიში

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი);
ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი);
გ. ასკაროლლი (ქარელი)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

„ვიტ ჯორჯიას“ თასზე გამართული შეხვედრების ჩათვლით უკვე ხუთი მატჩია, არ მოუგია. ამას სადისციპლინო კომიტეტის მიერ სამი ქულის ჩამოკლებაც დაერთო და შედეგიც სახეზეა. გუნდს გათამაშების ცხრილში მეთხუთმეტე ადგილი უკავია და მაჩანჩალა „გურიას“ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს, არადა, ვიტელთა შემდგენლობას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ბევრად მეტი შეუძლიათ.

„ოდიშმა“ პირიქით, ბოლო დროს აშკარად მოუმატა. ზუგდიდელებმა ორშაბათს ჩემპიონატის მატჩში ყველასთვის მოულოდნელად „ბათუმი“ დაამარცხეს, ხუთშაბათს კი თასზე „მერანს“ მოუგეს 1:0, თუმცა შემდეგ ეტაპზე მაინც მეტოქე გავიდა.

ასე რომ, „არმაზზე“ წესით და რიგით, საინტერესო და დაძაბული მატჩი უნდა ვიხილოთ. „ვიტ ჯორჯია“ ყველაფერს იღონებს გასამარჯვებლად.

საქართველოს ჩემპიონატი 14 ტური

14 ნოემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| არსენალი | 1 |
| სამგურალი | 1 |

15 ნოემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| დინამო | 4 |
| დილა | 0 |
| გორდა | 1 |
| ტორპედო | 7 |
| სიონი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |
| თსუ | 1 |
| იბერია | 1 |
| კოლხეთი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

16 ნოემბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ოდიში | 2 |
| ბათუმი | 1 |

30 ნოემბერი. ორშაბათი
VI ტურის
გამოტოვებული მატჩი
დინამო — კოლხეთი

| № | # | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო (1) | 1 | 13 | 10 | 3 | 0 | 41:7 | 34 | 33 | 7 | 6 | 1 | 0 | 31:6 | 25 | 19 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:1 | 9 | 14 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 14 | 10 | 2 | 2 | 38:14 | 24 | 32 | 6 | 5 | 1 | 0 | 20:5 | 15 | 16 | 8 | 5 | 1 | 2 | 18:9 | 9 | 16 |
| 3 კოლხეთი (3) | 3 | 13 | 8 | 2 | 3 | 31:17 | 14 | 26 | 8 | 7 | 1 | 0 | 24:6 | 18 | 22 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | -4 | 4 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 5 | 14 | 5 | 9 | 0 | 15:5 | 10 | 24 | 6 | 2 | 4 | 0 | 5:1 | 4 | 10 | 8 | 3 | 5 | 0 | 10:4 | 6 | 14 |
| 5 ბათუმი (2) | 4 | 14 | 6 | 5 | 3 | 22:13 | 9 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | 10 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 9 |
| 6 დილა (9) | 6 | 14 | 6 | 3 | 5 | 18:18 | 0 | 21 | 6 | 4 | 0 | 2 | 9:4 | 5 | 12 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:14 | -5 | 9 |
| 7 იბერია (დ) | 7 | 14 | 5 | 2 | 7 | 24:29 | -5 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:8 | 5 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 11:21 | -10 | 7 |
| 8 არსენალი (დ) | 8 | 14 | 4 | 5 | 5 | 18:24 | -6 | 17 | 7 | 1 | 4 | 2 | 10:11 | -1 | 7 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:13 | -5 | 10 |
| 9 ოდიში (5) | 11 | 14 | 5 | 1 | 8 | 12:24 | -12 | 16 | 8 | 3 | 1 | 4 | 8:13 | -5 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 6 |
| 10 მერანი (7) | 13 | 14 | 3 | 7 | 4 | 10:13 | -3 | 16 | 8 | 2 | 5 | 1 | 5:2 | 3 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 5 |
| 11 სიონი (13) | 9 | 14 | 4 | 3 | 7 | 15:28 | -13 | 15 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 12 | 6 | 1 | 0 | 5 | 4:19 | -15 | 3 |
| 12 სამგურალი (12) | 10 | 14 | 4 | 2 | 8 | 13:28 | -15 | 14 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 9 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:21 | -14 | 5 |
| 13 თსუ (8) | 14 | 14 | 3 | 4 | 7 | 13:19 | -6 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:14 | -5 | 5 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 8 |
| 14 გორდა (11) | 12 | 14 | 2 | 7 | 5 | 8:15 | -7 | 13 | 8 | 2 | 4 | 2 | 6:10 | -4 | 10 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:5 | -3 | 3 |
| 15 ვიტ ჯორჯია (10) | 15 | 14 | 4 | 2 | 8 | 14:17 | -3 | 11 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:9 | -1 | 6 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:8 | -2 | 8 |
| 16 გურია (14) | 16 | 14 | 3 | 1 | 10 | 14:35 | -21 | 10 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 0 | 9 | 8 | 0 | 1 | 7 | 5:26 | -21 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

# ის და წინა საზიზღარი

**ფიორენტინა**

დაარსდა 1926 წლის 26 აგვისტოს
იტალიის ჩემპიონი: 1959, 1969
იტალიის თასი: 1940, 1961, 1966, 1975, 1996
თასების თასი: 1961
სტადიონი: „არტემიო ფრანკი", იგივე „სტადიო კომუნალე" (47 282 მაყურებელი)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
ყველაზე მეტი მატჩი: ჯანკარლო ანტონიონი 341
ყველაზე მეტი გოლი: კურტ ჰამრინი 151

**ინტერი**

დაარსდა 1908 წელს
იტალიის ჩემპიონი: 1910, 1920, 1930, 1938, 1940, 1953, 1954, 1963, 1965, 1966, 1971, 1980, 1989
იტალიის თასი: 1939, 1978, 1982
ჩემპიონთა თასი: 1964, 1965
უეფას თასი: 1991, 1994, 1998
საკონტინენტთაშორისო თასი: 1964, 1965
სტადიონი: „ჯუზეპე მეაცა", იგივე „სან სირო" (85 700 მაყურებელი)
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი
ყველაზე მეტი მატჩი: ჯუზეპე ბერგომი 503
ყველაზე მეტი გოლი: ჯუზეპე მეაცა 197

## FIORENTINA vs INTER

მათ შორის სხვაობა ოთხი ქულაა. „ფიორენტინა" 18 ქულით პირველ ადგილზეა, „ინტერი" 14 ქულითა და უდიდესი ამბიციით მეექვსეზე.

ფლორენციელებს ურჩხულები მოსდევენ: „რომა", „იუვენტუსი", „პარმა", „მილანი" და „ინტერი", მისი ამ ტურის სტუმარი.

თუ „ფიორენტინა" გაიმარჯვებს, ლიდერობასაც შეინარჩუნებს და „შავ-ლურჯ" დრაკონსაც უკვე შვიდი ქულით ჩამოიტოვებს, ხოლო თუ „ინტერი" მოიგებს, მაშინ ყველაფერი შეიცვლება: ჯერ ერთი ფლორენციელებსა და მილანელებს შორის სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდება, მეორეც, ალბათ სერია A-ს ახალი ლიდერი გამოუჩნდება, რადგან „რომა" „ბარის" მასპინძლობს, „იუვენტუსი" კი „ემპოლის".

თუ „ფიორენტინა" გაიმარჯვებს... ეს სიტყვები ვიღაცამ 70 წლის წინათაც თქვა, როდესაც ფლორენციის გუნდი სერია A-ში პირველი შეხვედრისთვის ემზადებოდა — 1928 წლის 30 სექტემბერს „ფიორენტინამ" სწორედ „ინტერთან" წააგო 0:3.

60-იან წლებში მსოფლიო ფეხბურთმა კატენაჩო და „ილ გრანდე ინტერ" ანუ „დიდი ინტერი" შვა. „ილ გრანდე ინტერ" დედამიწაზე ყველას ჯობდა და ალბათ ამიტომაც ეზიზღებოდათ ზიზღით ცნობილ ფლორენციელებს ყველაზე მეტად.

„აბა თამაში ის იყო თუ იყო" — იგონებს ისტორიული წიგნის „ასოციაციონე კალჩო ფიორენტინას" ავტორი, სანდრო პიკი — „ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, მოვუგებდით თუ ვერა ელინიო ერერას გუნდს".

ფლორენციის კაფე-ბარებში დღემდე ასეა, მოწრუპავენ ჩინზანოს და ღიმილით იგონებენ 1964 წლის 20 დეკემბერს, როდესაც „ინტერიდან" „ფიორენტინაში" გადასული უმბერტოს ორმა გოლმა მათ ენით აუწერელი სიხარული და ფრე მოუტანა. ის შეხვედრა 2:2 დამთავრდა.

სამაგიეროდ, ფლორენციის კაფე-ბარებში არ უყვართ საპასუხო მატჩის გახსენება. იქ, „სან სიროზე" მაშინდელმა ჩემპიონმა „ფიორენტინას" 6:2 მოუგო.

ზიზღი უცნაური რამაა. არსებობს ვიღაცის ან რაღაცის ზიზღი, რომელიც შეიძლება განელდეს, მაგრამ არის ზიზღის სიყვარულიც. ფლორენციაში ვინმე თუ არ სძაგთ, ფეხბურთს აზრი ეკარგება. 1981 წელს, ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში „ფიორენტინას" „სკუდეტო" ანუ ეროვნული ტიტული „იუვენტუსმა" წაგლიჯა და ზიზღმა საგანი იცვალა.

საბრალო გრაფი ლუიჯი რიდოლფი. ის უთუოდ საფლავში ბორგავს. მას ხომ ეზიზღებოდა ზიზღი და როდესაც 1928 წლის 30 სექტემბერს, „ბელინის" სტადიონის გასახდელიდან „ინტერთან" სათამაშოდ ძველი, თანაქალაქელი მტრების „სპორტივო ფირენცესა" და „პალესტრა ჯინასტიკა ლიბერას" გაერთიანებით შექმნილი გუნდი „ფიორენტინა" გავიდა, ეგონა, რომ ქალაქში სიყვარულმა გაიმარჯვა. ასევე ფიქრობდა იმჟამინდელ არისტოკრატთა უმეტესობა.

სანდრო პიკი წერს: „გრაფმა ფეხბურთში მშვიდობა იქადაგა და „ფიორენტინა" — „ინტერის" მატჩი მისთვის ზეიმი იყო".

მაგრამ ზიზღი? რატომ სძულდათ ფლორენციელებს „ილ გრანდე ინტერ"?

„ალბათ შურდათ" — ამბობს პიკი.

„ფიორენტინა" ქვეყნის მეორე გუნდი იყო. 1957-60 წლებში, ზედიზედ ოთხჯერ, ყველას აჯობა ერთის გარდა. იგივე მოხდა ევროპის ჩემპიონთა თასის 1957 წლის გათამაშებაშიც: ფინალში, მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალთან" დამარცხდა.

„გვჩაგრავენ, ყველა ჩვენს წინააღმდეგაა" — ბრაზობდნენ ფლორენციის კაფე-ბარებში, რადგან ვერ დაეჯერებინათ, რომ მათ გუნდს ვილაც ჯობდა. საბაბად 1961 წლის 8 იანვარი ჰქონდათ.

8 იანვარს „ფიორენტინა" 1:0-ს იგებდა. „ინტერს" კუთხური უნდა ჩაეწოდებინა. უცებ მსაჯმა, კონჩეტო ლო ბელომ (მისი სახელი კაფე-ბარებიდან დღემდე არ გასულა) დაუსტვინა და ხელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა. თურმე „ფიორენტინას" მცველი ჯანფრანკო პერტისი „ინტერის" თავდამსხმელს ჩაბღაუჭებია. ანგარიში გათანაბრდა. გავიდა ორიოდე წუთი და პერტისმა ისევ შემოაჭდო ხელი მეტოქეს. ლო ბელომაც ისევ დაუსტვინა. მეორე პენალტით „ინტერმა" ვეღარ ისარგებლა, მაგრამ...

„დუჩე დუჩე" — ღრიალებენ ფლორენციელები. მათთვის დე ბელო მუსოლინი იყო.

1971 წელს ცოტათი დაცხა: სტადიო კომუნალეზე „ინტერმა" ვერ შეინარჩუნა უპირატესობა, თამაშის მიწურულს ჯუზეპე ბრიცის დარტყმული გაუშვა. ანგარიში გათანაბრდა და „ფიორენტინა" ლიგიდან გავარდნას გადაურჩა.

...ამბობენ, ბოლო წლებში „ინტერს" და „ფიორენტინას" ბევრი საერთო აქვთო.

„ინტერის" დღევანდელი პრეზიდენტი გახლავთ მასიმო მორატი, „ილ გრანდე ინტერის" შემქმნელი პრეზიდენტის ანჯელო მორატის ვაჟი.

„ფიორენტინას" დღევანდელი პრეზიდენტი კი გახლავთ ვიტორიო ჩეკი გორი, კინოპროდიუსერი, რომლის მამა მარიო ჩეკი გორი ოცდაათიან წლებში ფლორენციელთა ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა, ხოლო 1991 წელს კლუბი ვალებში ჩაძირვისგან იხსნა.

მასიმო მორატი 1995 წელს ჩაბრძანდა იმ სავარძელში, ოდესღაც მამამისი რომ იჯდა. მან ფეხბურთელების შეძენითა და მწვრთნელთა ცვლით სცადა „ილ გრანდე ინტერის" გამეორება. „ინტერმა" გასულ სეზონში უეფას თასი მოიპოვა, „სკუდეტო" კი ჯერ წინაა.

ვიტორიო ჩეკი გორიმ 1993 წელს „ფიორენტინადან" ის მწვრთნელი გაუშვა, რომელმაც გუნდი კვლავ დაწყევლილ მეორე ადგილზე გაიყვანა — გაუშვა და ფლორენციელებმა სერია B-ში ამოყვეს თავი. სამაგიეროდ, ჩეკი გორიმ არგენტინელი თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა იყიდა — „ფიორენტინა" დაუყოვნებლივ დაბრუნდა სერია A-ში და 1996 წელს მეხუთედ მოიგო ეროვნული თასი.

წლეულს „ფიორენტინას" ახალი მწვრთნელი ჰყავს, ჯოვანი ტრაპატონი, თავდასხმაში კი ბატისტუტას მხარდამხარ ბრაზილიელი ედმუნდო თამაშობს.

ხოლო „ინტერის" ვარსკვლავებს შორის გამორჩეულად ედმუნდოს თანამემამულე რონალდო კაშკაშებს ...კაშკაშებდა...

რონალდო ცუდ ფორმაშია, დღედალამ მუშაობს და ბრაზილიიდან გამოძახებულ ფსიქოთერაპევტთან საუბრობს. დღისით, „ინტერის" სხვა წევრებთან ერთად მას აპიანო ჯენტილე ავარჯიშებს, საღამოობით ნილტონ პეტრონე სეანსებს უტარებს. პეტრონე მასთან ცხოვრობს. რონალდოს „სან სიროს" შორიახლოს აქვს სახლი დაქირავებული. სახლშივე აქვს სპორტული დარბაზი და აუზი.

„ვიცი, ფლორენციაში ის შესაძლებლობათა 51 პროცენტს გამოავლენს. მეტს არც მოვთხოვ" — თქვა „ინტერის" მწვრთნელმა ლუიჯი სიმონიმ.

**მიხეილ სურგულაძე**



„ფიორენტინას" ვარსკვლავები: ედმუნდო და გაბრიელ ბატისტუტა

## ფეხბურთის რუკასთან



**ჰოლანდიის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „ეინდჰოვენი"** „ფილიპსის" სტადიონის 10 ათასი ადგილით გაზრდას აპირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპის 2000 წლის ჩემპიონატისთვის სარბიელზე 40 ათასი მაყურებელი დაეტევა. მშენებლობის დაწყებას ნაახალწლევს აპირებენ და ვარაუდობენ, რომ 1999-2000 წლების სეზონისთვის ყველაფერი მზად იქნება. „სტადიონის კუთხეები შეკრული არ არის, ამიტომაც თუ ამ სივრცეებს ამოვავსებთ, გაცილებით მეტი ხალხი დაგვეტევა" — განაცხადა „ეინდჰოვენის" პრეს ატაშემ, პედრო სალასარმა — „ჩვენი სტადიონი ხომ ევრო 2000-ისთვის არის შერჩეული და ამიტომ მისი განახლება აუცილებლობა გახლავთ. ჩვეულებრივ კი „ეინდჰოვენის" თამაშებს 26 ათასი მაყურებელი ესწრება, რომელთაგან 24 ათასს წლიური აბონემენტი აქვს".

**ესპანურ „რეალ სარაგოსას"** დეკემბერში რუსი ფეხბურთელი ვლადისლავ რადიმოვი დატოვებს. მას სამშობლოში დაბრუნება აქვს გულში ამოჭრილი. ამ ნახევარმცველმა ახალ სეზონში, „სარაგოსას" სასტარტო შემადგენლობაში ერთხელაც ვერ მოიპოვა ადგილი. „რუსეთში დაბრუნება მინდა, რადგან აქ, სარაგოსაში ორი წელიწადში სულ რვაჯერ მათამაშეს, ეს კი ძალიან ცოტაა. ახალ სეზონში, ჯამში 27 წუთი დავყავი მოედანზე, არადა, ორი წლის წინ რუსეთის უპირობო ფეხბურთელი გახლდით, ისეთივე, როგორებიც „სელტაში" მოთამაშე ალექსანდრ მოსტოვოი და ვალერი კარპინი არიან. მწვრთნელს უკვე გავანდე გუნდიდან წასვლის სურვილი. მან მითხრა, რომ გასაშვებად არ ვემეტები, მაგრამ ითვალისწინებს ჩემს ასაკს (22 წელი) და თამაშის სურვილს. მესმის, რომ ჩემში დიდი თანხაა გადახდილი, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს" — განაცხადა რადიმოვმა.

**ნორვეგიის ნაკრების გადამდგარი მწვრთნელი ეგილ ოლსენი** სამშობლოში დარჩა. მან „ვალერენგასთან" სამთვიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ერთი წლის მერე თუ ოლსენი თანამდებობიდან წასვლას მოინდომებს, ხელი არ შეეშლება. ნაკრებიდან წასვლის მერე ოლსენს „ვალერენგასთან" დროებითი კონტრაქტი ჰქონდა დადებული. მაშინ ოსლოს კლუბი გავარდნის საშიშროების წინაშე იდგა, საბოლოოდ კი მეშვიდე ადგილზე გავიდა და თასების მფლობელთა თასზე მეოთხედფინალსაც მიაღწია. „ოსლოში დარჩენა უამრავმა გარემოებამ გადამაწყვეტინა, უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ მოღვაწეობის სფერო არ შევიცვალე და კვლავ ვაკეთებ იმას, რაც ყველაზე უკეთ მეხერხება. მეორე მიზეზი ისაა, რომ ამ შემოდგომაზე „ვალერენგას" ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობა დავამყარე და მსიამოვნებს, რომ კვლავ მათთან ვიქნები" — განაცხადა 56 წლის კომუნისტმა პრესკონფერენციაზე.

# ფრენკის ცინიკური მილოცვები

გერმანელებისა და ჰოლანდიელების ორთაბრძოლა უინტერესო არასდროს ყოფილა. ასე იყო 1974 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, 1990 წლის მსოფლიოს პირველობაზე, 1992 წელს ისევ ევროპის ჩემპიონატზე. ასევე იყო 18 ნოემბერს, ოთხშაბათს, როდესაც ეს ორი გუნდი ქალაქ გელზენკირხენში კვლავ წარდგა ერთმანეთის წინაშე, ამჯერად ამხანაგურად. თუმცა ამხანაგური იმ შეხვედრას პირობითად ერქვა, რადგან შეუძლებელია, გერმანია და ჰოლანდია საფეხბურთო მოედანზე ერთმნეთს კეთილგანწყობით დაუპირისპირდეს, ისევე, როგორც ბრაზილია — არგენტინა, ანაც ინგლისი და შოტლანდია.



ფრენკ რაიკაარდი

სამი დღის წინ გელზენკირხენში უშელავათო ბრძოლა გაჩაღდა — უმაღლესი დონის ფეხბურთი. ეს უკვე ტრადიციაა. ტრადიცია, რომელიც, არა გვგონია, ოდესმე დაირღვეს. ჰოლანდიელებს გერმანიაში ფრენკ რაიკაარდი გაუძღვა, კაცი, რომელიც სულ ახლახან, როგორც ფეხბურთელი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა წინააღმდეგ იბრძოდა. ალბათ, ყველას ახსოვს ის თამაშები. თუნდაც 1990 წლის მსოფლიოს პირველობა რად ღირს, როცა გერმანელებისა და ჰოლანდიელების შეხვედრაში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია და რაიკაარდს ნერვებმა უმტყუნა. მაშინ მას რუდი ფიოლერთან მოუვიდა კონფლიქტი და მეტად უღირსად მოიქცა — მეტოქეს შეაფურთხა. შედეგად ორივეს დროზე ადრე მოუხდა მოედნის დატოვება, მატჩი კი მომავალმა მსოფლიოს ჩემპიონებმა, გერმანელებმა მოიგეს.

18-ში ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. პირველში სტუმრები აშკარად სჯობდნენ მასპინძლებს, მეორეში — პირიქით. ფეხბურთის სპეციალისტებმა შეხვედრის შემდეგ ერთხმად აღნიშნეს, პირველი 45 წუთის განმავლობაში ჰოლანდიელები სახელოვან წინამორბედებს ჰგავდნენო. ასეც იყო: ორგანიზებული თამაში, ერთ მუშტად შეკრული დაცვა, გამოზომილი პასები და შეტევაში სიახლე.

— ძირითადი პრობლემა ის კი არ არის, რომ გუნდს გოლის გატანა უჭირს, ამას ყოველთვის მოევლება. მთავარია, დაცვასა და ნახევარდაცვაში იყოს ურთიერთგაგება. ასევე მეტად მნიშვნელოვანია მატჩის სანახაობრივი მხარე, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის — აღნიშნა სიტყვაძუნწობით განთქმულმა რაიკაარდმა.

პირველი ტაიმის მშვენება რაიციგერის გოლი იყო — ძალიან შორიდან გატანილი. მეორე ნახევარში უბერხკამპო და უდავიდსო „ნარინჯისფერები" რაიკაარდმა წამყვანი ფეხბურთელების გარეშე დატოვა. ამით ისარგებლეს გერმანელებმა და მეტოქეს აშკარად აჯობეს. თუმცა...

— ჩემი მიზანი ამ კონკრეტული მატჩის მოგება არ იყო, ამიტომაც გამოვიყვანე მეორე ტაიმში ახალბედა და გამოუცდელი მოთამაშეები. მე მათი შესაძლებლობები მაინტერესებდა, თორემ დღესდღეობით გერმანელებზე უკეთეს ფორმაში რომ ვართ, ყველამ კარგად დაინახა.

რაიკაარდი კმაყოფილი ჩანდა. მას არც გერმანელთათვის კბილის გაკვრა დავიწყებია, ეს ხომ 90-იანი წლების დასაწყისის ჰოლანდიელ ფეხბურთელებს სისხლში აქვთ გამჯდარი. თუმცა საბოლოოდ რაიკაარდმა მაინც ღირსეულად შეაფასა მეტოქის ძალა. ალბათ, გაახსენდა, რომ დღესდღეობით უკვე მწვრთნელია, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრების მწვრთნელი და ნარინჯისფერი მაისური კი არა, პიჯაკი აცვია და ჰალსტუხიც უკეთია.

— მიუხედავად კრიზისისა, გერმანელები, როგორც ყოველთვის, კვლავაც ძალიან ძლიერები არიან. მათ თამაშში ისევ იგრძნობა ძალა, დისციპლინა და რაც მთავარია, მონდომება. ისინი მალე კვლავ „ძველი" გერმანელები იქნებიან და მინდა, ეს ამბავი წინასწარ მივულოცო.

**ნოდარ ქასრაძე**

# ის გრძნობა სიცოცხლის ბოლომდე გამყვება

*25 დეკემბერს ევროპელები შობის დღესასწაულს ზეიმობენ. ყველა სხვა პროფესიის ადამიანთან ერთად რელიგიური დღესასწაული ფეხბურთელებისთვისაც გამორჩეულია, მაგრამ ამ ნახევარი საუკუნის წინ, ფრანგულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ 25 დეკემბერს სხვა დატვირთვაც მისცა — ჟურნალი სწორედ ამ დღეს ავლენს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს და „ოქროს ბურთითაც“ აჯილდოვებს. ტრადიცია აგერ უკვე 42 წელია, არ დარღვეულა. 1956 წლიდან მოყოლებული, ბებერი კონტინენტის სხვადასხვა სპორტული გამოცემები რჩეულთა შორის რჩეულს ასახელებენ.*

*დეკემბრის ოცდახუთამდე დიდი დრო არ დარჩა.*

*ქვემოთ ზინედინ ზიდანთან გთავაზობთ ინტერვიუს, ფეხბურთელთან, რომელიც, ქომაგთა აზრით, „ოქროს ბურთის“ უპირველესი პრეტენდენტია.*

**— მსოფლიოს ჩემპიონატი რამდენიმე თვის წინ დასრულდა. მორიგი სეზონი დაიწყო. ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

— ზუსტად ვერ აღვწერ გრძნობებს, მაგრამ დადებითი ემოციებით რომ ვარ დამუხტული, ფაქტია. მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებამ თვითრწმენა გაგვიათკეცა. შესაძლოა მედიდურნიც გავხდით, მაგრამ უდიდესი წარმატების მიუხედავად, საკუთარი ადგილი არავის დაგვიწყებია. არა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გატანილმა გოლებმა ძალიან გამახარა, დარწმუნებული ვარ, იმ წუთებში ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. ის სიხარული და აღტკინება ახლაც თან მდევს და უეჭველია, სიცოცხლეში ბოლომდე გამყვება.

**— ხანდახან დიდი წარმატების შემდეგ მოთამაშეთა მიდგომა ფეხბურთისადმი იცვლება. თქვენ თუ იგრძენით ასეთი რამ?**

— დიახ. ერთ დღეს ყველაფერი მომბეზრდა, მაგრამ უმალ მივხვდი, რომ ასეთი დამოკიდებულებით თავს დავიღუპავდი. ყოფილან დიდი ფეხბურთელები, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატი ვერ მოუგიათ, მაგრამ ამით მათ არაფერი დაჰკლებიათ. მე სულაც არ მსურს, მსოფლიოს ჩემპიონი ვიყო და არაფერს წარმოვადგენდე. ტიტული ტიტულად, მაგრამ ძალიან მინდა, ფეხბურთში მთლიანად დავიხარჯო. წინ დიდი გზაა გასავლელი. მსოფლიოს ჩემპიონობა მწვერვალი იყო. ვეცდები, გზა განვაგრძო.

**— მსოფლიოს ჩემპიონატი მოთამაშისგან მაქსიმუმს მოითხოვს. ასეთი დონის შეჯიბრებებზე თუ რაიმეს მიღწევა, გსურს თავი არ უნდა დაზოგო. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძლიერი ზინედინ ზიდანი ნაკრების გარდა „იუვენტუსსაც“ სჭირდება.**

— მზად ვარ. მინდა, რაც შეიძლება მეტი ჯილდო და თასი მოვიგო, რადგან ის გრძნობა, რაც ოქროს თასის ალმართვისას დამეუფლა, არასდროს დამავიწყდება. მსოფლიოს ჩემპიონატმა გამარჯვებების სურვილი გამიღვივა. ჩემი დიდი სურვილია, ზედიზედ მესამედ გავხდე იტალიის ჩემპიონი, თუმცა ვიცი, რომ ეს ურთულესი რამაა. არც ჩემპიონთა თასზე ვიტყოდი უარს. ვეცდები, კლუბს ყველანაირად შევუწყო ხელი. მე მართლაც მზად ვარ.

**— ახალი სეზონის წინ ბევრმა კლუბმა უამრავი ფეხბურთელი შეიძინა. „იუვენტუსი“ კი ასე არ მოიქცა. რატომ?**

— კლუბის საქმიანობაში არასდროს ვერევი, მაგრამ ვთვლი, რომ ხელმძღვანელობა სწორად მოიქცა. განა იმ გუნდს, რომელიც ყოველ სეზონში რაღაცას იგებს, ცვლილება მოუხდება? ვფიქრობ არა. რაც შეეხება ორ-სამ ფეხბურთელს, მათი შეძენა აუცილებელი იყო.

**— იტალიის ჩემპიონატი ურთულესი პირველობაა, მისი მოგება კი სიძლიერეზე მეტყველებს. „იუვენტუსი“, რომელიც ცდილობს, ზედიზედ მესამედ გახდეს პირველი, უკონკურენტოდ არ იქნება...**

— უჰ, ძალიან ბევრნი არიან. „ინტერი“ და „პარმა“ უძლიერესი კლუბებია, ასევე სხვა გუნდებიც. ფეხბურთელებიც ძლიერნი არიან, თუნდაც რობერტო ბაჯო და რონალდო. კონკურენტები მართლაც არ გვაკლია.

**— „მილანზე“ რას იტყვით?**

— ის ბოლო ორი სეზონია, ცუდად თამაშობს, მაგრამ წლეულს, არა მგონია, ძველებურადვე დარჩეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ბოლო შვიდი ჩემპიონატიდან ოთხი სწორედ მათ მოიგეს.

**— კარგით, სერია-A-ს თავი დავანებოთ. წინ ჩემპიონთა ლიგაა.**

— დღესაც გული მწყდება, ამსტერდამში რომ დავმარცხდით. ეს ჩემთვის ტრაგედია იყო. ისიც ვიფიქრე, რომ გადამწყვეტ მატჩებს ვერასდროს მოვიგებდი, მაგრამ მერე მსოფლიოს ჩემპიონატში ვიმარჯვეთ და მივხვდი, რომ თასის მოგება შემეძლო. წლეულს „იუვენტუსი“ თასის მოგებას ეცდება. უძლიერესი შეჯიბრებაა, თუმცა ჩვენ გამარჯვებისთვის თავს არ დავზოგავთ.

**— კვლავ „იუვენტუსს“ დავუბრუნდეთ. ამბობენ, ეს სეზონი მარჩელო ლიპისთვის ბოლო იქნებაო. თქვენ რას ფიქრობთ?**

— შესაძლოა, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. იყო რაღაც საუბარი, თითქოს „მაესტრო“ (ლიპის მეტსახელია — ლ.გ.) რომის „ლაციოში“ მიდიოდა. ისე, მე თუ მკითხავთ, არა მგონია, ლიპის „იუვენტუსიდან“ წასვლა გუნდზე ცუდად აისახოს. მაგალითად, საფრანგეთის ნაკრებში. ვიცოდით, რომ ემე ჟაკე მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს ტოვებდა,



სარბიელის არქივიდან

ზინედინ ზიდანის ოცნება ასრულდა

მაგრამ ტურნირი მაინც მოვიგეთ. ალბათ, ასევე იქნება „იუვენტუსშიც“. ყველაფრის მიუხედავად, ლიპის უდიდეს პატივს ვცემ.

**— შეიცვლება რამე „იუვენტუსში“ ლიპის წასვლის შემდეგ?**

— ამაზე საუბარი ნაადრევია. ძნელია განჭვრიტო, რა მოუვა გუნდს ლიპის გარეშე. ერთადერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ კლუბთან კონტრაქტი გავახანგრძლივე.

**— სეზონის დასაწყისი „იუვენტუსისთვის“ არ იყო მაინცდამაინც შთამბეჭდავი. სწორედ მაშინ დაირხა ხმები, ტურინელები რაღაც ნივთიერებებს იღებენო...**

— ავისმსურველებს რა დალევს. ზოგიერთებს ჩვენი წარმატებები გულზე არ ეხატებათ და ცდილობენ, გამარჯვებები მოთამაშეთა მიღწევად კი არა, რაღაც პრეპარატების საჭირო დოზით მიღებას მიაწერონ. ეს ძალიან ცუდია.

**— მაშინ ბევრი ფეხბურთელი შეამოწმეს. მათ შორის ალესანდრო დელ პიეროც...**

— დელ პიერო ძლიერი მოთამაშეა და არანაირი პრეპარატები არ სჭირდება. მჯერა, იგი რომ არ გვყოლოდა გასულ სეზონში, ჩემპიონები ვერ გავხდებოდით.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე დელ პიერომ კარგად ვერ ითამაშა...**

— ვფიქრობ, ის გადაღლილი იყო. სიმართლე გითხრათ, ფრანგებისთვის, ის, რომ დელ პიერო მთელი ძალით ვერ თამაშობდა, ძალიან კარგი იყო, მაგრამ რაც უნდა იყოს, იგი შემეცოდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს თანაგუნდელები ვერ ეხმარებოდნენ, რაღაცნაირად სხვებისგან გამოყოფილი ჩანდა. მას ჩემპიონატი მართლაც „ჩაუვარდა“, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. შანსი კვლავ ექნება.

**— რახან სიტყვამ მოიტანა, მსოფლიოს ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. თქვენზე, როგორც მსოფლიოს ჩემპიონზე, რომელმა გუნდმა მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

— ჰოლანდიამ. ბრწყინვალედ ორგანიზებული ნაკრები იყო. შესანიშნავი ფეხბურთელები, გამჭრიახი მწვრთნელი. ფინალში რომ ვერ გავიდნენ, უბრალოდ, არ გაუმართლათ. ბრაზილიის მაგივრად ისინი რომ შეგვხვედროდნენ, ჩემპიონობის მოპოვება უფრო გაგვიჭირდებოდა.

**— იგივე კითხვა, ოღონდ ახლა ფეხბურთელებზე. რომელი მოთამაშეები მოგეწონათ?**

— ოუენი და გალიარდო.

**— საინტერესოა, რას გრძნობდა ზინედინ ზიდანი, როდესაც უდიდესი საფეხბურთო ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ორი გოლი გაჰქონდა...**

— უმნიშვნელოვანესი ორი გოლი იყო. ბურთის შეგდება ძალიან მინდოდა და განა მარტო იმიტომ, რომ ფინალი იყო. არა, უბრალოდ, თანაგუნდელების წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი საუდელებთან სულელური ქცევის გამო. მაშინ რომ გამაძევეს, შეხვედრის შემდეგ ბიჭებს ბოდიში მოვუხადე, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, რომ მხოლოდ ბოდიში საქმეს ვერ უშველიდა. რაც შეეხება გრძნობას, ეს ენითაუწერელი რამ იყო.

**— გოლები თავით გაიტანეთ...**

— ვიცოდი, რომ როცა ბურთი ჰაერშია, ბრაზილიელები იბნევიან. ჰოდა, ვიფიქრე, რატომ არ ვცადო-მეთქი? ვცადე და გამიმართლა.

**— ჯგუფში საფრანგეთმა ყველა შეხვედრა მოიგო...**

— სამხრეთაფრიკელებთან მარსელში მოგებულ მატჩს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თან მე იმ ქალაქში ვთამაშობდი, სადაც დავიბადე. ჩვენ აუცილებლად დიდი სხვაობით უნდა მოგვეგო. მართალი რომ ვთქვათ, მეტოქე არ იყო იმ დონის, მოგება რომ გაგვჭირვებოდა. მერე იყო საუდეთი. ისინიც ლაზათიანად დავამარცხეთ. მე კი დამწყდა გული, დანიელებთან რომ ვერ ვითამაშე, მაგრამ გამარჯვება გამიხარდა.

**— მერვედფინალში, პარაგვაელებთან გუნდს აშკარად აკლდით.**

— ფეხბურთელისთვის უფრო ადვილია, როცა მოედანზეა. ვიჯექი სათადარიგოთა შორის და ვიტანჯებოდი. საშინელება იყო.

**— შემდეგ იტალია...**

— გამარჯვება ჩვენ გვეკუთვნოდა და მოვიგეთ კიდეც. ორი საათი გოლის გატანას ვცდილობდით, იტალიელებზე კი იგივეს ვერ ვიტყვი. მათ გარკვეულწილად დამწყვიტეს კიდეც გული. ვერ გამიგია, რატომ სურდათ ორი საათის მანძილზე თავის დაცვა და არა თავდასხმა. მათი ტაქტიკა ჩვენთვის მომგებიანი იყო, მაგრამ მაინც ვერ მივმხვდარვარ მეტოქის ჩანაფიქრს.

**— ნახევარფინალი?**

— მთელი ჩემი კარიერის მანძილზე ასე არ მინერვიულია. იცით, თამაშის წინ ავად გავხდი. მატჩამდე ყველაფერი მოგვარდა და გავიმარჯვეთ. ისე, საფრანგეთის ნაკრები ისეთი განწყობით და შემართებით თამაშობდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ხორვატია ძალიან კარგი გუნდი იყო, უბრალოდ, ჩვენ უფრო მონდომებულნი აღმოვჩნდით.

**— შემდეგ კი იყო ფინალი ბრაზილიასთან...**

— დიახ, ფინალი! მე მათგან მეტს ველოდი. ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის ბრაზილიის ნაკრები, ჩვენ რომ დავამარცხეთ, გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე სხვა მატჩებში. ბედნიერი ვიყავი. მეამაყებოდა. მიხაროდა ქვეყნის გამო, ლორან ბლანის გამო, რომელსაც დისკვალიფიკაციამ შეუშალა ხელი ეთამაშა, მიხაროდა ლუკას გამო, მაისის მიწურულს, რომ დაიბადა, მიხაროდა მარჩელო ლიპის და ჯამპიერო ვენტრონეს გამო, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ჩემს კარგ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში და საერთოდ მიხაროდა, ძალიან, ძალიან მიხაროდა.

**— ფეხბურთელის ცხოვრება მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებით არ მთავრდება. ზინედინ ზიდანის სვლა, ალბათ, კვლავ გაგრძელდება...**

— რა თქმა უნდა. მართალია, ყოველთვის უმაღლეს დონეზე თამაში გამიჭირდება, მაგრამ საამისოდ თავს რომ არ დავზოგავ, ფაქტია. როცა გამარჯვებული ხარ, შენზე ბედნიერი არავინაა. მინდა, მუდამ ბედნიერი ვიყო. ამიტომ ყოველთვის გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ.

„უორლდ სოკერი“
1998 წლის ოქტომბერი
თარგმნა ლაშა გოდუაძემ



სარბიელის არქივიდან

ფინალში ზიდანი დიდებულად თამაშობდა

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

***— გამიგონე, რუსებს რა დაემართათ?***

— ყველაფერი ცხელი ჩაის ბრალია.

***— ჩაი, რა შუაშია? ბრაზილიასთან წაგებაზე ვამბობ.***

— ბრაზილიასთან ისედაც წააგებდნენ. შენ ალბათ ოთხი ბურთით წაგებას ამბობ.

***— დიახ.***

— ჰოდა ჩაის ბრალია.

***— როგორ?***

— ბიშოვეცს ცხელი ჩაი დაულევია თამაშის წინ, პირი დასწვია და ფეხბურთელებს ვეღარაფერი უთხრა.

***— აბა, მოიგონებ ხოლმე. ბურთი რომ შენს კარში არ უნდა შეაგდო, იმას რა თქმა უნდა?***

— ნდომებია, ხომ ხედავ.

***— და ბიშოვეცს რომ თქმა შეძლებოდა, რა მოხდებოდა?***

— რუსეთი ღირსეულად წააგებდა.

***— ღირსეული წაგება რას ნიშნავს?***

— ოო, ეგ ქართული ხალხური ტერმინია და ახლა რუსებმაც შეისწავლეს.

***— და რას ნიშნავს?***

— აუცილებლად უნდა წააგო, ოღონდ შენს გულშემატკივრებზე უნდა გაბრაზდე, რატომ წარმოიდგინეთ, რომ უნდა მოგვეგოო.

***— არა მგონია მხოლოდ ცხელი ჩაის ბრალი იყოს. კომენტატორმა თქვა, რუსებმა ცხრამეტი საათი იფრინეს ბრაზილიაში ჩასასვლელად და დაიღალნენო.***

— ბრაზილიამაც ცხრამეტი საათი იფრინა მოსკოვამდე და მერე სამით ნოლი მოიგო.

***— ეგ როდის იყო?***

— ძველ დროში.

***— მაშინ პელე ეყოლებოდათ და მოიგებდნენ, აბა რა?***

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ახლა რივალდო ჰყავთ.

***— და რივალდო პელეს გაუტოლდება?***

— შენ ფეხბურთი არ გესმის და ნუ მაწვალებ.

***— არ გაწვალებ. უბრალოდ, მაინტერესებს, რა აზრი ჰქონდა რუსების ბრაზილიაში ჩასვლას?***

— რა აზრი აქვს, ინგლისი და გერმანია რომ ჩამოდიან და სტადიონზე მიდიხარ?

***— ეს ბოროტი შეკითხვაა. ეროვნულ გრძნობას დასცინი.***

— არა, ბატონო. მე ფეხბურთს დავცინი.

***— რა აქვს ფეხბურთს შენი დასაცინი?***

— თუნდაც ის, რომ მინდორზე რომ მოკბეჩილ ბუბლიკს გადმოაგდებენ, მასპინძელ გუნდს წაგება ეთვლება.

***— ბუბლიკს კი არა, ბომბებს ისვრიან...***

— და მასპინძელი გუნდი რა შუაშია? ედმუნდომ და ბატისტუტამ უთხრეს, გადმოაგდეო?

***— აბა, რა ვქნათ?***

— ფეხბურთი არაფერშუაშია. პოლიციის ბრალია. დაუქვითონ ხელფასი პოლიციას, გუნდი კი გაატარონ.

***— ეგ სადაური სამართალია?***

— ადამიანური. პრარაბს ცემენტი დაენანა, ტრიბუნა ჩაინგრა და გუნდი უნდა გააგდო?

***— იქ ფანებმა იხხუბეს. თოფი ისროლეს.***

— კენი დალგლიშმა ისროლა?

***— არა.***

— აბა, ბობ პეისლიმ?

***— ეგრე ლაპარაკი არ შეიძლება. ხალხი დაიხოცა.***

— მართალია, მაგრამ, როცა „ლივერპულის“ ფანებმა „იუვეს“ ტიფოზებს დასცხეს ტრიბუნა ჩაინგრა. რა შუაშია აქ „არსენალი“ და „დერბი“?

***— შენ მაგას იმიტომ ამბობ, რომ იტალიელები არ გიყვარს.***

— მე არ მიყვარს, როცა კაცი მაშხალას გამოისვრის და ამის გამო „გრასჰოპერი“ „ფიორენტინას“ დაამარცხებს.

***— რას იზამ? ვიღაცა ხომ უნდა დაისაჯოს.***

— ვიღაცა დაისაჯოს ფეხბურთელი კი არა.

***— და გაზა?***

— რა გინდა ამ წესიერი და საწყალი კაცისგან?

***— არ არის დასასჯელი?***

— გრობელაარი ვერ დასაჯეს და გაზა უნდა დასაჯონ?

***— გაზა ყოველდღე დასასჯელია.***

— რატომ?

***— ათი წელიწადია ცუდად იქცევა.***

— სიმეონეზე ცუდად იქცევა?

***— სიმეონე თამაშობს.***

— ეგ ფეხბურთს არ თამაშობს. ეგ მუსკომედიის მსახიობია.

***— რა გინდა, რას მერჩი?***

— ჩემს ოჯახში მაგ კაცის გვარი აღარ ახსენო, თორემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოზი პირველი

სარბიელის არქივიდან

ის ზომაზე მეტად გამხდარია და ძალიან ბევრ სიგარეტს ეწევა. მის ინგლისურსაც კვლავ დაჰკრავს სასაცილო აქცენტი.

ოსვალდო არდილესი. იგი ყოველთვის კოლორიტული პიროვნება იყო. აბა, სხვაგვარად ვინ მოიფიქრებდა შორეულ 1978 წელს მაისურზე ერთიანი დაეწერა, სხვა ვინ წავიდოდა ფეხბურთისგან მოწყვეტილ იაპონიაში პროვინციული კლუბის გასაწვრთნელად, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ამბიციებიც კი არ გააჩნდა. ამ კლუბს „შიმიზუ ს-პულსი“ ჰქვია. არადა, არდილესი ხომ მსოფლიოს ჩემპიონია, არდილესი ხომ თავის ეპოქის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი იყო, არდილესი ხომ „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ლიდერი იყო და ბოლოს, ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ, არდილესს ხომ უამრავი ევროპული გუნდი ეპატიჟებოდა, როგორც მწვრთნელს.

მაგრამ არდილესმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და ამომავალი მზის ქვეყანას მიაშურა, თანაც მაშინ, როდესაც ფეხბურთი იქ ახალი ხილი იყო. ეს ისეთივე უცნაური გადაწყვეტილება იყო, როგორიც ერთიანი მის ცისფერზოლებიან მაისურზე 78-ში.

იგი მარტო არ წასულა იაპონიაში. თან სტივ პერიმენი ახლდა, კაცი, რომელიც 80-იან წლებში „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ ედგა სათავეში და რომელთან ერთადაც წლები გავატარე. თანაც ჩემი სამუშაოც ბრწყინვალედ წარიმართა. თავიდან მე და სტივს გაგვიჭირდა, ცოტა არ იყოს, რთული ენაა იაპონური, თუმცა ახლა ყველაფერი რიგზეა. თავს უკვე იაპონურის სპეციალისტად ვთვლი (იღიმის). აღფრთოვანებული ვარ იაპონელებით. ასეთი კეთილი და სტუმართმოყვარე ხალხი არასდროს მინახავს.

ახლა რაც შეეხება ოზის იაპონურ სამწვრთნელო კარიერას, თუმცა, სანამ ამაზე ვისაუბრებდეთ, ერთი ამბავი გავიხსენოთ, რომელიც დაგვარწმუნებს, რომ ოსვალდო არდილესი ნაღდი პროფესიონალია.

არგენტინული არმია ფოლკლენდის კუნძულებიდან ინგლისელების გაყრას ცდილობდა. ომი მძვინვარებდა. ამ ომში ოზის ძმაც მონაწილეობდა, რომელიც მალე დაიღუპა — ინგლისელებმა მოკლეს. თავად ოსვალდო კი მაშინ „ტოტენჰემში“ თამაშობდა და, ბუნებრივია, ყველამ იფიქრა, რომ იგი დატოვებდა ბრიტანეთს და ინგლისელებს სამუდამოდ შეიძულებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. არდილესი საქმეს ყოველთვის პირველ ადგილზე აყენებდა.

ამიტომაც არ იყო გასაკვირი „ს-პლუსის“ სწრაფი პროგრესი. არგენტინელის ჩასვლის შემდეგ ჯეი ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ოფლის მღვრელი კლუბი სულ მალე ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

პირველ წელს 18-გუნდიან ჩემპიონატში არდილესმა გუნდი მეათე ადგილზე გაიყვანა. 1997-ში, როდესაც ჯეი ლიგის გათამაშება ორ ეტაპად დაიყო, „შიმიზუ ს-პლუსი“ ჯერ მეშვიდე, შემდეგ მეექვსე ადგილზე გავიდა. წლეულს არდილესის შეგირდებმა პირველ ეტაპზე არნახულ წარმატებას მიაღწიეს — მეორეები იყვნენ. ამჟამად კი მეექვსე საფეხურზე იმყოფებიან და, როგორც ოზი ამბობს, სავსებით შესაძლებელია სეზონი სამეულში დაამთავრონ. 12-ათასიანი სტადიონის მქონე პროვინციული გუნდისთვის ეს, სხვას რომ თავი გავანებოთ, უბრალოდ, რეკორდია.

ისევ ოზის ნაამბობიდან:

— იაპონელ ფეხბურთელებს მშვენიერი ტექნიკა აქვთ და ძალიან სწრაფნი და ათლეტურნი არიან. მათ მხოლოდ გამოცდილება და მწვრთნელის ხელი აკლიათ. ამ ნაკლის აღმოფხვრას დრო უნდა, მეტი არაფერი. სწორედ ამიტომ მგონია, რომ 2002 წელს, როდესაც იაპონია მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, ამ გუნდის თამაში ყველასთვის ძალიან დიდი სიურპრიზი იქნება.



ოსვალდო არდილესი

არდილესმა ბევრ წარმატებას მიაღწია. როგორ და რანაირად მოხდა მათი ამ ეგზოტიკურ ქვეყანაში გამგზავრება, ამას თავად ოზი (არდილესის სახელი ასე შეამოკლეს ინგლისში) უფრო კარგად მოგვითხრობს.

— 1996 წელი იდგა, ლონდონში ვცხოვრობდი და უცებ შემზარავი ამბავი გავიგე — მამა გარდამეცვალა. ბუნებრივია, უმალვე არგენტინას მივაშურე. როდესაც უკან, ინგლისში დავბრუნდი, ვიღაცა ტელეფონით შემეხმიანა და იაპონიაში სამუშაოდ წასვლა შემთავაზა. ამ წინადადებამ ძალიან დამაინტერესა და თანხმობაც განვუცხადე. იანვარი იყო, ჯეი ლიგის გათამაშება კი პირველ თებერვალს იწყებოდა და ყველაფერი ერთ თვეში უნდა მომესწრო. სასწრაფოდ შევხვდი იაპონური კლუბის პრეზიდენტს, ოღონდ მარტო არა, ჩემი მეგობარი სტივ პერიმენი მახლდა და ერთმანეთსაც მშვენივრად გავუგეთ. მოკლედ, იაპონიაში წავედი.

არდილესმა თან მეუღლეც წაიყვანა, ხოლო შვილები ინგლისში დატოვა. ერთი — უორვიკის, მეორე ლონდონის უნივერსიტეტში სწავლობდა. ერთ დროს ინგლისელი ფანების უსაყვარლესმა ფეხბურთელმა პერიმენმა კი მთელი ოჯახი იახლა.

240-ათასიან შიმიზუში ჩასულებს, ერთმა ინგლისელმა ემიგრანტმა ქალაქი ასე დაუხასიათა — რაღაც ჰალის და სკარბოროს გადაკვეთის მსგავსიაო. იქ ჩასულმა ოზიმ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ეტყობა, ფიქრობდა მეტს ვერ გავძლებო, მაგრამ მიმდინარე სეზონის დასაწყისში მან მესამედ მოაწერა ხელი „შიმიზუ ს-პულსთან“.

კვლავ ოზის მოვუსმინოთ.

— შიმიზუ, ისევე როგორც მთელი იაპონია, ფანტასტიკურია. აქ დაუვიწყარი

სხვათა შორის, როცა საფრანგეთი 98-ის მერე იაპონელები უმწვრთნელოდ დარჩნენ, ბევრი ამ თანამდებობაზე დანიშვნას არდილესს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ასე არ მოხდა და იაპონელთა თავკაცად სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი, ფრანგი ფილიპ ტრუსიე დანიშნეს. ამით მეტად გულნატკენი დარჩენილა არდილესი და ისიც უთქვამს, მალე იაპონიას დავტოვებო:

— მალე კონტრაქტი მიმთავრდება. ჩემი გაშვება არავის უნდა, გუნდის წარმატებებს ყველა მე მიკავშირებს, მაგრამ, ალბათ, სეზონის დამთავრებისთანავე სამშობლოს ან ევროპას მივაშურებ. ჯერჯერობით წინადადებები არ მიმიღია, რადგან აგენტებმა იცოდნენ, რომ კონტრაქტი მქონდა გაფორმებული და მისი დარღვევა წესად არ მაქვს. ისე, უმუშევარი ნამდვილად არ დავრჩები, როდესაც საფეხბურთო წრეებში გაიგებენ, რომ თავისუფალი ვარ, ვიცი, ბევრი შემეხმიანება. ჰოდა, ჩემს მომავალსაც მაშინ გადავწყვეტ — თქვა ოზიმ და სიგარეტს მოუკიდა.

კოლორიტული კაცია ეს არდილესი, იაპონიაშიც კი ყველას შეაყვარა თავი და მთელს ქვეყანაში თუ არა, შიმიზუში მაინც ნომერ პირველად იქცა. იგი ხომ ყოველთვის პირველობისთვის იბრძოდა, როგორც პროფესიონალებს შეშვენით. ადრეც 78-ში, როცა ცისფერზოლებიან მაისურზე უცნაური, მაგრამ მაინც ერთიანი ეწერა.

**დავით ძოწენიძე**

---

ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1986

# იგორ ბელანოვი

# კომეტა

*კონსტანტინე გოგიშვილი*

იგორ ბელანოვი რომ ვარსკვლავი არ იყო, ეს მაშინაც ყველამ იცოდა, როცა კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი ოქროს ბურთის ლაურეატი გახდა. ასეთი ყაიდის ფეხბურთელს ვერაფრით უწოდებ ვარსკვლავს. ვარსკვლავი იმიტომაცაა ვარსკვლავი, სანამ არის უნდა იკაშკაშოს, ანათოს და ხალხს ის აფიქრებინოს, ანათებს და რას ერჩიო. ბელანოვმა კი გაიელვა, წამიერი კვალი დატოვა, ზუსტად ისე, კომეტას რომ სჩვევია.

ჰოდა, აქედან დასკვნაც: ბელანოვი კომეტა იყო და არა ვარსკვლავი.

ერთმა ფეხბურთზე მწერალმა კაცმა მითხრა, ბელანოვის ოქროს ბურთის ლაურეატობა „მიძინებული გენის“ შემთხვევას მაგონებსო. სამჯერ იმეფა პლატინის დიდოსტატურმა გენმა ევროპაში, მერე კი... მერე მიიძინა და ბელანოვმაც დაიგრუხუნა.

ერთი სიტყვით, კიეველის თავგამოჩენა იმას ჰგავდა, ზარბაზნები რომ გრუხუნებენ და მუზებს რომ სძინავთ. ეძინათ ფეხბურთის მუზებს და ბელანოვის საფეხბურთო ჩურჩულიც ამად თუ მოეჩვენათ გრუხუნად.

არიან ფეხბურთელები, რომელთა ავტორიტეტზეც გუნდის სახელი და დიდება ჰკიდია. არა, არავინ იფიქროს, მსოფლიო ფეხბურთს „ერთი კაცის“ გუნდები ჰყოლიაო, მართალია იყვნენ მარადონა, პლატინი, კრუიფი, მაგრამ „მათ გუნდებში“ სხვებიც იყვნენ — ვალდანო, ბურუჩაგა, ტიგანა, ჟირესი, რენსენბრინკი, ნეესკენსი, სხვებიც... ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა „დიდი გუნდები მარტო ერთი ბუმბერაზით არ იქმნება, სხვა საქმეა, როცა „დიდ გუნდის“ სახეს ერთი ვინმე „სხვებზე დიდი“ — მარადონა, პლატინი, კრუიფი განსაზღვრავს.

აი, „ბელანოვების“ საფეხბურთო ბედი კი იმ გუნდებზე ჰკიდია, რომელშიც თამაში მოუწევთ. თამაშობდა 18-დან 25 წლამდე იგორ ბელანოვი ოდესის სკა-ში, მერე „ჩერნომორეცში“, მაგრამ პატიოსანი გულშემატკივარი გულზე ხელის დადებით ამას იტყვის — კიევის „დინამოში“ მოსვლამდე არ ვიცნობდი იგორ ბელანოვსო. იგორ ბელანოვი კაცად და ფეხბურთელად ვალერი ლობანოვსკიმ და კიევის „დინამომ“ აქციეს. ეს კი საკმაოდ გვიან, 1985 წელს მოხდა. მოვიდა ბელანოვი კიევურ გუნდში და უმალ სსრკ ჩემპიონი გახდა. მერე ზედიზედ მეორედ გახდა ჩემპიონი. მერე თასთა თასიც აიღო 1986 წელს. და ეს სულ კიევის „დინამოსთან“ ერთად და კიევის „დინამოს“ გამო. მაშინ ლობანოვსკი და კომპანია მართლაც სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ ევროპაში.

თასების თასის ფინალში ტრიუმფის მერე, მსოფლიო ჩემპიონატი ელოდათ კიეველებს. დიახ, დიახ კიეველებს და არა საბჭოთა კავშირის ნაკრებს. 1986 წელს მექსიკაში ითამაშა რამდენიმე მოთამაშით გაძლიერებულმა კიევის „დინამომ“ და ასიდან ასივე შემთხვევაში ბელანოვი შინ დარჩებოდა, რომ არა ლობანოვსკი და კიევის „დინამო“.

მსოფლიო ჩემპიონატზე „კიევის რუსებს“ უნგრეთი, საფრანგეთი და კანადა ელოდათ. უნგრეთი, ვინც მექსიკამდე ბრაზილია გაასამტვერა 3:0, საფრანგეთი, ვისაც პლატინი, ტიგანა, ჟირესი, ბოსი, ამორო, ფერნანდესი, პაპენი, როშტო, სტოპირა ჰყავდა და კანადა, რომელმაც იცის ჰოკეი, მაგრამ არ იცის ფეხბურთი.

„კიევის რუსებმა“ პირველ მატჩში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. ეს იყო „ფეხბურთი საზღვრებს გარეშე“ ანაც „21-ე საუკუნის ფეხბურთი“ — როგორც პელემ თქვა მატჩის შემდეგ. იქ ბელანოვმაც გამოიჩინა თავი. გოლიც გაიტანა და იმდენი ირბინა, მოედნიდან გასვლა გაუჭირდა კუნთებშეკრულს (დროზე კი შეცვალა ლობანოვსკიმ).

მერე იყო ჭიდილი პლატინის გუნდთან. წინა შეხვედრის ფონზე ნაკლებ შთამბეჭდავი, მაგრამ ღირსეული. 1:1 და პლატინის კომენტარი — გაუშვით, რახან ასე სურთ, ირბინონ, რამდენიც უნდათო. არადა, მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთელი და გუნდი, მხოლოდ სირბილით რომ ირჩევა სხვათაგან, დიდი ვერაფერი ბედნაა. პლატინის არაფერი ეშლებოდა. იგი მართლა ვარსკვლავი იყო და არც მეტოქის შეფასება შეეშლოდა. (აი, ზემანისთვის რომ ეკითხათ „კიევის რუსებზე“, უთუოდ იტყოდნენ რამეს კრეატინის შესახებ).

ჯგუფის ბოლო შეხვედრა კანადასთან სსრკ-მ 2:0 მოიგო და მერვედფინალში „წითელ ეშმაკებთან“ რკინისთვის გაემზადა. ბელანოვის ჟამსაც აქ უნდა დაეკრა თურმე



ჰოდა, დაჰკრა. იმ დრამატულ მატჩში იყო ბელგია და არ იყვნენ „კიევის რუსები“. იყო შიფო და არ იყო ზავაროვი. იყო დე მოლი და არ იყო ბალტაჩა, მაგრამ თუ კულემანსი იყო, ბელანოვიც იყო. მაშინ თავის თავს აჯობა იგორ ბელანოვმა. ბოლომდეც გაუძლო 120 წუთიან დრამას, სამი გოლიც შეაგდო და საერთოდ, მართლა ვარსკვლავურად ითამაშა. ეგ იყო და ეგ. ამან დააბრმავა საფეხბურთო ევროპა ალბათ 1986 წელს.

კიდევ რა შეიძლება გაიხსენო იგორ ბელანოვის კარიერიდან კაცმა? მარჯვენა ფრთაზე გაფრენა იცოდა, დაახლოებით 40-50 მეტრს ირბენდა, ერთ-ორ მეტოქეს გაასწრებდა, მერე კი კუთხურის ალამს მიახლოვებული უცბად „მოჭრიდა“ კუთხეს და ყუმბარასავით აწოდებდა ხოლმე მეკარის საჯარიმოს გასწვრივ. ეს და პენალტის დარტყმა იცოდა კიდევ თავისებური — პირდაპირ შუაში და ძლიერად. შერჩა კიდეც საფეხბურთო არქივებს ცნება „ბელანოვის პენალტი“.(თუმცა ერთხელ კი დაალალატა „ბელანოვის პენალტმა“ სსრკ-ს ნაკრები — 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში, ჰოლანდიის ნაკრებთან).

1989 წელს ბელანოვი მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ იყიდა. ეს ის დრო გახლდათ, როცა საბჭოურ ფეხბურთს საზღვრები მოხსნეს და ერთი-ორი საბჭოელი ევროპაშიც გამოჩნდა. ამათგან უმთავრესად „კიეველი რუსები“ აინტერესებდათ ევროპულ გუნდებს. ზავაროვი „იუვენტუსშიც“ კი მოხვდა...

მეორე საკითხია ის, როგორ „გაიხსნენ“ ლობანოვსკის შეგირდები. ვერც ერთი მათგანი ვერ მოერგო ახალ კლუბს. ერთი სიტყვით, ისე გამოვიდა — „როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო“ — რომ ამბობენ ჩვენში.

ბელანოვის სიდიდეც სულ ტყუილი გამოდგა. ვერა და ვერ ითამაშა იგორ ბელანოვმა ისე, როგორც კიევში სჩვეოდა. და მიხვდა ევროპა, რომ „კიევის რუსების“ ბედი და იღბალი თვით კიევის „დინამო“ რომ იყო.

ბელანოვი არ იყო მაღალი, არც ძლიერი იყო, იგი კარიერის ბოლომდე სუსტად აღნაგ ეპიზოდურ ფეხბურთელად დარჩა, ეს იყო სისწრაფე ჰქონდა, ამას ვერ წაართმევდი.

მისი ოქროს ბურთის ლაურეატობა კი მართლა „გენის მიძინებასთან“ უნდა იყოს კავშირში. ბელანოვამდე პლატინი ფლობდა ოქროს ბურთს, ბელანოვის შემდეგ რუუდ გულიტი და ვან ბასტენი. ესეც ცხოვრების და ფეხბურთის კანონია ალბათ.

**იგორ ბელანოვი**

დაიბადა 1960 წლის 25 სექტემბერს უკრაინის ქალაქ ოდესაში
თავდამსხმელი
სიმაღლე: 1,74
წონა: 70 კგ
კლუბები: ასკ (ოდესა, სსრკ, 1978-80); „ჩერნომორეცი“ (სსრკ, 1981-84); „დინამო“ (კიევი, სსრკ, 1985-89); „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გერმანია, 1989-91); „აინტრახტი“ (გერმანია, 1991-92)
ტიტულები: სსრკ-ს ჩემპიონი 1985, 86; სსრკ-ს თასი 1985, 87; თასების მფლობელთა თასის მფლობელი 1986; ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი 1988
ნაკრებში 33 თამაშში გაიტანა 8 გოლი (1985-90)

„ბორუსიაში“ წარუმატებლად გამოსვლამ იგორ ბელანოვის სანაკრებო კარიერასაც დაუსვა წერტილი. 1990 წლის მერე მას აღარც ნაკრებში უთამაშნია. სულ კი სსრკ მთავარ გუნდში 33 მატჩი ითამაშა ბელანოვმა და მხოლოდ რვა გოლი გაიტანა. აქედან ოთხი მექსიკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე.

იგორ ბელანოვი, როგორც ფეხბურთელი ბრაუნშვაიგის „აინტრახტში“ ვიხილეთ ბოლოს. თუმცა ვერც ვიხილეთ. სულ ერთი სეზონი ითამაშა ამ პატარა გუნდში კიეველმა და მერე გაქრა თვალთახედვიდან.

გერმანიაში ფეხბურთზე მეტად ერთი საჭოჭმანო ისტორიით გამოირჩა იგორ ბელანოვი — მაღაზიაში ქურდობაზე გიარაკებთ. მერე ესეც მიაჩუმათა „ყოვლისარმთქმელმა“ საბჭოთა პრესამ (ჯერაც საბჭოთამ).

აი, წინ მიდევს ოქროს ბურთის ლაურეატთა არქივი და ამას ვფიქრობ, ბელანოვი — ფეხბურთელი უსუსტესია მათ შორის. ახლა, წერისას არ გამხსენებია ეს, სულ მიკვირდა, როგორ შეიძლება პლატინი ბურთს თამაშობდეს (კარგად, საშუალოდ, რა მნიშვნელობა აქვს), სხვა ვარსკვლავებიც ჯანზე იყვნენ და ოქროს ბურთი იგორ ბელანოვს მიანიჭო.

თვითონ საბჭოეთის ფეხბურთიც მიხვდა ამას: იმ წელს, ბელანოვმა რომ ოქროს ბურთი მოიპოვა, სსრკ-ში ალექსანდრე ზავაროვი აღიარეს საუკეთესოდ.

ასეც უნდა მომხდარიყო ალბათ. ბელანოვი ვარსკვლავი არა, უფრო კომეტა იყო, სადღაც გაიელვა საფეხბურთო კაბადონზე, ვიღაცამ თვალი შეასწრო, ვიღაცამ ვერა. იმათ, ვინც თვალი შეასწრო მის გაელვებას, ეტყობათ თვალიც მოსჭრათ კიეველმა კომეტამ.

ჰოდა, აღიარეს კიდეც.

# შენ, მე, იგივე

კვლავ გთავაზობთ სახალისო ეპიზოდებს ინგლისური ფეხბურთის ოხუნჯობათა წიგნიდან. ამჯერად თავშესაქცევი ამბების გმირები „ლივერპულის" ფეხბურთელები და მწვრთნელები არიან.

კევინ კიგანი: „როდესაც ნიუკასლში ჩამოვედი, სერ ჯონ ჰოლი მულტიმილიონერი იყო. შესაძენი ფეხბურთელების სია რომ წარვუდგინე, მიხვდა, რომ ერთ ჩვეულებრივ მილიონერად გადაქცევას ვუპირებდი".

* * *

„ლივერპულის" მენეჯერობიდან კენი დალგლიშის უეცარმა გადადგომამ მედია აალაპარაკა, გუნდი კრიზისშიაო. სწორედ ამ დროს გამოვიდა მერსისაიდელთა კლუბში ფეხბურთელი დევიდ სპიდი, რომელმაც თქვა: „თუ თქვენ თვლით, რომ „ლივერპული" კრიზისშია, მაშინ თქვენ ნამდვილად არ გინახავთ ის კლუბები, რომლებშიაც აქამდე ვთამაშობდი".

* * *

პატარა ლონდონური კლუბი „ფულემი" ლითვუდის თასის მატჩში შეხვდა „ლივერპულს" და 0:10 წააგო. საპასუხო მატჩის წინ ფულემურ პროგრამაში ეწერა: „თუ ძირითადი დროის შემდეგ ორი მატჩის შედეგების ჯამი თანაბარი გამოვა, მაშინ დამატებითი დრო დაინიშნება".

* * *

პოლ უოლში „ლივერპულიდან" „ტოტენჰემში" გადავიდა და თქვა: „ენფილდზე არანაირი რომანტიკა არ არის. სულ იგებ და იგებ".

* * *

„ლივერპულში" ახლადგადაბარგებული ებრაელი ვარსკვლავი ავი კოენი პირველი ვარჯიშის დროს კენი დალგლიშს

ბაა. ერთადერთი, რაც კარში ბურთის გატანაში მიშლის ხელს, ენფილდის ტრიბუნებზე დადგმული დაფებია. ამ დაფებს აწერია „არასოდეს იქნები მარტო". კარის წინ რომ მივიღებ ხოლმე ბურთს, კარსუკან ამ დაფას ვხედავ. თვალები ცრემლით მევსება და ბურთს კარს ვაცილებ.

* * *

ბრაიან გლენვილი (საფეხბურთო მწერალი): „მოლბი ისეთი ზუსტია, რომ დანიის დარტსის ნაკრებშიც ითამაშებდა".

* * *

„ჩესტერფილდი" სათასო მატჩში შეხვდა „ლივერპულს" ენფილდზე და შეხვედრა 4:4 დამთავრა. სტუმართა თავდამსხმელმა დეივ ლანკასტერმა კი გახარებულმა თქვა: „მე ვეჭვობდი, რომ ამ თამაშში რვა გოლი გავიდოდა, მაგრამ თუ ასე განაწილდებოდა, ნამდვილად არ მეგონა".

* * *

„კრისტალ პალასის" მენეჯერი სტივ კოპელი „ლივერპულთან" სტუმრად ნათამაშევი თასის ნახევარფინალური მატჩის შემდეგ: „სიმართლე ითქვას და დამატებით დროში ორივე გუნდი გადათამაშებას ელოდა. მე ძალიან ვღელავდი, რადგან სასტუმროში ადგილები არ დამიჯავშნია. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ გადათამაშება მოგვიწევდა?"

* * *

პიტერ ბერდსლი: „ჩვიდმეტი წლისა რომ



კევინ კიგანი

მიადგა და დამტვრეული ინგლისურით უთხრა:

„შენ, მე, იგივე".

კენიმ არ უპასუხა, მხოლოდ თავი დაუქნია. მეორე დღეს კოენმა იგივე გაუმეორა.

„ რა გინდა, ავი?" — ჰკითხა დალგლიშმა.

„შენ, მე, იგივე. ორივე ვსწავლობთ ინგლისურს," — იყო პასუხი.

* * *

როდესაც „უიმბლდონი" პირველ დივიზიონში თამაშობდა და პრემიერლიგის საგზურებისთვის იბრძოდა, ტურნირის პირველ ოთხ ტურში ოთხივე თამაში მოიგო. კლუბის მენეჯერმა დეივ ბასეტმა დანანებით თქვა: „დედაჩემის აზრით, სეზონი ხვალ უნდა დამთავრდეს".

* * *

კევინ კიგანი: „ერთადერთი, რისაც მეშინია, ცარიელ კარში ბურთის აცილე-

შევსრულდი, „ნიუკასლმა" კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ მე გადავწყვიტე, რომ „კარლაისლში" გადასვლა მიჯობდა. იმ ღამეს მთვრალი ვიყავი".

* * *

1993 წელს რონ ატკინსონმა „შეფილდ უენსდის" მენეჯერობა მიატოვა და „ასტონ ვილას" ჩაუდგა სათავეში. „ვილა" რომ შეფილდში ჩავიდა სათამაშოდ, ბეწლეწი რონი ძალიან ღელავდა. თამაში ახალი დაწყებული იყო, როცა ის ადგილს მოსწყდა, გვერდითი ხაზი გადაკვეთა და მოედანზე შევარდა ყვირილით, მსაჯებს კი ასე აუხსნა თავისი საქციელი: „მე მხოლოდ ტექნიკური საკითხის შეხსენება მინდოდა. მე მინდოდა მეთქვა ჩემი ფეხბურთელებისთვის, რომ თამაში დაიწყო".

გადმოაქართულა
ირაკლი გამყრელიძემ

## მალე გამოვლინდება

მალე მსოფლიო ფეხბურთის სტატისტიკის და ისტორიის საორთაშორისო ორგანიზაცია XX საუკუნის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს დაასახელებს.

რამდენიმე დღის წინ ზემოხსენებულმა ორგანიზაციამ XX საუკუნის საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელი დაასახელა. ეს პატივი ფრანც ბეკენბაუერს ხვდა წილად. ყველაფერი გამოკითხვის საფუძველზე მოხდა. იგივე მეთოდით გამოვლინდება კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელიც.

ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რესპონდენტთა რაოდენობა დაახლოებით სამი ათასს აღწევს, რაც სავსებით ლოგიკურია.

მანვე ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიდანაც ფეხბურთზე მწერალმა ჟურნალისტებმა, სპეციალისტებმა და სხვა პირებმა ევროპის საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა დაასახელონ.

გერმანელი ფრანც ბეკენბაუერის გარდა პრეტენდენტები არიან ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი, გაესპანელებული არგენტინელი ალფრედო დი სტეფანო, უნგრელი ფერენც პუშკაში, ინგლისელი ბობი ჩარლტონი და ფრანგი მიშელ პლატინი.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIV ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიურნბერგი — ვოლფსბურგი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ბოხუმი — ლევერკუზენი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ჰერტა — ბაიერნი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| კაიზერსლაუტერნი — დორტმუნდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| შტუტგარტი — ჰანზა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მიუნხენ 1860 — ჰამბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიონხენგლადბახი — ფრაიბურგი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XV ტური

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიურტი — უნტერჰახინგი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| კიკერსი — ულმი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბერლინი — ჰანოვერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არმინია — კარლსრუე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIV ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ლივერპული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბლექბერნი — საუთჰემპტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლიდსი — ჩარლტონი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ლესტერი — ჩელსი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| მიდლსბრო — ქოვენთრი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| შეფილდ უენსდეი — მანჩესტერი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ტოტენჰემი — ნოტინგემი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| უიმბლდონი — არსენალი | 3,6 | 2,9 | 2,0 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დერბი — ვესტ ჰემი | 2,1 | 2,8 | 3,3 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ევერტონი — ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XX ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრისტოლი — სტოკპორტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბერი — გრიმსბი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ჰადერსფილდი — ბრედფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| იფსვიჩი — ბოლტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ოქსფორდი — პორტ ვეილი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — ვესტ ბრომვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ქუინზ პარკი — შეფილდ იუნაიტედი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სანდერლენდი — ბარნსლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სვინდონი — კრისტალ პალასი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ტრანმერი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| უოტფორდი — ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვულვერჰემპტონი — ბირმინგემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. X ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — პერუჯა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| კალიარი — პარმა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| რომა — ბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიორენტინა — ინტერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| იუვენტუსი — ემპოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მილანი — ლაციო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სალერნიტანა — ვენეცია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სამპდორია — ვიჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| უდინეზე — პიაჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XI ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაპოლი — ჯენოა | 1,7 | 2,8 | 5,3 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — კოზენცა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| კრემონეზე — ტერნანა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ლეჩე — ჩეზენა | 1,3 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| პესკარა — მონცა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| რავენა — კომო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| რეჯანა — ტორინო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| რეჯინა — ბრეშა | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| ტრევიზო — ლუკეზე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვერონა — ფ. ანდრია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XI ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — ვალიადოლიდი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| მალიორკა — ბარსელონა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ოვიედო — ბეტისი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სოსიედადი — სარაგოსა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ვალენსია — რეალი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ალავესი — სელტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დეპორტივო — ვილიარეალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ესპანიოლი — რასინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სალამანკა — ესტრემადურა | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XIII ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიდა — რაიო ვალეკანო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ოსასუნა — ერკულესი | 1,5 | 3,1 | 7,0 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბადახოსი — ბარსელონა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლეგანესი — ალბასეტე (16[00]) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მერიდა — ტოლედო (16[00]) | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რეკრეატივო — ეიბარი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ორენსე — სპორტინგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სევილია — ლას პალმასი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| კომპოსტელა — მალიორკა B | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ნუმანსია — ატლეტიკო B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მალაგა — ლოგრონიესი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XII ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტუ — ბენფიკა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბრაგა — სეტუბალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალგეირუში — შავეში | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ფარენსე — კამპომაიორენსე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლეირია — აკადემიკა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| მარიტიმუ — ბეირა მარი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბოავიშტა — სპორტინგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ალვერკა — ამადორა | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფეიენოორდი — კამბური | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| გრააფსხაპი — ჰერენვენი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ბრედა — სიტარდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| როდა — ვიტესი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტვენტე — ტილბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — უტრეხტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ვალვაიკი — აიაქსი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| სპარტა — ალკმაარი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XV ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოსტენდე — ლოკერენი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| სტანდარდი — ჰარელბეკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| გენტი — ანდერლეხტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| გენკი — ლომელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| შარლერუა — ეკერენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბევერენი — ბრიუგე | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| მუსკრონი — ვესტერლო | 2,1 | 2,8 | 3,3 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კორტრაიკი — სტ. ტრუიდენი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| აალსტი — ლიერსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XIII ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| საქარია — გალათასარაი (16[00]) | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| ქოჯაელი — ისთანბული (16[00]) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დარდანელი — ტრაბზონი | 9,0 | 5,0 | 1,2 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — ქარაბუქი (16[00]) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| გაზიანთეფი — გენჩლერბირლიგი (16[00]) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ანთალია — ადანა (16[00]) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბურსა — ერზურუმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ანკარა — სამსუნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XV ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — სტ. ჯონსტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სელტიკი — რეინჯერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ჰართსი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კილმარნოკი — მოზერველი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი იუნაიტედი — დანდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XVIII ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუსტენაუ — გრაცერი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| რიდი — რაპიდი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| შტაირი — ზალცბურგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — ლინცერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XIX ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გრასჰოპერი — ბაზელი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიონი — ლუცერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლოზანა — სერვეტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სენტ გალენი — ქსამქსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ლუგანო — აარაუ | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ჰოკეი. ნჰლ

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ტორონტო — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| მონრეალი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ოტავა — კალგარი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ნიუ ჯერსი — ფლორიდა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| პიტსბურგი — ტამპა ბეი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სენტ ლუისი — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — აილენდერსი | 2,0 | 4,4 | 1,8 |
| ვანკუვერი — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ფინიქსი — ედმონტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სან ხოსე — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაროლინა — ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ფლორიდა — ფილადელფია | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ანაჰაიმი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორონტო — კალგარი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ოტავა — ვანკუვერი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| დალასი — სან ხოსე | 1,3 | 4,4 | 4,0 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი (მე-14 ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია (მე-10 ტური) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (მე-15 ტური) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ევროლიგა
ოლიმპია — პაოკ

## სტეფანია მცირე ხანსაც მაგარია

„ოლიმპია“ — „პაოკის“ შეხვედრის ოქმში თუ ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია იმ დღეს ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე — გუნდს 14 ქულა შესძინა, ფარზე ბრძოლაშიც ბადალი არ ჰყავდა (7 მოხსნა) და თავისი სიმაღლის კვალობაზე უჩვეულოდ ბევრი (5) ჩაჭრაც გაახერხა. ერთი სიტყვით, კლუბის მწვრთნელთან კონფლიქტი მოგვარდა და ვოვაც ჩინებულად ამოქმედდა. წინა ტურში, მადრიდში, „რეალის“ დაჩოქების შემდეგ ჩვენებურის გუნდმა ბერძნული „პაოკ“ დაიფრინა და გუშინ ვოვას ლუბლიანაში რომ შევეხმიანეთ, ბენძენთა იოლი ძლევა მანაც დაგვიდასტურა:

— ელინები მიწასთან გავასწორეთ. თავიდანვე ინიციატივა მოვიპოვეთ და მეტოქე ახლოს ალარც მოვუშვით. ჩვენი თამაში დადებითად შეფასდა, მწვრთნელებიც კმაყოფილები დარჩნენ.

**— ხუთი პერსონალურის გამო მოედანი ნაადრევად დაგიტოვებია.**

— საერთოდაც ძალიან ცოტა ვითამაშე, სულ რაღაც ჩვიდმეტი წუთი. ეს იმიტომაც მოხდა, რომ მეტოქე მეტისმეტად მოისუსტებდა და მწვრთნელებიც სათადარიგოებს ათამაშებდნენ. ისე, ჩემი ბრალიც იყო, პირველივე ტაიმში სამი ჯარიმა მივიღე და მართალია, მეორე ნახევარში უკეთ ავთამაშდი, მაგრამ პერსონალურები ველარ ავიცილე და მოედნიდან ნაადრევად ამიტომაც დამითხოვეს.

REUTERS სტამბოლიდან




ეფესი — ცრვენა ზვეზდა. მილენკო ტოპიჩმა (მარცხნივ) იუგოსლავიის ნაკრებში თანაგუნდელი, „ეფესის“ პრედრაგ დრობნიაკი (4) სიმწრისგან გაასილაქა

# პრედრაგ დრობნიაკო, შენი!..

როგორც იქნა, მოიგო დაჩიავებულმა ბერლინის „ალბამ“ და ცხრილის მოგებათა გრაფაში ერთიანი „აანთო“. არადა, აქამდე ყველასგან ნაგვემმა, ამ ტურში ევროლიგის შარშანდელი გამარჯვებული „კინდერი“ შეიწირა. იტალიელებს მოგება ძალიან სჭირდებოდათ, რადგან უკვე აქედანვე გაინაღდებდნენ ისეთ ადგილს (პირველს, მეორეს ან მესამეს), რომელიც მეორე ჯგუფურ ეტაპზე სუსტ გუნდებს შეახვედრებდა. ცუდი დროება უდგას კინდერელთა იუგოსლავიელ ლიდერს პრედრაგ დანილოვიჩსაც: იტალიის ჩემპიონატში იჩხუბა და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, „ალბასთან“ შეხვედრისას კი თავიდანვე დაშავდა და მატჩი ზრდილობის გულისთვისლა თუ გააგრძელა. დანილოვიჩი კი, მოგეხსენებათ, „კინდერისთვის“ თითქმის ყველაფერია. რადოსლავ მაკრისმაც (ნესტეროვიჩი) ვერ გაიბრწყინა, სულ ექვსი ბურთი მოხსნა, ანუ გერმანელებს ფარი მოაგებინა (25:19)... ერთი სიტყვით, „ალბა“ ზეიმობს, „კინდერს“ კი ორი ურთულესი მატჩი ელის ცსკა-სა და „ულქერთან“, რომლებიც ასევე მეორე ეტაპისთვის პრივილიგირებული ადგილების დასაკავებლად იბრძვიან.

აქ დროული იქნებოდა „ალბაზე“ საუბრის შეწყვეტა, რომ არა მისი მწვრთნელი სვეტოსლავ პეშიჩი და ერთი უცნაური ორგანიზაცია, რომელსაც სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია ანუ ფიბა ჰქვია. ფიბა-მ რამდენიმე წელიწადია, ევროპული „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის (ამერიკული ოლ სტარის ანალოგის) გამართვა დაიწყო. წლეულს ეს თამაში 29 დეკემბერს, ბერლინში გაიმართება. ფიბა თავად ნიშნავს გუნდების (აღმოსავლეთისა და დასავლეთის) მწვრთნელებს. ჰოდა, ამ შეხვედრისთვის ადგა და დასავლეთი სვეტოსლავ პეშიჩს ჩააბარა.

პეშიჩი ურიგო მოთამაშე არ ყოფილა. სარაევოს „ბოსნაში“ ევროპის ჩემპიონთა თასიც მოუგია და იუგოსლავიის ნაკრებშიაც დიდხანს გამოდიოდა. მწვრთნელ პეშიჩზე კი რა მოგახსენოთ... მისი ყველაზე დიდი მიღწევა 1995 წელს „ალბას“ კორაჩის თასის ფინალში გაყვანა იყო. ახლანდელი „ალბა“ რა ხვითოცაა, თავად მოგეხსენებათ. საოცარია, ასეთი გუნდის თავკაცმა რატომ უნდა გაწვრთნას დასავლეთევროპული გუნდების რჩეული ბიჭები (მათ შორის, შესაძლოა, ვლადიმერ სტეფანიაც). იქნებ ძაღლის თავი ფიბა-ს უფროს ბორისლავ სტანკოვიჩის იუგოსლავიელობაშია დამარხული? კეთილი, მაგრამ განა იუგოსლავიელები არ არიან ჟელკო ობრადოვიჩი, დუშან ივკოვიჩი და ბოჟიდარ მალკოვიჩი? ამათ ხომ, გადაუჭარბებლად ითქმის, გადატრიალება მოახდინეს (და ახდენენ) ევროპულ კალათბურთში. რა ვიცი, ფიბა-სას რას გაიგებ.

იცით, ვინ იქნება აღმოსავლეთის გუნდის მწვრთნელი? ცსკა-ს სტანისლავ ერიომინი, წარსულის დიდი მოთამაშე და დღევანდელობის რიგითზე რიგითი მწვრთნელი. ვერც იმას გაიგებ, ეს კაცი რა კრიტერიუმით შეარჩიეს. შეგირდებმა დამრიგებელს ევროლიგის ამ ტურში გული დასწყვიტეს, რადგან შინ ხორვატულ „ზადართან“ დამარცხდნენ. ხორვატებს რუსის სალდათები გამოჭერილი ჰყავთ — პირველ წრეშიც დაამარცხეს.

ექს-იუგოსლავიელები კარგად ჰყავდეს და პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ დიდხანს არაფერი გაუჭირდება. ეს გუნდი სტამბოლში, 8 ათასი გადარეული მაყურებლის თვალწინ 31:43 აგებდა პირველ ტაიმს „ულქერთან“. მერე კი საქმეში ჩაერთვნენ სამხრეთსლავები კომაზეცი, ტარლაკი და ტომიჩი და მასპინძლებს სული ბოლი აადინეს. შესვენების შემდეგ „ოლიმპიაკოსმა“ 58 (!) ქულა შეიმატა და ჯგუფის ლიდერობა (და, ალბათ, საბოლოო პირველი ადგილიც) უპრობლემოდ შეინარჩუნა.

ხორვატიის „ციბონას“ ერთი უცნაურობა ახასიათებს: შინ ყველაფერი წააგო, ორივე მოგება კი სტუმრად გააზერხა. ცხადია, ათენშიც ამ განზრახვით ჩავიდა, მაგრამ იქ „პანათინაიკოსი“ და ორი ისეთი კაცი დახვდა... ხორვატ დინო რაჯაზე კარგად ვინ იცის ხორვატთა ამბავი? იუგოსლავიელზე მეტად ვის ეჯავრება ხორვატი? ალბათ არავის და არც დეიან ბოდიროგა იქნება გამონაკლისი — როგორც ყოველთვის, ბრწყინალე ბოდიროგამ ამჯერადაც სათანადოდ ითამაშა. ნიკოს ეკონომუმ კი თავის საქმეს, ანუ ფარს უგანა და გარღვევა-პასები-სამქულიანებზე გადაერთო. აქაც მაგარი ყოფილა ბერძენი და ასეთი ბიჭები რომ უდგას გვერდში, იმიტომაცაა „პანათინაიკოსი“ დაუმარცხებელი.

პრედრაგ დრობნიაკო! არამი იყოს შენზე, რაც მშობელ იუგოსლავიას შენთვის გაუკეთებია! ამისთვის გაგზარდეთ, რომ თურქულ „ეფესში“ პირადად მუსრო „ცრვენა ზვეზდა“! — ეს ალბათ მავანი იუგოსლავიელი მოქალაქის გულის ამონაკვნესია. ამ შესანიშნავმა კალათბურთელმა, მსოფლიოს ჩემპიონმა 19 ქულა ხომ ჩაუგდო თვისტომთ, რვაჯერ ბურთი მოუხსნა, ორჯერ ჩაუჭრა, სამჯერ დაუფარა და ორი პასიც მიითვალა. თუ გავიხსენებთ, რომ დრობნიაკმა პირველ წრეშიც ცხარე ცრემლით ატირა ბელგრადელები, იმ მავანი იუგოსლავიელის წუხილი სრულიად გასაგებია. „ეფესმა“ ამ მატჩში სულ ექვსი კაცი ათამაშა. დრობნიაკის დარად ითამაშეს პეტარ ნაუმოსკიმ (ოთხი სამქულიანი, 6 პასი) და ჰუსეინ ბესოქმა (14 მოხსნა). დანარჩენი სამი კი ბუზებს ითვლიდა. არადა, სამივე თურქეთის ნაკრების წევრია...

„მაკაბიმ“ ისე გულმოდგინებით დალახვრა ტდკ, გეგონებოდა, ეს გუნდი ესპანეთისა კი არა, რომელიმე არაბული ქვეყნისაო. ვერ ითამაშეს კარგად ჯეელმა ებრაელმა ვარსკვლავებმა შეფერმა და კატაშმა. სამაგიეროდ, თავი ისახელა ამერიკელმა ებრაელმა დერიკ შარფმა — ხუთი სამქულიანი ჩააგდო. ესპანელებს არ ჰყავდათ ახლადმოვლენილი ლიდერი ტერკინ მოტი, რომელიც ექსპერტებმა წლევანდელი ევროლიგის აღმოჩენად მონათლეს. სანაცვლოდ, ჰყავდათ 42 წლის ჟოან კრეუსი, ვინც ცოტა ხნის წინ თავად სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა დააჯილდოვა საგანგებო სიგელით.

ამ მარცხით ტდკ-მ მესამე ადგილი დაუთმო „მაკაბის“ და, შესაძლოა, ეს ადგილთა გადანაცვლება საბედისწეროც აღმოჩნდეს — ებრაელებს დარჩენილი მატჩები აუტსაიდერებთან აქვთ, ხოლო ესპანელებს „პანათინაიკოსის“ მასპინძლობა უწევთ.

იოანს კაზლაუსკასის დამოძღვრილმა „ჟალგირისმა“ რუსულ „ავტოდორს“ პირველ წრეში მოგება არ აპატია და შინ სასტიკად გაუსწორდა. რუსთა ლიტველმა ლიდერმა ეინიკისმაც ნაღდი სასწაული მოახდინა: 16 ნატყორცნი ბურთიდან ერთადერთი (!) ჩააგდო. „ჟალგირისმა“, პრაქტიკულად, გაინაღდა სამეორეწრეოდ ჯგუფში პრესტიჟული ადგილი.

ახლა კი ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ჯგუფს მივადგეგით. 17 წუთში 7 ჩაგდებული ბურთი (9 ნასროლიდან), 7 მოხსნა, 5 ჩაჭრა — აი, ეს გახლავთ „ოლიმპიას“ ქართველის ვლადიმერ სტეფანიას მონაგარი. მის გუნდს კი თავი ქუდში აქვს — სხვას თუ ვერაფერს, მესამე ადგილს მაინც ველარავინ შეეცილება და მეორე ეტაპზე C ჯგუფის სამ მაჩანჩალასთან, სავარაუდოდ, ცსკა-სთან, „ზადართან“ და „ალბასთან“ მოუწევს ჭიდილი.

მადრიდის „რეალმა“ მეორედ გადალახა 100-ქულიანი ზღვარი და ამჯერადაც რუსულ „სამარასთან“. „ტიმსისტემმა“ კი მდგომარეობა გაიუმჯობესა, როცა უშუალო კონკურენტ „ვილერბანს“ მოუგო. იტალიელები ამ მოგებას ერთადერთ კაცს — რობერტო ჩაკიგს მიაწერენ, ეს კი უარობს და ამბობს — გრეგორ ფუჩკა რომ არ შემშველებოდა, ვერც მე ვითამაშებდი კარგად და ვერც გუნდიო. ჩაფლავდნენ მულაომეროვიჩი და მაიერსი: 8-8 სამქულიანი ისროლეს და, შესაბამისად, ერთხელ და ორჯერ მიაღწიეს წარმატებას. მულაომეროვიჩმა სიტუაცია 6 მოხსნით, 6 პასით და 4 ჩაჭრით გამოასწორა, ხოლო მაიერსმა იქით ხუთჯერ დაკარგა ბურთი.

და ფრანგები? ფრანგებს შავი დღე გაუთენდათ. „ვილერბანის“ დარად, „პო ორტეზმაც“ უშუალო კონკურენტ „ფენერბაჰჩესთან“ წააგო და მეორე ადგილი გადაულოცა.

ევროლიგა 9 დეკემბრამდე უქმად იქნება, მომდევნო კვირიდან კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გაჩურდება.

**კახა ხურციძე**

ევროლიგა VIII ტური. 18-19 ნოემბერი

### A ჯგუფი

**ფენერბაჰჩე 78:71 პო ორტეზი**

ფენერბაჰჩე: აბი (1), აფაიდინი (8), ენდენი, კალამიზა (7), ქუთლუაი (15), მაკრეი (9), მილიჩი (23), ტაბაკი (15)

პო ორტეზი: აიშა (9), ფატუ (5), ფუარე (16), დ. გადუ (3), ტ. გადუ (7), გრანტი (15), ლორთრიჯი (8), სხოლტენი (8)

**ტაუგრესი 75:72 ვარეზე**

ტაუგრესი: ანგულო (7), ბენეტი (12), ბერიჩი (14), ესპილი (19), გარბახოსა (9), მახოვსკი, მილერა, ვინტერსი (14), ცვიკერი

ვარეზე: დე პოლი (7), გალანდა (16), მენეგინი (3), მრშიჩი (13), პოცეკო (21), სანტიაგო (4), ვან ფელსენი, ვესკოვი (8)

**ჟალგირისი 77:62 ავტოდორი**

ჟალგირისი: ადომაიტისი (8), ბოუი (11), ედნი (8), მასიულისი (10), მასკოლიუნასი (4), შტომბერგასი (16), ზიდეკი (11), ე. ჟუკაუსკასი (6), მ. ჟუკაუსკასი

ავტოდორი: ეინიკისი (4), ფეტისოვი (5), ხიჟნიაკი (16), ხრიაპა (4), მილოსერდოვი (3), ზ. პაშუტინი (15), შტელმახერსი (15), ჩიკალკინი

### B ჯგუფი

**პანათინაიკოსი 83:70 ციბონა**

პანათინაიკოსი: ალვერტისი, ბოდიროგა (30), ბურკი (6), ეკონომუ (17), ჯენტილე (9), ჰუპმანი, კოხი (6), მალოსი, პატავუკასი (3), რაჯა (12)

ციბონა: ატკინსი (1), ბაგარიჩი (4), გირიჩეკი (30), გრეი, გრგატი (8), კრსტიჩი (8), მარცელიჩი (6), პრკაჩინი (7), სარლია (4), ვრანკოვიჩი (2)

**მაკაბი 81:55 ტდკ**

მაკაბი: ალექსანდერი (17), გუდესი (6), ჰენფელდი (7), კატაში (6), პოპა (4), სავიონი, შარფი (19), შეფერი (13), შელეფი (9), შრამბანი

ტდკ: კაპდევილა (2), კრეუსი (5), გონსალესი (7), ლავინია (1), მილი (12), მონტანესი, მოია (6), სინგლა (11), ვასკესი (11)

**ცრვენა ზვეზდა 71:72 ეფესი**

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი, იესტრატიევიჩი (13), პავიჩევიჩი (2), პეკოვიჩი (8), პოპოვიჩი (4), რაკოჩევიჩი (17), სტანოევიჩი (9), ტოპიჩი (18)

ეფესი: ბესოქი (19), დრობნიაკი (19), ევლიაოღლუ (2), ნაუმოსკი (19), სარიჯა (4), თურქოღლუ (9)

### C ჯგუფი

**ალბა 75:72 კინდერი**

ალბა: ალექსისი (14), ბოგოევიჩი (6), ფემერლინგი (10), გარისი (9), ჰამინკი, ლუტკე, ნაკიჩი (10), პეშიჩი (16), როდლი (10)

კინდერი: აბიო (13), ბინელი (2), კრიპა (4), დანილოვიჩი (13), მაკრისი (18), ოსალივანი, პანიჩი (1), პასპალი (8), რიგოდო (13)

**ცსკა 66:68 ზადარი**

ცსკა: დაინეკო (14), გუტოროვი (2), კარასიოვი (10), კისურინი (4), კუდელინი (9), ნოსოვი, პანოვი (6), ტიხონენკო (16), ვეტრა (5)

ზადარი: ერცეგოვიჩი (6), ერიავეცი, კოვაჩიჩი (8), ლუისი (14), მალოჩა (12), მუიაჯიჩი (12), ნაგლიჩი (11), ტ. რუჟიჩი (5), ზორზი

**ულქერი 79:89 ოლიმპიაკოსი**

ულქერი: ალიჰოჯიჩი (4), ანდერსონი (19), ერდენაი (28), ფირინჯიოღლუ (9), კოტუროვიჩი (6), რენკინი (13), თექინალფი, ილდირიმი

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (3), ფასულასი (5), გოლდვაიერი (11), კომაზეცი (17), ობერტო (4), პაპანიკოლაუ (4), როჯერსი (15), ტარლაკი (16), ტომიჩი (14)

### D ჯგუფი

**ტიმსისტემი 84:61 ვილერბანი**

ტიმსისტემი: ბეტსი, ჩაკიგი (27), დილგლაი (10), ფუჩკა (19), ლაცისი, მულაომეროვიჩი (14), მაიერსი (14)

ვილერბანი: ადამსი, ბილბა, ბლომი (6), დიგბო (14), პერსევო (2), პლუვი, რადი (29), სონკო (10)

**სამარა 88:109 რეალი**

სამარა: დოლოპჩი (7), ევანსი (25), გარშინი (2), გრაჩოვი (6), იაილო (9), კისელიოვი (2), მალცევი (26), პეტენევი (7), საიტანი (4)

რეალი: ანგულო (19), ბერლი (13), ბუენო (4), გარსია (6), ერეროსი (24), ლასა (8), ლიუკი (2), მარტინი (15), სანტოსი (4), სტრიულენსი (14)

**ოლიმპია 84:68 პაოკ**

ოლიმპია: დანეუ (1), დუშჩაკი (4), იურკოვიჩი (11), კრალევიჩი (11), მაკდონალდი (20), მუტავჯიჩი (6), პრაისი (2), სტეფანია (14), ტეილორი (5), ზდოვცი (10)

პაოკ: ბალოიანისი (6), ბერი (13), კოლდებელა (4), დესპოსი, იანულისი (7), კინგი (19), მასლარინოსი (4), მორალესი (15), ნიკოლაიდისი, პერალი

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟალგირისი | | 64:59 | 70:67 | 10.12 | 97:81 | 77:62 | 6 | 2 | 655:621 | 14 |
| 2 | ფენერბაჰჩე | 99:84 | | 78:71 | 96:75 | 94:75 | 80:76 | 5 | 3 | 611:581 | 13 |
| 3 | პო ორტეზი | 17.12 | 73:48 | | 81:71 | 10.12 | 74:71 | 4 | 4 | 613:598 | 12 |
| 4 | ტაუგრესი | 91:97 | 63:57 | 88:84 | | 75:72 | 17.12 | 4 | 4 | 622:637 | 12 |
| 5 | ვარეზე | 75:84 | 17.12 | 89:77 | 86:78 | | 95:73 | 3 | 5 | 643:651 | 11 |
| 6 | ავტოდორი | 87:82 | 10.12 | 83:86 | 64:81 | 73:70 | | 2 | 6 | 589:645 | 10 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 77:63 | 67:58 | 74:58 | 83:70 | 77:71 | 8 | 0 | 607:517 | 16 |
| 2 | ეფესი | 16.12 | | 81:74 | 82:74 | 80:57 | 73:60 | 7 | 1 | 587:546 | 15 |
| 3 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | | 81:55 | 76:57 | 10.12 | 3 | 5 | 552:551 | 11 |
| 4 | ტდკ | 10.12 | 67:68 | 72:65 | | 67:79 | 74:59 | 3 | 5 | 528:562 | 11 |
| 5 | ციბონა | 61:69 | 9.12 | 17.12 | 54:61 | | 77:80 | 2 | 6 | 524:582 | 10 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 74:76 | 71:72 | 67:70 | 17.12 | 66:69 | | 1 | 7 | 548:588 | 9 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | | 55:50 | 17.12 | 58:72 | 71:55 | 94:65 | 7 | 1 | 605:546 | 15 |
| 2 | კინდერი | 67:72 | | 9.12 | 66:49 | 62:53 | 78:52 | 5 | 3 | 530:473 | 13 |
| 3 | ცსკა | 75:81 | 62:70 | | 82:76 | 66:68 | 86:75 | 4 | 4 | 611:579 | 12 |
| 4 | ულქერი | 79:89 | 17.12 | 64:91 | | 62:55 | 76:65 | 4 | 4 | 563:579 | 12 |
| 5 | ზადარი | 10.12 | 55:65 | 82:79 | 73:85 | | 16.12 | 3 | 5 | 526:568 | 11 |
| 6 | ალბა | 83:85 | 75:72 | 63:70 | 10.12 | 78:85 | | 1 | 7 | 556:646 | 9 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 67:68 | 71:70 | 17.12 | 77:69 | 101:72 | 6 | 2 | 657:596 | 14 |
| 2 | ოლიმპია | 76:84 | | 64:54 | 57:45 | 84:68 | 10.12 | 6 | 2 | 550:517 | 14 |
| 3 | ვილერბანი | 9.12 | 17.12 | | 71:66 | 80:66 | 92:69 | 5 | 3 | 575:559 | 13 |
| 4 | ტიმსისტემი | 66:73 | 63:66 | 84:61 | | 76:61 | 77:58 | 4 | 4 | 548:506 | 12 |
| 5 | პაოკ | 87:75 | 76:68 | 65:69 | 9.12 | | 85:66 | 3 | 5 | 577:595 | 11 |
| 6 | სამარა | 88:109 | 60:67 | 74:78 | 59:71 | 17.12 | | 0 | 8 | 546:680 | 8 |

# გია მოლოდინაშვილი: მეულლე მეხვეწება, მოედანზე არავინ დასაჯო, მოგკლავენო



გია მოლოდინაშვილი

უკვე მერვე წელია, რაც ეროვნულ საკალათბურთო ჩემპიონატს ვატარებთ ავად თუ კარგად. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ვნახეთ - მსაჯთა ცემა თუ გუნდებისგან ერთმანეთის რბევა. ტრიბუნებზე ქომაგებს მოსეირეები სჭარბობენ, რადგან საინტერესო სანახაობებს ხშირად ჩხუბი და აყალმაყალი ამეტებს. ყველაფერ ამას კი დაბალი დონის მსაჯობასთან მივყავართ. ეს პრობლემა პირდაპირებულ უფსკრულად იქცა და ახლავე საჭიროებს შველას.

ამ თემაზე აზრის გამოთქმა თავად მსაჯმა, გია მოლოდინაშვილმა მოისურვა, რომელმაც მოედანზე თუ კულისებში მიმდინარე ფაქტებიც გაიხსენა გულისტკივილით. ვიცით, რაც ქვემოთ ითქმება, ბევრის აღშფოთებას გამოიწვევს, ზოგსაც გულზე მალამოდ მოეფინება... მთავარი კი ერთია — ჩვენი ეროვნული კალათბურთი დაბლა მიექანება და შველას ითხოვს.

**— ფაქტია, რომ საქართველოში მსაჯობა არავის უნდა...**

— იმიტომ, რომ დაბალი ანაზღაურებაა. ფინანსური დაინტერესება რომ იყოს, ახალგაზრდობა მოვა და მსაჯთა თაობების ცვლაც უმტკივნეულოდ მოხდება. მართალია, გამოუცდელ კაცს უმაღლეს ლიგაში მსაჯობას ასე ხელაღებით ვერ ანდობ, მაგრამ მე თავად ამოვუდგები მხარში, გამოცდილებას გავუზიარებ და ნელ-ნელა ისიც გაიზრდება. ამისთვის საჭირო ლიტერატურაც გამაჩნია, არც თავს დავზოგავ. ადრე სამ თვეში ერთხელ გამოცდასავით ვატარებდით, ვამოწმებდით ახალგაზრდებს, რა შეეძლოთ. ასე გავიზარდე მეც და არა მგონია, ამ მეთოდმა არ გაამართლოს. ერთს რომ გავზრდით, სხვაც გამოჩნდება...

ჩემი აზრით, უმაღლეს ლიგაში მოთამაშე არბიტრები ჩემპიონატში შესვენების დროს სტუდენტურ და ბავშვთა ლიგაში, ქალთა ჩემპიონატშიც უნდა ვამსაჯოთ. მეტი მატჩების განსჯა მათ ცოდნასაც და გამოცდილებასაც დაეტყობა. ამასთან ერთად უმაღლესი ლიგის მატჩებს მომსახურების ანაზღაურება 50 ლარი უნდა იყოს. საშველი, მგონი, ესაა. დღესდღეობით ჩვენში უმრავლესობა იმიტომ მსაჯობს, რომ სხვა საარსებო საშუალება არა აქვს და მცირე ანაზღაურების გამო მათ პროფესიული დონე ძალიან დაბალია, თანაც მეტს ვერც მოსთხოვ. რა გასაკვირია, თუ ყოველდღიური პრობლემებით გაბეზრებული მსაჯი მომზადებული ვერ მოვა და მატჩსაც მაღალ დონეზე ვერ მოემსახურება. ეს კიდევ ერთხელ სდასუ — „აზოტის" შეხვედრაზეც გამოჩნდა. ჩემი აზრით, ინციდენტი ჩემი კოლეგების მოქმედებიდან აგორდა. რომ არა მათი სისუსტე, ჩხუბი არ მოხდებოდა

**— ისიც ფაქტია, რომ მსაჯები თავის სიმაღლეზე ვერ დგანან...**

— დიახ, გეთანხმებით. რაზეა ლაპარაკი, როცა კაცი სამსაჯოდ მთვრალი მოვა. არავის განაწყენება არ მინდა, მაგრამ რასაც ვამბობ, სიმართლეა. ასეთი რამ წლეულს უკვე ორჯერ მოხდა. მატჩების დასახელებაც შემიძლია. იმ პიროვნებას განა ფედერაცია ვერ ხედავს? უბრალოდ, მატჩის ჩაშლა არ უნდათ, რადგან შემცვლელი არ ჰყავთ. არადა, მთვრალ მსაჯს მოედანზე რა მოელანდება, ღმერთმა უწყის...

ამ საკითხზე მსაჯთა კოლეგიის სხდომაზეც იმსჯელეს. ფედერაციის მესვეურებმა თავი იმით იმართლეს, რომ მსაჯს სიმთვრალის დასამტკიცებლად ექსპერტიზას ხომ არ ჩავუტარებდითო. კაცს ალკოჰოლის სუნი რომ ამოსდის და ბარბაცებს, რა ექსპერტიზა სჭირდება?

კარგი, სიმთვრალეს თავი დავანებოთ. მსაჯს ფიზიკური მომზადება რომ აკლია ან საერთოდ არა აქვს, ფორმა არ აცვია და მოედანზე ჯინსებით, გაუპარსავი გამოდის, რა მსაჯობაზეა ლაპარაკი.

17 წლისამ დავიწყე მსაჯობა და არ მახსოვს, სასტვენის გარეშე გამოვცხადებულიყავი მოედანზე. ახლა კი... რაც დღეს ჩვენში ხდება, ხვალ ის დაგვღუპავს, ამიტომ არაფერი არ უნდა დაიმალოს.

**— ფედერაცია ხომ ყველაფერ ამას ხედავს, ნუთუ არავითარ ღონეს არ ხმარობს...**

— არანაირს, ზემოთაც ვთქვი, მსაჯები თითზე ჩამოსათვლელნი ვართ და რომელიმეს დასჯა ან კალათბურთიდან მოკვეთა ჩემპიონატის ჩაშლას გამოიწვევს.

**— ცნობილია, რომ მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებას კურსებზე უცხოეთში გაგზავნა ფინანსებთანაა დაკავშირებული და არ ხერხდება. ადგილზე თუ ტარდება რაიმე მეცადინეობა-სემინარები?**

— არა, ასეთი რამ არ მახსოვს. არანაირი თეორიული მეცადინეობა არ ტარდება. ახალგაზრდებს გამოცდილება და ცოდნა ნაკლები გვაქვს, რაც ძველებს (როსტომაშვილს და აბაშიძეს) არ აკლიათ. ისინი საკავშირო ჩემპიონატებს სჯიდნენ, მაგრამ მათი მსაჯობა აღარ შეიძლება: ასაკი თავისას აკეთებს, ფიზიკური კონდიციები დაკარგული აქვთ. თანაც კალათბურთი დღითიდღე ვითარდება. ისეთმა უნდა იმსაჯოს, რომელიც ყველაფერს ასწრებს. 40 წუთის განმავლობაში მსაჯმა ყველაფერი უნდა დააფიქსიროს. ჩვენთან მსაჯი მოედანზე კი არ დარბის, დასეირნობს. რა თეორიულ მეცადინეობა-სემინარებზეა ლაპარაკი. ისე ატესტაცია ან ტესტირება რომ ჩავატაროთ, არა მგონია მსაჯთა უმრავლესობამ დადებითი შეფასება მიიღოს. მე გული მტკივა ჩვენი კალათბურთის შემხედვარე, სხვა ქვეყნების დარად ხვალ ამ სახეობაში ფული რომ ჩაიდოს, ფედერაცია რას იზამს, არ ვიცი, მსაჯებს საიდან მოიყვანს.

**— და მაინც, ჩემპიონატი ტარდება და თქვენც, მსაჯები, ასე თუ ისე თქვენს საქმეს აკეთებთ...**

— ამას ჩემპიონატი არ ჰქვია. ეს ქართული „პაკაზუხობაა", ვითომდა ეროვნულს ვატარებთ. რად გვინდა ასეთი პირველობა. ჯობს, საერთოდ არ ჩავატაროთ და მიზეზად ის დავასახელოთ, რომ მსაჯები არ გვყავს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არანაირი პირობები არ გვაქვს. მსაჯთა ოთახს ეს სახელი პირობითად ჰქვია, იქ მხოლოდ დომინოს და ნარდის სათამაშო ადგილია. სუფთა „პრახადნოი დვორია", ქუჩაში მეტი სიწყნარეა, ვიდრე იქ.

საკავშირო პირველობაზე მსაჯობისას მატჩის შემდეგ კომისარი შეცდომებს გვისწორებდა. ჩვენს ეროვნულში არავინ არაფერს გვეუბნება და გვითითებს.

**— ხშირად გამიგონია, თქვენთვის „თამაშის გაფუჭება" დაუბრალებიათ...**

— დაბრალების რა მოგახსენოთ, ისე, ხშირად უკითხავთ, მხოლოდ ჩემი მსაჯობისას რატომ ხდება მოთამაშის გაგდება. ჩემი პასუხი ასეთია: არავის მივცემ უფლებას, შეურაცხყოფა მომაყენოს, როგორც მსაჯს და ის დაუსჯელი დარჩეს. როგორ, დედისა და ცოცხალ-მკვდარის გინებაზე რეაგირება თუ არ გააკეთე, მით უმეტეს ახალგაზრდა მსაჯმა, ხვალ უარესს ელოდე — მოედანზე ვერავის დაიმორჩილებ.

სპორტსმენი უნდა თამაშობდეს და არა სჯიდეს. ჩვენთან პირიქითაა, მსაჯის განსჯისთვის იცლიან და თამაშებისთვის ვერა. მე ყოველთვის ვცდილობ, მსაჯის სიმაღლეზე ვიყო და მატჩის სადავეები არ დავკარგო. მოთამაშეს წინასწარ ვეუბნები — ახლა გაგაფრთხილებ, მერე კი ტექნიკურით დაგსჯი. ამას არ ითვალისწინებენ. თუ თქვენ ვინმეს დასჯას თამაშის გაფუჭებად თვლით, მაშინ მატჩს განა ის არ აფუჭებს, რომ მსაჯის ყველა გადაწყვეტილება მოთამაშების ჯაჯღანსა და გინებას იწვევს. რაც მოედანზე ხდება, დიდი სირცხვილია. როგორ შეიძლება მსაჯის აბუჩად აგდება ან შეურაცხყოფა. ჩვენს შეცდომებზე სადისციპლინო კომისიამ უნდა იმსჯელოს.

რა სათქმელია, მაგრამ მატჩების წინ მეუღლე მეხვეწება-ხოლმე, არავინ გააგდო და არავინ დასაჯო, მოგკლავენო.

ჩემპიონატი განახლდება და მთელი ტვირთი ჩვენზე, ძირითადად ახალგაზრდებზე გადაივლის. მით უმეტეს, მატჩებს თანდათან მეტი სიმძაფრე და დაძაბულობა შეემატება. მაშინ კი მსაჯობა მართლაც გაჭირდება. მღებრიშვილი და ომონიძე, მგონი, ჩვენთან უფრო იქნება საჭირო.

**მამუკა ტუღუში**



**გუშინ, გამთენიისას საქართველოს მორაგბეთა ნაკრები თბილისში დაბრუნდა. დაბრუნდა დამარცხებული, გუნებაწამხდარი, მაგრამ მაინც გაუტეხელი, შეცდომებს [illegible] მაღიარებელი და სამომავლო, არანაკლებ მნიშვნელოვანი ბრძოლებისთვის ერთ მუშტად შეკრული. უკვე ვთქვით და გავიმეორებთ — ამ წაგებისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. არც ის მიგვაჩნია სწორად, მარცხი რომელიმე მოთამაშეს გადავაბრალოთ. ჯობს ნურავის გადავატეხავთ. თავის შეცდომას ყველა, მწვრთნელიც და მოთამაშეც სახალხოდ თუ თავისთვის, თქმით თუ უთქმელად ინანიებს და ამაში ქვემორე ინტერვიუებიც დაგარწმუნებთ**

# არ წუწუნებენ სწორედ ისინი, ვისაც სხვებზე მეტად კი უჭირთ, მაგრამ სხვებზე მეტად შეუძლიათ ჩვენი გახარება

დიახ, წააგეს ჩვენმა მორაგბეებმა და არც ახლა დაუწყიათ წუწუნი იმაზე, რომ არა აქვთ მოედანი, სავარჯიშო ინვენტარი, ხელფასები და სხვაც მრავალი. რაგბი დღევანდელ ქართულ სპორტში გერის როლშია და მას ყველაფერი აკლია, მაგრამ მორაგბეთაგან არავის უცდია პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. შეცდომები ალალად აღიარეს და თავის მართლება არ დაუწყიათ.

...ის თამაში რუმინელებს არ მოუგიათ. იგი ქართველებმა წააგეს. რუმინელთა მიერ გატანილი სამივე ლელო ქართველთა შეცდომების შედეგია. მათ სალელოე მომენტები საერთოდ არ შეუქმნიათ. ქართველებმა ეს მომენტები საკუთარ თავსაც შეუქმნეს და... მეტოქესაც. რუმინელებმაც შეირგეს ძღვენი.

რაც მოხდა, მოხდა. წარსულს ვერავინ შეცვლის. ცხოვრება შანსს ერთხელ მოგცემს, ჩვენ ეს შანსი რუმინეთთან ვერ გამოვიყენეთ და ახლა ტონგას უნდა წავგლიჯოთ. ჩვენი ბიჭები ამისთვის მზად არიან. იციან, ეს ძნელი იქნება, მაგრამ ისიც შეგნებული აქვთ, რომ უკან დასახევი გზაც მოჭრილია. ტონგას შემდეგ კი კორეა ან ჰოლანდიაა, მაგრამ ეს მერე, ტონგას მერე. ტონგა რეალობაა, ჰოლანდია ან კორეა კი — პერსპექტივა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ საკუთარი შეცდომებიც აღიარა და სხვისიც.

— მოგება შეგვეძლო. თამაში მოგებულიც იყო და ყველა წეს-კანონით ჩვენ უნდა გაგვემარჯვა. შემადგენლობის შერჩევისას მეც შევცდი. ბუგიანიშვილი, ეტყობა, არ უნდა დამეყენებინა ძირითად შემადგენლობაში. ვერ გადავწყვიტეთ, 13-ზე ჯიმშელაძე გვეთამაშებინა თუ ხამაშურიძე. მოგვიანებით ხამაშურიძე კი დავაყენეთ ამ ადგილზე, მაგრამ უკვე გვიან იყო. საბედისწერო გამოდგა ჩვენთვის თამაშის დაწყებისთანავე მაჩიტიძის დაშვება. არადა, 10 ნომერი რომ გამოგაკლდება...

ვერ გავარტყით, ვერ მოვიგეთ... როგორც ჩანს, ჩვენი დღე არ იყო, რადგან ბევრში არ გაგვიმართლა. არც დარტყმები წაგვივიდა და სამი საჯარიმოც ავაცილეთ.

**— ყველაზე მეტად რომელმა რგოლმა გაამართლა და პირიქით?**

— უკანა ხაზის თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა, შერკინებამ კი ნორმალურად ითამაშა.

**— ტონგასთან შეხვედრამდე ნაკლის გამოსწორებას მოასწრებთ?**

— ტონგასთან შერკინების ხაზშიც იქნება ცვლილებები, სხვაგან კი თავისთავად. მესამე ხაზს აუცილებლად უნდა დაემატოს პარწიკანაშვილი. მისი წაყვანა ამჯერად ვერ მოვახერხეთ, რადგან ფორმაში არ იყო. მომავალში აუცილებლად ვათამაშებთ.

**— წაგების უმთავრეს მიზეზად გამოუცდელობას და ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობას ასახელებენ. ეს მომენტიც ანგარიშგასაწევია, მაგრამ ელემენტარული შეცდომებიც ბევრი იყო. ვგულისხმობ არა გაშვებულ ლელოებს, არამედ, ვთქვათ, იმ შემთხვევებს, როცა ბურთის აუტში გადაგდებას ვერ ვახერხებდით და პირდაპირ მეტოქეს ვაბარებდით...**

— ეს გასაკვირი არაა. ჩვენ ხომ ფრანგები არა ვართ, უნაკლონი ვიყოთ. მაგრამ მაინც ჩვენი, მწვრთნელების ბრალია. ეტყობა, უკეთესები ვერ შევარჩიეთ. დღეს ადვილია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ...

**— ვიცით, რომ ბიჭები წაგებას ძალიან განიცდიან, მაგრამ არც უიმედოდ არიან.**

— რუმინეთს დიდი სკოლა და სახელი აქვს. ამიტომ წაგება გადავიტანეთ. მათ ჩვენთვის არ მოუგიათ. სხვათა შორის, ჩვენს კარში გატანილი ბოლო ჯარიმისთვის მსაჯმა ბოდიშიც მოგვიხადა, შევცდიო. ის არ იყო ჯარიმა, რადგან რაფაელმა წესების დაცვით გადაყარა ხალხი და აართვა ბურთი, თუმცა ყველაფერს ამასაც ნუ დავაბრალებთ.

**— ჩვენს კარში გატანილი პირველი ლელოც საკამათოა. ის ლელო კურიოზული კი გახლდათ, მაგრამ ჩემი აზრით, ჩასათვლელი იყო. ჩვენების მიერ გატანილი ბოლო ჯარიმაც კამათს იწვევს. თვლიან, რომ დარტყმას გათამაშება და ლელოს გატანის ცდა აჯობებდა.**

— ჩვენ დარტყმა ვამჯობინეთ, რადგან თამაშის დამთავრებას სუფთა დროის 8 წუთი აკლდა. რაგბი კი სუფთა დროში არ მთავრდება. მას 5-6 წუთი ყოველთვის ემატება. ასე რომ, 15 წუთამდე დრო კიდევ იყო დარჩენილი. ამიტომ დარტყმა ვამჯობინეთ.

**— მოდით, ახლა ტონგელებზე ვისაუბროთ.**

— მათი თამაში უშუალოდ არ გვინახავს, მაგრამ რაღაც ზოგადი წარმოდგენა გვაქვს. ვიცით, რომ ისინი მეზობლებთან — ფიჯისთან და სამოასთან მუდამ კი მარცხდება, მაგრამ ყოველთვის თანაბარ ბრძოლაში. მათთან შეხვედრაში იმავე შეცდომებს აღარ გავიმეორებთ, რადგან ამისი უფლება აღარ გვაქვს. შემადგენლობასაც ალბათ 2-3 კაცი აუცილებლად დაემატება. ნაკრებში აუცილებლად იქნება ნიკა იურინიც, რომელიც სჭირდება გუნდს. მისი წაყვანა ახლა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ მოხერხდა.

...წაგებას ცნობილი ვეტერანი დავით კილასონიაც დაემწუხრებინა და ნაკრების წევრი ირაკლი გიორხელიძეც.

კილასონია დუბლინურ ბატალიებს კარგა ხანს ვერ დაივიწყებს.

— ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, რუმინეთისთვის არც უნდა მოგვეგო. იგი ხომ ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია და იყო დრო, საფრანგეთსაც კი უგებდა, მაგრამ ამ მატჩში ჩვენ გამარჯვების დიდი შანსი გვქონდა. დასანანია, რომ ვერ გამოვიყენეთ.

— მსაჯი შეცდა, როცა რუმინელებს პირველი ლელო ჩაუთვალა. თამაშის მერე ინგლისელმა და უელსელმა ჟურნალისტებმა თვითონ მოგვიტანეს ვიდეოფირი და გვაჩვენეს ეს მომენტი. ისინიც თვლიდნენ, რომ მსაჯმა ეს ლელო შეცდომით ჩათვალა.

— როცა თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ჩვენებმა სალელოე მოედანთან დანიშნული ჯარიმა კარში დაარტყეს, ჩემი აზრით, ეს შეცდომა იყო. აჯობებდა, ლელოს გატანა ეცადათ, რადგან თამაში მთავრდებოდა და ანგარიშის გაზრდის შანსიც მცირდებოდა.

— ძალიან ძლიერად ითამაშა შერკინებამ, რომელმაც დაჩაგრა მეტოქე. სამაგიეროდ, სუსტად იყო უკანა ხაზი.

— ჩვენი გუნდიდან გამოვყოფდი გიორგი ლაბაძეს. ჩემი აზრით, იგი ორივე მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. ძალიან მომეწონა გოდერძი შველიძეც. მისი სახით კარგი მორაგბე გვეზრდება. კარგად ითამაშა ჯანელიძემაც. ისე არ გამიგოთ, თითქოს მეტი არავინ მომწონებოდეს, თუნდაც მალხაზ ურჯუკაშვილი. ვთვლი, რომ მისი ერთადერთი ნაკლი სადღეისოდ ახალგაზრდობა-გამოუცდელობაა და მეტი არაფერი.

— თამაშისადმი არასერიოზული მიდგომა რუმინელთათვის ნამდვილად არ შემინიშნავს. მათი ფედერაციის გენერალური მდივანი ჩემი მეგობარია და მატჩამდე ბევრიც ვისაუბრეთ. მითხრა, შეხვედრას დიდი პასუხისმგებლობითა და სრული მობილიზებით ვხვდებითო. რუმინელების დიდი ნაწილი საფრანგეთში თამაშობს. ისინი პროფესიონალები არიან და თავს მოდუნების უფლებას არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ.

— სუსტად ითამაშა დაცვამ. ჯერ არ მინახავს, ორ წუთში ერთნაირი შეცდომების გამო ორი ლელო გასულიყოს. პაალიკო ჯიმშელაძის დონის მორაგბისგან ასეთ სუსტ თამაშს ნამდვილად არ ველოდი. არც ბუგიანიშვილისგან. იგი ძალიან განიცდის მომხდარს. მან ჩვენთან ერთად იმგზავრა და მთელი გზა თავი არ აუწევია, ხმა არ ამოუღია. შეცდომა ვის არ მოსვლია და ამათი რა გასაკვირია. მსგავსი რამ დიდ მორაგბეებსაც დამართვნიათ. ნურც ირლანდიასთან თამაშის შედეგი შეგაშინებთ. ამაზე უფრო დიდი ანგარიშით ჩვენზე დიდ გუნდებს წაუგიათ.

— ტონგას შესახებ მე და კლოდ სორელმა დიდხანს ვისაუბრეთ. ვთვლით, რომ ჩვენმა შერკინებამ შეიძლება აჯობოს მათსას, მაგრამ თუ შუამარბებმა და უკანა ხაზმა თამაში არ გამოასწორა, მათი ნალვაწი რუმინეთთან შეხვედრის დარად წყალში ჩაიყრება.

— ირლანდიაში დავესწარით ერთ-ერთი პროვინციის თასის ფინალს. ერთმანეთს პირველი და მეორე ლიგების გუნდები ხვდებოდნენ. ეს იყო საოცარი სანახაობა. არა მარტო უშუალოდ შეხვედრა, არამედ საერთო ატმოსფერო. ეს რაგბის ზეიმი იყო. ჩვენთან კი მორაგბეებს მოედანიც არა აქვთ. ქვიან მოედნებზე თამაში დამღუპველია, რადგან მოთამაშეებს დაშავების შიში უჩნდებათ.

ირაკლი გიორხელიძე ამ მატჩის უშუალო მონაწილეა და მის ნაამბობს სხვა ელფერი აქვს.

— რუმინეთთან მოგება ნამდვილად შეგვეძლო. თამაშის წინ სორელი გვარიგებდა — რუმინეთი ათიდან ცხრა შეხვედრაში დაგვამარცხებს, მაგრამ დღეს სწორედ ის ერთი უნდა მოვუგოთო. არადა, რუმინელებს ათიდან ცხრას ჩვენ მოვუგებთ, მაგრამ იმ დღეს სწორედ ის ერთი წავაგეთ. მეორე ლელოსას ბურთი უმნოდ ახტა და პირდაპირ მათ ჩაუვარდა ხელში.

— რუმინელებმა მატჩამდე იცოდნენ, რომ მძიმე ბრძოლა ელოდათ. ირლანდიური პრესა წერდა, ქართველები ჩვენთან შეხვედრას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და მათთვის გადამწყვეტი რუმინეთთან მატჩიაო.

— მოედანზე ისინიც საბრძოლველად გამოვიდნენ, რადგან ორივეს ერთი მიზანი გვქონდა — მოგება და ფინალურ ეტაპზე მოხვედრა. რუმინელები შეგუებულნი იყვნენ, რომ არაფერს დავუთმობდით და ნამდვილ ომს გავუჩაღებდით. ჩვენ თუ თამაშით ვაჯობეთ, იმიტომ, რომ არ მივეცით საშუალება, საკუთარი თამაში ეთამაშათ. საწყენია, რომ გავიწირეთ!

— გასახდელში, მეორე ტაიმის დაწყებამდე, სორელმა და მოდებაძემ გაგვაფრთხილეს, რომ რუმინელები თამაშს გაშლიდნენ და ფრთხილად ვყოფილიყავით. ამის გაკეთება მათ პირველ ტაიმშიც სურდათ, მაგრამ საშუალება არ მივეცით. არ მიეცათ არც მეორეში, შერკინებამაც პირდაპირ შეჭამა მეტოქენი, მაგრამ ორი ბრმა ლელო გავუშვით და წავაგეთ. რუმინელებმა თუ მესამე ლელო ასე თუ ისე კიდევ შექმნეს, პირველი ორისას არაფერი გაუკეთებიათ. მათ ნამდვილად გაუმართლათ.

— არ შეიძლება იმის თქმა, რომ ვინმეს შეცდომების გამო წავაგეთ. თამაში წააგო მთელმა გუნდმა — ოცდაექვსმა კაცმა. ყველა ძალიან განიცდიდა მომხდარს. ბანკეტზე ბიჭები კიდეც ტიროდნენ. ზევით ვთქვი, გავიწირეთ-მეთქი. თუნდაც ის მეორე ლელო ავიღოთ. ბურთი რომ სხვა ტრაექტორიით არეკნილიყო, ლელო არ იქნებოდა, მაგრამ ზუსტად ისე ავარდა, როგორც რუმინელებს წაადგებოდათ.

— ეტყობა, ისე იყო საჭირო, რომ ტონგაც უნდა გვენახა, ჰოლანდიაც და კორეაც. მოგების შანსი ტონგასთანაც არის, რადგან შეუძლებელი არაფერია. ჩვენ მათი თამაში მხოლოდ კასეტაზე გვინახავს, მაგრამ ჩვენი შეხვედრის აფრიკელმა მსაჯმა თამაშის შემდეგ გვითხრა, ასეთი თამაშით ტონგას უნდა მოუგოთო. აფრიკელები კი იქაურ რაგბის ჩვენზე კარგად იცნობენ.

**ირაკლი თამაძე**

# სამი პორტრეტი ერთ ჩარჩოში

*კიდევ ერთხელ გადავათვალიერეთ ჩვენი „ალბომი". მისი ფურცლისას 1982 წელსაც მივადექით.*

*ვერ ვიტყვით, ის წელი საქართველოს სპორტსმენთათვის განსაკუთრებით უხვმოსავლიანი იყოო. იყო ჩვეულებრივი წელი, როცა ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი კიდევ ერთხელ გახდნენ საჭადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონები.*

*თავიანთ მრავალრიცხოვან ჯილდოებს იმ წელიწადს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები შემატეს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა თემურ აფხაზავამ და თემურ ყაზარაშვილმა, მოფარიკავე ვლადიმერ აფციაურმა, წყალბურთელმა მიხეილ გიორგაძემ, კალათბურთელმა ნიკოლოზ დერიუგინმა, ხელბურთელმა ალექსანდრე ანპილოგოვმა. იმავე რანგის შეჯიბრებაზე ჩვენმა სპორტსმენებმა კიდევ თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს, ევროპის ჩემპიონობა კი ორმა მოიპოვა. კიდევ ხუთმა მეორე და მესამე ადგილები დაიკავა. ოჯახაშენებულო, ასეთ ბარაქიან წელიწადს ჩვეულებრივს როგორ უწოდებო, ალბათ შეიცხადებს ახალგაზრდა სპორტის გულშემატკივარი, რადგან „ოქრო-ვერცხლის" ასეთ წვიმას დღეს სიზმრადაც ვეღარ ვხედავთ, მაგრამ ჩვენ უფრო უხვმოსავლიანი სეზონებიც გვახსოვს...*

და მაინც, ის წელი გამოსარჩევია ქართული სპორტის ისტორიაში — მაშინ ჩვენმა სპორტსმენებმა ცურვასა და წყალბურთში პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატების მედლები. ესენი იყვნენ ქუთაისელები, წყალბურთელი მიხეილ გიორგაძე და მოცურავე ირინა გერასიმოვა. მსოფლიო ჩემპიონი გახდა მოსკოველი გიორგი მშვენიერაძეც.

ახლა გვინდა ჩვენი ალბომიდან შემოგთავაზოთ ამ სამეულის პორტრეტი ერთ ჩარჩოში.

„ჩარჩოში" „სარბიელის" ამ გვერდს ვგულისხმობთ. „ჩარჩოდ" შეიძლება ვიგულისხმოთ ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსიც, ახლა „ლაგუნა ვერე" რომ ჰქვია.

მაშინ, გუაიაკილის მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნებული სამივე სპორტსმენი ამ აუზში ვნახეთ და ფირზეც აღვბეჭდეთ, იმ სურათებიდან ორი კი, გერასიმოვა და კარში მდგომი მშვენიერაძე რომაა გამოსახული, პირველად ქვეყნდება.

რა თქმა უნდა, მიხეილ გიორგაძისა და ირინა გერასიმოვას მიერ მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებულმა მედლებმა ძალზე გაგვახარა. გაგვახარა გიორგი მშვენიერაძის დიდმა წარმატებამაც, თუმცა მასაც, მის ძმა ნოდარსა და იმათ მამასაც, ასევე სახელგანთქმულ წყალბურთელ პეტრე მშვენიერაძესაც — მელბურნის და რომის ოლიმპიური თამაშების, აგრეთვე ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორს — ბევრჯერ გავუმწარებივართ საქართველოს სპორტსმენთა გულშემატკივრები, როცა მათი მოსკოვის „დინამო" და „უნივერსიტეტი" სსრ კავშირის ჩემპიონატებში თბილისელ წყალბურთელებს ხვდებოდნენ, ან საკავშირო სპარტაკიადაზე რუსეთის ნაკრები საქართველოსას.

ჩვენზე სტაჟიანი გულშემატკივრები იხსენებენ, 1955 წელს საკავშირო სპარტაკიადის ფინალში პეტრე მშვენიერაძემ, საქართველოში დაბადებულმა, გაზრდილმა და წყალბურთს ნაზიარევმა ამ კაცმა, ჩვენი ნაკრების კარში როგორ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი, ჩვენ კი გვახსენდება ვაკის აუზში თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა ერთი შეხვედრა, 1979 წელს რომ გაიმართა. მაშინ მოსკოველებს, რომელთა შემადგენლობაში გიორგი მშვენიერაძის გარდა კიდევ ორი ქართველი ლევან ბურჭულაძე და დავით სულაკაძე იყვნენ, კარგა ხანს თამაში არ გამოსდიოდათ და თითქმის უნუგეშოდ აგებდნენ, პეტრე მშვენიერაძე კი ტრიბუნაზე ღელავდა. ბოლოს ველარ მოითმინა და გუნდთან ჩავიდა. პერიოდების შუალედში შვილს რაღაცას კარნახობდა, ურჩევდა. ამის შემდეგ მოსკოველებმა საათივითააწყეს საქმე. ამაში თავისი სიტყვა თქვა გიორგიმაც — თბილისელთა კარში ორი ბურთი შეაგდო.

შეხვედრის მერე „ბებერ ლომს" გავესაუბრეთ.

— შვილების თამაშში თუ ამჩნევთ იმ თვისებებს, რომლებიც თქვენ გაგაჩნდათ სარბიელზე?

— რა თქმა უნდა, იმთავითვე ვცდილობდი მათთვის იმპროვიზაციის სურვილი და უნარი ჩამენერგა, მერე კი ორივე საქმედ ექციათ.

— ამ უნარს რჩევა-დარიგებებით უნერგავთ თუ...

— რჩევითაც და საქმითაც — არა ერთხელ ჩავსულვარ წყალში და მივარჯიშებია. სხვაგვარად არც შეიძლება — თუ კაცმა რაიმე იცის, შვილს უნდა გადასცეს.

— დიახ, ეს საქმე კარგად გამოგდით. თქვენ მშვენიერი თავდამსხმელი იყავით და ჩვენს კარშიც არაერთი ბურთი გაგიტანიათ. ეს საქმე შვილებსაც მშვენივრად ასწავლეთ და გვარი ამ მხრივაც გაამართლეთ, მაგრამ თბილისის დინამოელთა გულშემატკივრები თქვენზე და ჩვენზეც — ჟურნალისტებზეც, განაწყენებულნი არიან. ამბობენ, ამ მამა-შვილებმა აგვიკლეს, თქვენ კი მათ პროპაგანდას უწევთო.

ამაზე პეტრე მშვენიერაძე წამოენთო, რას ქვია აგვიკლეს, წყალბურთი სპორტია, ომი ხომ არ არისო.

ასეა თუ ისე, მშვენიერაძეებმა ბევრჯერ კი „დაგვაწიოკეს", მაგრამ მათი გამარჯვებები მაინც გვახარებდა. მით უმეტეს მაშინ, როცა მოსკოვს გადახვეწილი მამა-შვილები ქართველ თანამემამულეებთან ერთად ოლიმპიურ თამაშებზე თუ ევროპის ჩემპიონატებზე ბრწყინავდნენ. მაშინაც ასე იყო, 82-ის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ჩვენებურები ერთად გამოდიოდნენ და ქართველთაგან პირველი მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ (პეტრე მშვენიერაძის ხანაში საწყლოსნო სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატები არ ტარდებოდა). თუმცა, მაშინ თავისი თამაშით არც ერთი იყო კმაყოფილი, არც მეორე, უფრო სწორედ, მიხეილ გიორგაძემ გვითხრა, ჩემს გამოსვლაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგან მხოლოდ ეგვიპტელებთან მატჩში დამაყენესო, გიორგი მშვენიერაძემ კი ასე გვიპასუხა: „მგონი ცუდად არ მითამაშია, მაგრამ ჩემი გამოსვლით კმაყოფილი მაინც არ ვარ. 1979 წლის ავადმყოფობის შემდეგ საკუთარი სტილისთვის ვერ მიმიგნია".

მერე ერთმანეთზე აზრით დავინტერესდით:

— მშვენიერაძე საერთოდ ალიარებული თავდამსხმელია. მაღალტექნიკურია და ყველასაგან განსხვავებული ხელწერა აქვს, მაგრამ მას გაცილებით მეტი შეუძლია — გვითხრა მიხეილმა.

— გიორგაძე ძალიან კარგი მეკარეა, მაგრამ მწვრთნელები მას ჯერ კიდევ თამამად არ ანდობენ კარის დაცვას და აი, რატომ: თუ ჩვენმა გუნდმა პირველი მატჩი კარგად ჩაატარა, მეორე შეხვედრაში ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბორის პოპოვი გუნდის შემადგენლობას არამც და არამც არ შეცვლის. მეტიც მომდევნო შეხვედრისას ზუსტად ისეთივე თანმიმდევრობით ცვლის მოთამაშეებს, როგორც პირველ მატჩში. მატჩის დაწყებამდე თათბირზე ყველას გვავალდებულებს ზუსტად იმავე ადგილზე დავსხდეთ, სადაც გასულ დღეს ვიჯექით. მაგნიტოფონსაც კი ერთსა და იმავე დროს ჩართავს და გამორთავს ხოლმე. ერთი სიტყვით, პოპოვი ცდილობს მეორე დღე მთლიანად „ბედნიერი" დღის ანალოგიური იყოს. ვერ ვიტყვი, რომ უფროსი მწვრთნელი ცრუმორწმუნეა, მაგრამ თავისებური ხასიათი აქვს, — გვიამბო მშვენიერაძემ.

— ისე, კაცმა რომ თქვას, პოპოვს არც გაემტყუნება, მაშინ გიორგაძეს თამამად რომ არ ანდობდა კარის დაცვას. ნაკრების პირველმა მეკარემ შარონოვმა გუაიაკილში საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული პრიზიც დაიმსახურა და თავად მიხეილიც აღფრთოვანებული იყო უფროსი კოლეგის ბრწყინვალე თამაშით.

მერე და მერე თავად მიხეილმაც არაერთხელ დაიმსახურა საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული პრიზები, თუმცა, ასეთად იგი მანამდეც უღიარებიათ, როცა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში „საერთაშორისო წყლებში" გავიდა და ევროპის პირველობის „ოქროც" მოიპოვა.

სხვათა შორის, იმ გუნდში გიორგი მშვენიერაძეც იყო და ორივემ სპეციალისტთა და პრესის დიდი მოწონება დაიმსახურა.

მაშინ, 82-ში, როცა ისინი მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, მსოფლიო თასიც მოიგეს, მომდევნო წელიწადს მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონებიც გახდნენ და ევროპისაც. მათ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები 1985 და 1987 წლებშიც მოიპოვეს, სეულის ოლიმპიურ თამაშებზე კი „ბრინჯაო" დაიმსახურეს.

ამ მედლებთან ერთად მიხეილმა არაერთხელ მოიპოვა საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული პრიზი, გიორგიმ კი საუკეთესო თავდამსხმელისა.

გვახსენდება ამ ორი სპორტსმენის „დუელიც", რომელიც 1979 წელს საკავშირო სპარტაკიადაზე რუსეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ფინალურ შეხვედრაში გაიმართა.

მაშინ გიორგი მშვენიერაძე ჩვენს ვლადიმერ ისელიძესთან ერთად 13 გატანილი ბურთით სპარტაკიადის ბომბარდირი გახდა, მიხეილ გიორგაძემ კი ხუთი პენალტი მოიგერია. ფინალში საქართველოს კარში კიდევ ერთი პენალტი დაინიშნა, მისი ტყორცნა, ბუნებრივია, მშვენიერაძეს მიანდეს.

როცა მსაჯმა ტყორცნის ნიშანი მისცა, გიორგაძე საოცრად მაღლა ამოიზიდა წყლიდან, მკლავები გაშალა და ამის შემხედვარე მშვენიერაძეს ხელი „გაუშეშდა" — ტყორცნა ველარ გაბედა და ვეღარ მოახერხა. რა თქმა უნდა, პენალტი აღარ გაუმეორებიათ.

მიშა გიორგაძე 11 წლისა იყო, როცა ქუთაისში „განთიადის" საცურაო აუზი ჩადგა მწყობრში. მაშინ ბიძამისს უფიქრია, ბავშვმა აუცილებლად უნდა ისწავლოს ცურვაო და...

თვენახევარში ქუთაისში მოცურავეთა შეჯიბრება გაიმართა: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობა... მიშა გიორგაძემ, მერე იყო და წყალბურთელთა მწვრთნელი ზურაბ კოკოვიჩი შეუჩნდა, მაღალი ხარ, შენგან კარგი მეკარე გამოვაო და ჩააყენეს კიდეც კარში.

— მეკარეობა არაფრად მეპიტნავებოდა, წინ, თავდასხმაში მინდოდა თამაში, მაგრამ ბოლოს ისე შევეჩვიე, რომ ზოგჯერ ვარჯიშის შემდეგ ისევ აუზში ვრჩებოდი — იხსენებს გიორგაძე, რომელსაც აუზში „ზოგჯერ დარჩენა", პირველად დიდ სარბიელზე სწორედ გუაიაკილში დაუფასდა.

მაშინ, როცა ქუთაისელი მიხეილ გიორგაძე პირველად შეამჩნიეს და თბილისის „დინამოს" „ფორმას" აზომებდნენ, მისი თანაქალაქელი ირინა გერასიმოვა ცურვაში პირველ ნაბიჯებს დგამდა. რას იფიქრებდა მაშინ ან ერთი, ან მეორე და გნებავთ სხვა, რომ ამ ორი ქუთაისელის გზები შორეულ გუაიაკილში გადაიკვეთებოდა. და მსოფლიო ჩემპიონატზე მათი ავტორობით საქართველოს საწყლოსნო სახეობების ისტორიაში პირველი ფურცელი დაიწერებოდა, თანაც ყველაზე გამორჩეული.

— გუაიაკილში წყალბურთელები ხშირად დავდიოდით მოცურავეთა შეჯიბრებებზე და მათ ტრიბუნებიდან ვამხნევებდით. მე, როგორც ძველი ქუთაისელი, უწინარეს ყოვლისა ჩემს თანაქალაქელ ირინა გერასიმოვას ვგულშემატკივრობდი. ძალიან კარგად გამოვიდა. მის ასეთ შედეგებს საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვაიცეხოვსკი არ ელოდა. იგი აღფრთოვანებული იყო ირინას წარმატებით. გუაიაკილში ყოველი დღის ბოლოს მთელი დელეგაციის წევრები ერთად ვიკრიბებოდით და შედეგებს ვაჯამებდით. თითქმის ყველა კრებაზე ირინას ქებადიდებაში იყვნენ. საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კოლოსკოვმა არაერთხელ აღნიშნა ირინას მებრძოლი, მტკიცე ხასიათი, — გვიამბო მიხეილ გიორგაძემ.

მაშინ ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა და მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა მოსკოველმა სემიონ ბელიც-გეიმანმა გერასიმოვაზე თქვა:

„ირინა გუაიაკილში პროგრამის 6 სახეობაში გამოვიდა. 200 მეტრზე თავისუფალი სტილითა და კომპლექსურ ცურვაში, აგრეთვე ესტაფეტაში სსრ კავშირის რეკორდები დაამყარა, კომბინირებულ ესტაფეტაში კი თავისი ეტაპი ბრწყინვალედ გაცურა — ერთი მესედი წამით აჯობა მსოფლიო ჩემპიონს, ჰოლანდიელ ვერსტაპენს და ჩვენი „კვარტეტი" ბრინჯაოს მედლებამდე მიიყვანა... დღეს გერასიმოვა ერთ-ერთი ის უიშვიათესთაგანი მოცურავეა, რომელიც ტონს აძლევს საბჭოთა კავშირის მოცურავეთა ნაკრებს".

ირინას ამ წარმატებამდე სამი წლით ადრე ერთ საგაზეთო წერილში მას კარგი სპორტული მომავალი ვუწინასწარმეტყველეთ. არადა, ბევრს ეეჭვებოდა, რომ გერასიმოვა ასეთ წარმატებებს მიაღწევდა. ამბობდნენ, მსოფლიო კლასის მოცურავეებთან შედარებით ტანმორჩილიაო. როცა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების შემდეგ გამართულ სსრ კავშირის მოცურავეთა ჩემპიონატში ირინამ ოქროს მედლები მოიპოვა, მაშინაც გამოჩნდნენ მოქილიკენი. ბევრმა თქვა, რომ გერასიმოვას ბედმა გაუღიმა — შეჯიბრებაში უძლიერესნი არ მონაწილეობდნენო. მაშინ გერასიმოვამ დაიქადნა, ჩემპიონატის ტიტულის შესანარჩუნებლად მომავალში უძლიერესებთან ბრძოლაშიც გავიმარჯვებო

და გაიმარჯვა კიდეც. ირინა გერასიმოვა საბჭოთა კავშირში, როგორც იტყვიან „პირველი ვიოლინო" გახდა თავისუფალი სტილითა და კომპლექსური ცურვის სპრინტერულ დისტანციებზე.

გუაიაკილის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ირინა გამოვიდა ნოკსვილში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მოცურავეთა მატჩში, სადაც საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ავიდა. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მისი გამარჯვება კი სენსაციად მონათლეს.

— არა, ეს სენსაცია არ ყოფილა. ამ სახეობაში რომ მსოფლიო ჩემპიონი გავმხდარიყავი, აი, მაშინ სულ სხვა იქნებოდა. გუაიაკილში 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა შნაიდერმა და გევენიგერმა შესაბამისად I-II ადგილები დაიკავეს. მესამე იყო ამერიკელი კოლკინსი, ხოლო მე IV ადგილი დავიკავე. ნოკსვილში კოლკინსი საერთოდ არ გამოსულა. ასე რომ, ჩემს გამარჯვებაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა, — გაიხსენა ირინამ".

სხვათა შორის, იმ წელიწადს, რაღაც ერთ თვეში, გერასიმოვამ ზედიზედ 24-ჯერ, აქედან საკავშირო და მსოფლიო ჩემპიონატებზე წინასწარი გაცურვების ჩათვლით 10-10-ჯერ აილო სტარტი. ამდენი საკავშირო ნაკრების არცერთ წევრს არ უცურავია.

მომდევნო წელიწადს ირინა კვლავ სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი გახდა, ევროპის ჩემპიონატზე მესამე იყო, მსოფლიო უნივერსიადაზე ოთხი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ყველაფერი კი, როგორც ვთქვით, ქუთაისში დაიწყო. პირველი სპორტული ნაბიჯები ჩოგბურთში გადადგა, მერე ძმას, რომელიც საქართველოს მოცურავეთა ნაკრებში იყო, სთხოვა აუზში მეც წამიყვანეო.

და გახდა ირინა გერასიმოვა მოცურავე. მაშინ 11 წლისა იყო. დედამისი თავისი გოგონას სპორტით გატაცების წინააღმდეგ წავიდა — დედა მუსიკის მასწავლებელი იყო და უნდოდა შვილიც თავის კვალზე წასულიყო.

შვილი უფრო ჯიუტი აღმოჩნდა. პირველ სერიოზულ წარმატებას კი მიაღწია 1980 წელს, როცა მეცხრეკლასელმა მოსწავლემ ედინბურგის ლია ჩემპიონატში ყველას აჯობა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ხოლო 200 მეტრზე მეორე იყო. თანაც, 100 მეტრიან დისტანციაზე საქართველოდან გახდა პირველი, რომელმაც ქალებში წუთი „დაახურდავა" (59,85).

მას შემდეგ საქართველოში ირინას შედეგს ვეღარავინ უახლოვდება. თუმცა, სადღა გვყავს მოცურავეები. აღარც ის „ჩვეულებრივი წელიწადი" ჩანს ჰორიზონტზე, სადაც უნდა დავინახოთ საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულნი, მსოფლიოს ექვსი ჩემპიონი და თითო მეორე და მესამე პრიზიორი, ევროპის ორი ჩემპიონი და ხუთიც პრიზიორი...

ალბომი გვიფერმკრთალდება.

**ავთანდილ გურასაშვილი**
ავტორის ფოტოები



მიხეილ გიორგაძე



გიორგი მშვენიერაძე მეკარედაც მშვენიერი ვერ გამოდგა



ირინა გერასიმოვა

# დახმარების ხელი მეტოქეს



ანა კურნიკოვა

ალისა და ჯო ფრეზერის ორთაბრძოლის მომსწრე „მედისონ სკვერ გარდენმა" ჩოგბურთის მძიმეწონოსანთა მატჩს უმასპინძლა. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნები — შტეფი გრაფი და მონიკა სელეში 13 ათასი ქომაგის თვალწინ 1996 წლის აშშ-ის ღია პირველობის ფინალის შემდეგ პირველად გაეჯიბრნენ ერთმანეთს. მათი შეხვედრა ახლაც დიდი სლემის ნებისმიერი ტურნირის ფინალს დაამშვენებდა.

სელეშმა მატჩი შესანიშნავად დაიწყო და ძველ მეტოქეს პირველი სეტი უჩვეულო დროში — 24 წუთში მოუგო. „მან, უბრალოდ, გამანადგურა. არც კი ვიცოდი, რა მექნა, მონიკას ყველაფერი გამოსდიოდა, მე კი არაფერი" — შტეფიმ ხელის დამთავრების შემდეგ საკუთარ სკამს ხმამაღალი გურმანული ლანძღვით მიაშურა და მშობლიურ ენაზე საუბარი შეხვედრის ბოლომდე არ შეუწყვეტია.

თამაში კი თანდათან გათანაბრდა, ისევე, როგორც მატჩის დაწყებიდან საათისა და 2 წუთის მერე ანგარიშიც. შტეფიმ გადამწყვეტი პარტიის შუაგულში კოჟრის საწამლოდ მცირე შესვენება მოითხოვა, უკან კიდევ უფრო მიზანსწრაფული დაბრუნდა და თავგამოდებით მებრძოლ სელეშთან მეხუთე მატჩ-პოინტის გამოყენების შემდეგ გამარჯვების ნიშნად ხელები მაღლა ასწია. „ბოლო 2 კვირა განმაცვიფრებელი გამოდგა, მართალაც განმაცვიფრებელი. აქ კიდევ ერთი გამარჯვების შემდეგ ვიმყოფები და ამისი დაჯერებაც კი მიჭირს" — არ დაუმალავს დიდ გერმანელს.

სელეშმა კი, მადლიერი ქომაგებისგან არანაკლებლი ოვაციები რომ ერგო, წაგების მიუხედავად, მატჩს არაჩვეულებრივი უწოდა და გრაფთან კიდევ არაერთხელ შეხვედრის იმედი გამოთქვა.

**ნიუ იორკი. აშშ. ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 2 მილიონი $**

## მერვედფინალი

**მარი პირსი (6, საფრანგეთი) — ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:0**

მატჩზე სათქმელი თითქმის არაფერია — 1,80-მეტრიანმა პირსმა თავისზე ლამის ორი თავით დაბალი კუტცერი ერთი ორად მძლავრი მიღებებით სასტიკად დაჩაგრა, თავისივე მოწოდება მატჩში ერთხელაც არ შეანარჩუნებინა და ამ მსუბუქ მოთელვას მხოლოდ 45 წუთი დაახარჯა.

„დიდი ხანია, ასე კარგად არ მითამაშია.ი ერთადერთი საზრუნავი ის მქონდა, კონცენტრაცია არ დამეკარგა. როცა ასე იოლად იგებ, ყურადღება ხშირად გეფანტება" — განაცხადა მატჩის შემდეგ პირსმა, რომელსაც მეოთხედფინალში მსოფლიოს მეორე ჩოგანი მარტინა ჰინგისი ელის.

მონიკა სელეში (5, აშშ) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:4, 6:3

სელეშ-კურნიკოვას მერვედფინალი ჩემპიონატზე ყველაზე საინტერესო თუ არა, ყველაზე უცნაური მაინც გამოდგა.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი შეხვედრას საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ შეხვედრია: „კვირის შუადღიდან მოყოლებული საშინლად ვგრძნობ თავს — არაფერი არ მიჭამია, კუჭი ყველაფერს უკან მიბრუნებს." თავის მხრივ, კურნიკოვასაც თავისი გასაჭირი ჰქონდა — ნიუ იორკში ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ ასპარეზობდა, რომელთა დროსაც 56 (!) ორმაგი შეცდომა დაგროვებოდა.

ასე რომ, მატჩი ორმხრივ ტანჯვაში მიმდინარეობდა — იქეთ სელეშს მოძრაობა უჭირდა, აქეთ ჭიამოჭრილ „ადიდასში" გამოწყობილი რუსი ამაოდ ცდილობდა მოწოდებების პირველ-მეორე კვადრატში მოხვედრებას. საბოლოოდ კურნიკოვას 17-მა ორმაგმა გადაწონა და მეოთხედფინალში ამერიკელი გავიდა, რომელსაც მეტოქისთვის მადლობის გადახდაც არ დავიწყებია, მოგების კი არა, თამაშის თავიც ძლივს მქონდაო.

**ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 4:6, 7:6 (7:4), 6:0**

კარგა ხნის მანძილზე ისე ჩანდა, რომ მატჩს მსოფლიოს პირველი ჩოგანი და ტურნირის უპირველესი ფავორიტი ამერიკელი კი არა, ელიტაში ოდენ მეორედ გარეული, თანაც ბარძაყის ტრავმის გამო სახვევით ფეხგადათეთრებული ტესტიუ მოიგებდა. დევენპორტი მსაჯთან გაუთავებელი კამათით გამორჩეული მეორე სეტის ბოლოსკა გამოცოცხლდა, ტაი-ბრეიკზე ნაადრევად აბარგებას გადაურჩა, გადამწყვეტი პარტიისთვის კი ფრანგს ძალები აღარ შერჩენოდა.

„მთავარია, მაშინაც მოიგო, როდესაც არც ისე კარგად თამაშობ. ეს მატჩი ამის შესანიშნავ მაგალითად გამოდგება" — განაცხადა დევენპორტმა, რომელსაც მომდევნო წრეში კიდევ ერთი ფრანგი, ნატალი ტოზია ელის.

## მეოთხედფინალი

**შტეფი გრაფი (გერმანია) — მონიკა სელეში (5, აშშ) 1:6, 6:4, 6:4**

ხუთშაბათ ღამით ერთ დროს მუჰამედ

**ირინა სპირლეა (რუმინეთი) — დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) 6:2, 6:3**

შარშანდელ ნახევარფინალისტ სპირლეას იგივეს მიღწევა წლეულს იოტისოდენადაც არ გასჭირვებია. „ყველა ჩემი დარტყმული კორტზე ვარდებოდა, რაც ჩემთვისაც კი ცოტათი მოულოდნელი აღმოჩნდა. ვინუსისთვის კი მადლობის გარდა რა მეთქმის" — რუმინელი ნიუ იორკში მხოლოდ უფროსი უილიამსის ტრავმის გამო მოხვდა, რომელთანაც აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში შეტაკებამ და ორმხრივმა ლანძღვა-გინებამ ერთ დროს მთელი საჩოგბურთო სამყარო აალაპარაკა.

**ჰარტფორდი. აშშ. ATP ტურის წყვილების მსოფლიოს ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 800 ათასი $**

იაკო ელტინგისა და პოლ ჰაარჰიუსის პირველად განთესილმა წყვილმა ჰარტფორდში მეორე გამარჯვებაც იზეიმა და ნახევარფინალის საგზურთან ერთად სეზონის ბოლოს კლასიფიკაციის პირველი ადგილიც გაინაღდა. „მფრინავ ჰოლანდიელებს" ამჯერად საკმაოდ გაუჭირდათ — ოლივიე დელეტრსა და ფაბრის სანტოროსთან პირველი სეტი წააგეს, მეორეშიც ჩამორჩნენ, მაგრამ საბოლოოდ თითქმის ორსაათნახევრიანი ბრძოლა მათი გამარჯვებით დასრულდა 4:6, 7:5, 7:5.

სამაგიეროდ, ჰოლანდიელების მთავარმა მეტოქეებმა — ინდოელებმა პაესმა და ბჰუპატიმ (2) და „ვუდებმა" (3) ისევ წააგეს და ნახევარფინალში გასვლის შანსიც საბოლოოდ დაკარგეს.

## მეორე ტური

**მწვანე ჯგუფი: ელის ფერერა (სამხრეთ აფრიკა) და რიკ ლიჩი (აშშ) — მარკ ვუდფორდი და ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 7:6 (7:3), 6:3**

| | | |
|---|---|---|
| 1. ელტინგი/ჰაარჰიუსი | 2 | 0 |
| 2. სანტორო/დელეტრი | 1 | 1 |
| 3. ფერერა/ლიჩი | 1 | 1 |
| 4. ვუდფორდი/ვუდბრიჯი | 0 | 2 |

**ოქროს ჯგუფი: სენდონ სტოლი (ავსტრალია) და სირილ სუკი (ჩეხეთი) — მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდრეს პაესი (ინდოეთი) 4:6, 6:3, 6:4; მარკ ნოულსი (ბაჰამები) და დანიელ ნესტორი (კანადა) — დონალდ ჯონსონი და ფრანსისკო მონტანა (აშშ) 6:3, 6:2.**

| | | |
|---|---|---|
| 1. ნოულსი ნესტორი | 2 | 0 |
| 2. სტოლი სუკი | 1 | 1 |
| 3. ჯონსონი მონტანა | 1 | 1 |
| 4. პაესი ბჰუპატი | 0 | 2 |

ავთანდილ სვანიძე



# კინენს აღირსეს

19 ნოემბერი

### კოლორადო — ვანკუვერი 0:5

0:2 0:2 0:1

0:1 ზეზელი 13'36 (5); 0:2 მესიე 18'54 (9); 0:3 ჰედიკანი 31'14 (1); 0:4 მაკეიბი 33'51 (3); 0:5 ოკუანი 42'09 (7)

ცოტაც და, „რკინის მაიკი", ვანკუვერის თავკაცი კინენი, მოთმინებას დაკარგავდა. მისმა შეგირდებმა ზედიზედ ორჯერ ვერ გაახარეს მწვრთნელი და უდიდესი მიღწევის — მე-500 მოგების მოლოდინი გაუხანგრძლივეს. 19 ნოემბერს კი მათ ყველაზე მოუხერხებელი მეტოქე, კოლორადო ელოდათ, რომელთანაც 1995 წლის დეკემბრიდან მოყოლებული კანადელებს მხოლოდ 3 ქულა მოეპოვებინათ (+0=3-12). თუმცა სტუმრებს, განსაკუთრებით მათ კაპიტან მარკ მესიეს, რომელმაც 1994 წელს რეინჯერსი კინენთან ერთად თასამდე მიიყვანა, კარგად ესმოდათ, რომ კიდევ ერთ უიღბლობას მწვრთნელი აღარ აპატიებდათ. ვანკუვერელთა ბედად, კოლორადოელებს ტრავმებმა სულ ხუთი მცველი დაუტოვა, აქედან ერთი — ჯეფ ბიუკენენიც იშვიათად გადიოდა ყინულზე და მატჩის დასაწყისშივე კანადელებმა მეტოქის უკანა ხაზს გვარიანი საქმე გაუჩინეს. საბოლოოდ, მას შემდეგ, რაც 0:2-ზე მასპინძლებმა თითქოსდა ინიციატივა იგდეს ხელთ, მათ სწორედ დაღლილმა მცველებმა უმტყუნეს და უმცირესობაში გატანილი ორი შაიბის შემდეგ კინენს, როგორც იქნა, სახე გაუნათდა.

ამგვარად, „რკინის მაიკმა" იმ საპატიო ზღვარს მიაღწია, რომლის დაძლევაც აქამდე მხოლოდ მისმა ხუთმა კოლეგამ შეძლო სახელოვანი სკოტი ბოუმენის თავკაცობით.

| | | | |
|---|---|---|---|
| სკოტი ბოუმენი | 1062 | 8 | 65,4 |
| ელ არბური | 781 | 4 | 56,4 |
| დიკ ირვინი | 693 | 4 | 55,9 |
| ბილი რი | 542 | 0 | 57,1 |
| ტო ბლეიკი | 500 | 8 | 63,4 |
| მაიკ კინენი | 500 | 1 | 57,4 |

*ნუსხაში მითითებულია რეგულარულ ჩემპიონატში მოგებულ მატჩთა და სტენლის თასის მოპოვების რაოდენობა, აგრეთვე ქულათა პროცენტული მაჩვენებელი.*

მატჩის შემდეგ ბედნიერ კინენს ისე აუჩუყდა გული, რომ თავისი შეგირდებისთვისაც გამოძებნა საქებარი სიტყვები: „სახელს მხოლოდ მაშინ იგდებ, როცა დიდ გუნდებს და მოთამაშეებს ხელმძღვანელობ. თამაშს ჰოკეისტები იგებენ და არა მწვრთნელები" — განაცხადა სიტყვაძუნწობით და უემურობით ცნობილმა მაიკმა.

### ლოს ანჯელესი — რეინჯერსი 1:5

0:3 1:1 0:1

0:1 მალჰოტრა 3'55 (4); 0:2 კოვალიოვი 6'33 (1); 0:3 გრეივზი 13'28 (6); 1:3 ვიშო 28'08 (1); 1:4 მაკლინი 31'38 (7); 1:5 კოვალიოვი 59'02 (2)

მოგეხსენებათ, უეინ გრეცკის კარიერის საუკეთესო წლები ედმონტონთან არის დაკავშირებული და 1988 წელს ლოს ანჯელესში გადასვლამ ბრწყინვალე ჰოკეისტის მრავალ ტიტულსა და რეკორდს ბევრი არაფერი შემატა. თუმცა ეს შედარება პირობითია, რადგან კალიფორნიაში გატარებულ შვიდ წელიწადში უენის ცხოვრებაში ცოტა როდი მოხდა საინტერესო. თუნდაც „მეფეთა" შორის გატანილი სარეკორდო, 802-ე გოლი რად ღირს. ამიტომ მოძველებული „ფორუმის" (გაისად ლოს ანჯელესი ახალთახალ „სტაპლს სენტრში" გადაბარგდება) ტრიბუნები ამ სტადიონზე გრეცკის უკანასკნელი თამაშის ნახვის მსურველებმა მთლიანად შეავსეს. ცხადია, დიდი სპორტსმენი 16005 კაცს ვერ გააწბილებდა და მატჩის ბოლო წუთზე გარჯა დაუფასდა კიდეც, როცა მისი ჩინებული პასი, როგორც იქნა, ალექსეი კოვალიოვმა გამოიყენა. გრეცკის ყოფილი კლუბი კი ზედიზედ მეექვსედ დამარცხდა.



უეინ გრეცკი



ვანკუვერის იუბილარი მწვრთნელი მაიკ კინენი

REUTERS დეპეშები

### ტამპა — პიტსბურგი 1:5

1:0 0:5 0:0

1:0 ჯენი 16'16 (2); 1:1 ჰეჩერი 20'54 (2); 1:2 ბარნსი 25'13 (8); 1:3 ბარნსი 17'31 (9); 1:4 ბრაუნი 30'51 (4); 1:5 სტრაკა 39'27 (7)

ბოლო მატჩებში ხელმოცარულ იარომირ იაგრს (6 თამაშში 4 პასი და არც ერთი გოლი) მეტოქეთა მცველები უყურადღებოდ მაინც არ ტოვებენ, რითაც მისი პარტნიორები მარტინ სტრაკა და სტიუ ბარნსი სარგებლობენ. ამჯერად ამ უკანასკნელმა 2 შაიბა მიითვალა, ხოლო სტრაკამ 3 (1+2) ქულა დააგროვა. ტამპელები ზედიზედ მეოთხედ დამარცხდნენ და 27 შაიბაც გაუშვეს.

### მონრეალი — კალგარი 4:3

1:1 1:2 2:0

1:0 მალახოვი 6'42 (4); 1:1 უიმერი 18'13 (2); 1:2 უილმი 34'06 (1); 2:2 ბრიუნე 36'21 (3); 2:3 კესელსი 39'01 (4); 3:3 ჰოგლუნდი 47'16 (1); 4:3 ჰუდა 50'2 (1)

კრიზისში მყოფ მონრეალს (მანამდე ზედიზედ ოთხჯერ რომ დამარცხდა) „მეომარმა" ტერნერ სტივენსონმა (1+1) და მასთან მეოთხე სამეულში შეამხანაგებულმა იონას ჰოგლუნდმა (1+1) დააყენეს საშველი.

### ბოსტონი — ფლორიდა 5:5

1:0 3:2 1:3 0:0

1:0 ხრისტიჩი 5'55 (8); 2:0 ხრისტიჩი 21'36 (9); 3:0 კარტერი 23'03 (1); 4:0 კარტერი 5'32 (2); 4:1 კვაშა 35'75 (3); 4:2 განიე 39'59 (2); 5:2 ლედიარდი 42'33 (2); 5:3 მელანბი 47'28 (2); 5:4 პერიში 48'25 (9); 5:5 შვეჰლა 49'49 (2)

ბოსტონელები ქულითაც კმაყოფილნი უნდა იყვნენ, რადგან ძირითადი დროის მიწურულს და ოვერტაიმში რამდენჯერმე კინაღამ მეექვსე შაიბა გაუშვეს. ამ მატჩში მასპინძელთა მცველმა დერენ ვან იმპმა 3 პასი მიითვალა.

### ნიუ ჯერსი — კაროლინა 3:2

1:1 0:0 1:1 1:0

1:0 არნოტი 6'52 (3); 1:1 ონეილი 8'56 (4); 1:2 შეპარდი 50'56 (7); 2:2 ნიდერმაიერი 55'57 (2); 3:2 ჰანდოლფო 63'37 (4)

სტუმართა ლიდერი კეიტ პრიმო გახარებული იყო — მისი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და მოედანს დაუბრუნდა (სამი დღის წინ მონრეალში დაშავდა), მაგრამ მერე საბედისწერო შეცდომა დაუშვა — შაიბის ჩაგდებისას ვერ იმარჯვა, რის შემდეგაც „ეშმაკებმა" გამარჯვების შაიბა გაიტანეს.

### ნეშვილი — სენტ ლუისი 3:2

1:2 0:0 2:0

0:1 კურტნოლი 3'22; 0:2 კონროი 8'36 (1); 1:2 ჩელბერგი 18'27 (3); 2:2 პელტონენი 45'04 (3); 3:2 რონინგი 59'22 (5)

ნეშვილმა, ეტყობა, თანადივიზიონელების ძლევის ხერხს მიაგნო. ლიგის დებიუტანტი მანამდე დეტროიტთან, ჩიკაგოსთან და იმავე სენტ ლუისთანაც ოთხივე შეხვედრაში დამარცხდა.

სამველ ლარიბიანი

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 18 | 9 | 2 | 7 | 57:54 | 20 |
| ბუფალო | 14 | 7 | 4 | 3 | 40:26 | 18 |
| ბოსტონი | 18 | 6 | 5 | 7 | 45:37 | 17 |
| მონრეალი | 18 | 7 | 2 | 9 | 43:52 | 16 |
| ოტავა | 15 | 6 | 3 | 6 | 43:41 | 15 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 17 | 9 | 0 | 8 | 53:44 | 18 |
| სენტ ლუისი | 16 | 7 | 4 | 5 | 44:38 | 18 |
| ნეშვილი | 17 | 7 | 1 | 9 | 42:49 | 15 |
| ჩიკაგო | 18 | 5 | 3 | 10 | 38:63 | 13 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 16 | 10 | 0 | 6 | 36:37 | 20 |
| პიტსბურგი | 17 | 8 | 4 | 5 | 48:43 | 20 |
| ფილადელფია | 17 | 7 | 4 | 6 | 45:37 | 18 |
| აილენდერსი | 18 | 8 | 0 | 10 | 45:48 | 16 |
| რეინჯერსი | 18 | 5 | 5 | 8 | 44:49 | 15 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 19 | 8 | 3 | 8 | 50:47 | 19 |
| ფლორიდა | 16 | 6 | 4 | 6 | 38:46 | 16 |
| ვაშინგტონი | 16 | 6 | 3 | 7 | 37:41 | 15 |
| ტამპა | 18 | 6 | 2 | 10 | 41:66 | 14 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 13 | 9 | 2 | 2 | 38:19 | 20 |
| დალასი | 14 | 9 | 2 | 3 | 37:27 | 20 |
| ანაჰაიმი | 17 | 7 | 4 | 6 | 40:38 | 18 |
| ლოს ანჯელესი | 20 | 5 | 3 | 12 | 44:59 | 13 |
| სან ხოსე | 15 | 4 | 4 | 7 | 38:39 | 12 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ედმონტონი | 17 | 9 | 1 | 7 | 55:45 | 19 |
| ვანკუვერი | 18 | 9 | 1 | 8 | 57:45 | 19 |
| კალგარი | 18 | 7 | 2 | 9 | 50:52 | 16 |
| კოლორადო | 18 | 7 | 2 | 3 | 48:54 | 16 |

***ბომბარდირები:** ფორსბერგი (კოლორადო) 25 (6+ 19); იაგრი (პიტსბურგი) 23 (5+ 18); ლინდროსი (ფილადელფია) 22 (11+ 11); საკიკი (კოლორადო) და კარია (ანაჰაიმი) 22 (9+ 13); აიზერმანი (დეტროიტი) 21 (8+ 13), ფლერი (კალგარი) 20 (10+ 10); სუნდინი (ტორონტო) 20 (8+ 12); ლეკლერი (ფილადელფია) 19 (11+8); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 19 (10+ 9); მესიე (ვანკუვერი) 19 (9+ 10); ბრინდამორი (ფილადელფია) 19 (8+ 11)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

XV ტური

**სოშო 1:1 სტრასბური**
0:1 არპინო (54), 1:1 ფიავუ (73)

**ლანსი 1:0 ბასტია**
1:0 დებევე (90)

**პსჟ 2:1 რენი**
1:0 რაბესანდრატანა (38), 1:1 ნრნდა (64), 2:1 ლერუა (67)

**ნანტი 1:1 მონპელიე**
0:1 სილვესტრი (10), 1:1 დე კრუა (38)

**ოსერი 1:0 მეცი**
1:0 კლოსი (84)

**ლორიანი 1:0 ტულუზი**
1:0 ლოკო (25)

**ნანსი 1:0 ლე ავრი**
1:0 კასკარინო (90)

## თურქეთი

XIII ტური

**ალთაი 0:4 ფენერბაჰჩე**

## ავსტრია

XVIII ტური

**შტურმი 2:0 ტიროლი**

## შვეიცარია

XIX ტური

**იანგ ბოისი 1:2 ციურიხი**

## გერმანია

XIVტური

**აინტრახტი 0:2 ვერდერი**
0:1 ჰერცოგი (47), 0:2 ბოგდანოვიჩი (73)

**შალკე 2:0 დუისბურგი**
1:0 აიკელკამპი (37), 2:0 გუსენსი (59)

**მეორე ბუნდესლიგა**

XV ტური

**ობერჰაუზენი 3:0 გიუტერსლო**
1:0, 2:0 პრიომერი (11, 68), 3:0 კონჯევიჩი (90)

**ფორტუნა 3:0 კოტბუსი**
1:0 რენი (14), 2:0 ბრდარიჩი (18), 3:0 იოუნგა (84)

**ვატენშაიდი 1:1 კიოლნი**
0:1 ბულაიჩი (53), 1:1 სტარკი (71)

**ურდინგენი 1:2 მაინცი**
0:1, 0:2 პოლიცელა (25, 47), 1:2 სასივარევიჩი (53)

**დიუსელდორფი 2:2 ზტ. პაული**
0:1 შერცი (18), 0:2 სტანისლავსკი (45), 1:2 დობროვოლსკი (50), 2:2 ტარე (87)

## ჰოლანდია

XV ტური

**მაასტრიხტი 0:3 ნაიმეგენი**
0:1 კონინგი (56), 0:2 ელერმანი (78), 0:3 ტუმანი (90)

# იუვენტუსი სტამბოლში შეიძლება არ ჩავიდეს

თურქეთსა და იტალიას შორის პოლიტიკური ვითარების დაძაბვამ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა „გალათასარაისა“ და „იუვენტუსს“ შორის, რომელიც ოთხშაბათს უნდა გაიმართოს, საგანგებო ყურადღების საგნად აქცია.

უეფას განცხადებით, ლიგის B ჯგუფის ეს მატჩი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩატარდება, თუ დამტკიცდება, რომ სტამბოლში უსაფრთხოების ყველა პირობა დაცულია. ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, გერჰარდ აიგნერმა შექმნილი მდგომარეობის გამო თქვა:

— ჩვენ პირველად როდი ვეჯახებით მსგავს სირთულეს. ბუნებრივია, მოვლენათა განვითარებას ზედმიწევნით დავაკვირდებით და საბოლოო სიტყვას ორშაბათს ვიტყვით.

„იუვენტუსის“ ბანაკში იმედოვნებენ, რომ უეფა სწორედ გაერკვევა მდგომარეობაში.

— მართალი გითხრათ, ამ წუთას იტალიის პირველობის კვირის მატჩით ვარ დაკავებული, მაგრამ ვცდილობ არც ახალი ამბები გამომეპაროს. ვგონებ შექმნილი ვითარების სადავეები გონიერ, პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილ ხალხს უპყრია და ისინი საფრთხის წინაშე არ დაგვაყენებენ — უთხრა ჟურნალისტებს გუნდის მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ და დასძინა — არაა გამორიცხული, რომ სტამბოლს სათამაშოდ არ გავემგზავროთ.

სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია იტალიელთა მიერ თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ქურთთა ლიდერის აბდულა ოქალანის დაჭერამ და მისი სტამბოლისთვის გადაცემისგან თავის შეკავებამ.

თურქეთის პრემიერ მინისტრმა მესუთ ილმაზმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ თუ იტალია მათ ოქალანს არ გადასცემს, ის ტერორიზმის ხელშემწყობად გამოცხადდება. პარლამენტი ტაშით შეხვდა ამ სიტყვებს.



პსჟ — რენი. პარიზელი ჯიმი ალჟერინო (№17) რენელ ფაბრის ფერნანდესს გაურბის




# მამებს სიშიშვლე აღიზიანებთ

მსოფლიო ფრენბურთის მამები მოწინავე ეროვნულ ნაკრებებს აუშარდნენ და კაცთა შვიდი და ქალთა ხუთი გუნდი დააჯარიმეს სამ-სამი ათასი დოლარით. ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს ჰონორარები შეეკვეცებათ.

მამათა განრისხება გამოუწვევია იმას, რომ მსოფლიო ფრენბურთის მოწინავე გუნდების უკან მდგომმა მეწარმეთა ამქარმა აბუჩად აიგდო ფრენბურთელთა სამოსის სადა, სპორტული იერი და ფრენბურთელთა კოსტუმი ეროტიკული და მიმზიდველი გახადა.

ქალთა ამბავი გასაგებია — მსოფლიოს ჩემპიონატი უკვე დაასრულეს და დიახაც, რომ ეროტიკულნი იყვნენ. კაცთა შეჯიბრი კი გრძელდება და ამიერიდან მათაც მოუწევთ ვიწრო ტრუსების გამოცვლა.

მაყურებელთა მოზიდვა არასგზით უნდა მოხდეს გავის და ძუძუ-მკერდის სამოსში გამოკვართვითო, განაცხადა მსოფლიო ფრენბურთის თავკაცმა რუბენ აკოსტამ.

# დედა ნახე...

*— პატარა ჯანკარლოს ხშირად ვართობდი თამაშით, რომელსაც „იპოვე გასაღები“ ჰქვია — ამბობს და გასაღების შესანახ ინტიმურ ადგილს საჯაროდაც იშიშვლებს ცნობილი იტალიელი მრბოლის ჯანკარლო ფიზიკელას პირ-მკერდმშვენიერი, თავშენახული და, ეტყობა, საკმაოდ ჭკუამხიარული დედა.*




**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი,
ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აზნაიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა ღევაძე, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29